ირაკლი ოძრუაშვილი "მემარჯვენეებს" სკანდალური განცხადებით პასუხობს

A3

ვინ არიან არასამთავრობო სექტორის მეგობრები?

A5

შენი ფარული ზრახვები ნიუ იორკიდან

B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 4 აპრილი, 2005 წელი. №75 (935)

ფასი 50 თეთრი

სამართალი

მართლმსაჯულებამ ომბუდსმენის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა

"მოსამართლე, მით უმეტეს სასამართლოს თავმჯდომარე, ვალდებულია, ებრძოლოს ყოველგვარ უკანონობას", ამბობს სოზარ სუბარი.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.

ამინდი

	4/4	5/4	6/4
თბილისი	8	14	13
ქუთაისი	7	13	16
ბათუმი	5	9	13
სოხუმი	8	13	14
ფოთი	7	11	15
თელავი	6	11	11
ზუგდიდი	9	13	16
გორი	3	10	11
ახმეტა	7	12	12
ჭიათურა	4	11	13
გაგრა	7	12	13
სამტრედია	7	13	16

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8400
ევრო	2.3861
ბირვანქა სტერლ.	3.4719
რუბლი	0.0660

A		B	
აბები	A2	რევიუ	B2
პოლიტიკა	A3	რევიუ	B3
საზოგადოება	A4	სპორტი	B4
უცხოეთი	A5	სპორტი	B5
ეკონომიკა	A6	კვლევა	B6
სამართალი	A7	სხვადასხვა	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

მკვდრადშობილის გარდაცვალება

ნინო გომართელი

2003 წელი, საქართველო – "ვარდების რევოლუცია"; 2004 წელი, უკრაინა – "ნარინჯისფერი რევოლუცია"; 2005 წელი, ყირგიზეთი – "ტიტების რევოლუცია".
ეს არის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, სადაც მოსახლეობამ რუსეთის გავლენისაგან გათავისუფლება ისურვა და ხელისუფლებისგან საკუთარი სურვილებისთვის ანგარიშის გაწევა მოითხოვა.
შედეგად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებზე რუსეთის გავლენა ასტრონომიული სისწრაფით იკარგება.
ხოლო კრემლის ლიდერი ვლადიმირ პუტინი იძულებული ხდება, დსთ-ს არაეფექტურობაზე ალაპარაკდეს.
დღეს, საბჭოთა გადმონაშთი აღნიშნული სტრუქტურა დაშლის პირასაა, მიზეზები კი სწორედ რუსეთის ფედერაციაში უნდა ვეძიოთ.

1991 წლის 8 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის ინიციატივით, საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე იქმნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

მის შემადგენლობაში შედიან: აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და უკრაინა.

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის დადგენილებით, დსთ-ს შემადგენლობაში შედის საქართველო და თანხმობას აცხადებს, სრულად დაემორჩილოს 1993 წლის 22 იანვარს, ქალაქ მინსკში, სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე მიღებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წესდებას.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, თანამეგობრობის მიზნების მისაღწევად, წევრი სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობას, სხვა მრავალთან ერთად, შემდეგი პრინციპების შესაბამისად აგებენ:

გაგრძელება A3 გვერდზე

სვანეთი თოვლიანი გაზაფხულის ტყვეობაში

ბუბა ჩხეტიანი/ეროვნული ფოტო

თოვლის საფარი იმდენად მაღალია, რომ ღობეებს ფარავს.

ლელა მარგიანი

ერთი თვეა, სვანეთში გადაუღებლად თოვს. ასეთი უხვთოვლიანი გაზაფხული ბევრისმომსწრე მახვშებსაც კი არ ახსოვთ. მესტიის რაიონის ზედა სოფლები, განსაკუთრებით კი - უშგული, საერთოდ მოწყვეტილია სამყაროს და მთლიანად თოვლის საფარველშია გახვეული. სვანეთის მოსახლეობას სასწრაფოდ სჭირდება დახმარება.

გასული წლის ზაფხულიდან მოყოლებული, სვანეთს ბუნება არ სწყალობს. იფარსა და წვირმიშში საშინელი მეწყერი ჩამოწვა, რომელსაც ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა. ზაფხულში განვითარებულმა სტიქიამ მესტიის რაიონის მოსახლეობა ულუკმაპუროდ დატოვა, განადგურდა სახნავ-სათესი და სათიბი სავარგულები. ხალხმა ვერც კარტოფილი მოიყვანა და ვერც თივა მოიმარაგა.

ყველაფერს დაერთო გახანგრძლივებული ზამთარიც, როდესაც მარტის განმავლობაში თოვლს არ გადაუღია. სვანეთში ხუმრობენ, წელს ოთხჯერ გავიარეთ ზამთარიო.

დიდთოვლობას შეეწირა დენიც, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე, საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სვანეთში შეუზღუდავად, გამუდმებით ჰქონდათ. დიდმა თოვლმა ზემო სოფლებში სადენები ჩაწყვიტა და იქაურებს უკვე მივიწყებული ჭრაქისა და "ლამფების" გახსენება მოუხდათ.

როგორც "24 საათს" მესტიის რაიონის გამგებელმა ნინო ჯაფარიძემ აცნობა, **"რაიონში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აპრილის დასაწყისში ასეთი რაოდენობის თოვლი სვანეთში არავის ახსოვს. ქვედა სოფლებში თოვლის საფარი სამოოთხი მეტრია, ხოლო ზემო სოფლებში კიდევ უფრო მეტი – შვიდ მეტრამდე აღწევს. ორიოდე დღის წინათ, 31 მარტს, ერთ დღეში ერთი მეტრი თოვლი მოვიდა. გზები, ფაქტობრივად, ოთხჯერ ჩაიკეტა. სოფლიდან სოფლამდე მისვლა ძალიან ჭირს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

კათოლიკურმა სამყარომ - მწყემსი, მსოფლიომ კი თავისუფლებისთვის მებრძოლი დაკარგა

ნიკა თარაშვილი

3 აპრილი. კვირა. ვატიკანი, კლემენტინას დარბაზი -
კარდინალები, არქიეპისკოპოსები, იტალიის უმაღლესი ხელისუფალნი და რომში მყოფი დიპლომატიური კორპუსი უკანასკნელ პატივს მიაგებენ იოანე-პავლე მეორის ხსოვნას. მსოფლიოს, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწის გარდაცვალებას გლოვობდნენ ყველა კონტინენტზე.

რომის პაპის გარდაცვალების შესახებ შაბათს გვიან საღამოს (თბილისის დროით 23.37) გაკეთდა განცხადება. ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა ანჯელო სოდანომ წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილ ასი ათასამდე კათოლიკეს პონტიფიკოსის აღსასრული ამცნო. ვატიკანის განცხადებით, "იოანე-პავლე მეორე სეპტიკური შოკისა და გულ-სისხლძარღვთა კოლაფსისგან გარდაიცვალა".

გაგრძელება A5 გვერდზე

მინისტრი ჯარისკაცებს ადანაშაულებს

საგურამოს სამხედრო ნაწილის ჯარისკაცების პროტესტი თავდაცვის მინისტრმა არ გაიზიარა და უკმაყოფილების მიზეზად ქცეული ასმეთაური სამსახურში დატოვა. სახალხო დამცველის აპარატში კი პოზიციას არ იცვლიან და მეთაურის მხრიდან უფლებების დარღვევის ფაქტებზე საუბრობენ.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები საგურამოს N15-808 სამხედრო ნაწილში არსებულ მდგომარეობასა და ჯარისკაცთა საპროტესტო გამოსვლის მიზეზებს არკვევენ. ჯარისკაცები მეთაურს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ და მის გადაყენებას მოითხოვდნენ.

გელა ლომსაძის გადაყენების საკითხი საგურამოს სამხედრო ცენტრის ჯარისკაცებმა ოთხი დღის წინ, მას შემდეგ დააყენეს, რაც ნაწილის ერთ-ერთი რიგითი არკადი კუკავა ფილტვების ანთების გართულებით სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდა. ჯარისკაცები სამხედრო ნაწილის უფროსს ლოთობაში, მათზე ძალის გამოყენებაში და კუკავას გარდა კიდევ ხუთი ჯარისკაცის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ.

ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლებმა სამხედრო მოსამსახურეებს წერილობითი ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს.

საგურამოს სამხედრო ნაწილის რიგითი კუკავა ფილტვების მწვავე პნევმონიის, ღვიძლისა და თირკმელების უკმარობითა და ჰიპოქსემიური ენცეფალოპათიის დიაგნოზით, უკვე მეოთხე დღეა, სამხედრო ჰოსპიტალის რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ყვავილების ქვეყანა

სოფიო თოდუა

საქართველოში "ვარდების რევოლუციის" გარედან შემოტანაზე ხშირად საუბრობენ, თუმცა იმის მიუხედავად, ეს ვარაუდი გამართლებულია თუ არა, ვარდი, რომელიც რევოლუციის დღეს მიხეილ სააკაშვილს ხელში ეჭირა, აუცილებლად ჰოლანდიური უნდა ყოფილიყო. საქართველოში ცხოვრებას დღეს, ძირითადად, უცხოური ყვავილებით ილამაზებენ.

ჰოლანდია დაახლოებით ჩვენხელა სახელმწიფოა. თავისი ადგილმდებარეობიდან და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ისიც აგრარული ქვეყანაა, ოღონდ, ამ პარალელის გავლება მაშინ იქნებოდა უპრიანი, სოფლის მეურნეობა, მათ შორის - მეყვავილეობა, ჩვენთვისაც პრიორიტეტული რომ იყოს. არადა, არცთუ დიდი ხნის წინათ, საქართველო ყვავილებით მთელ საბჭოთა კავშირს ამარაგებდა და რუსეთის ბაზრებში "ლიცა კავკაზსკოი ნაციონალნოსტი" ერთობ წარმატებულად ვაჭრობდნენ აქ მოყვანილი მიხაკებით, ტიტებითა თუ ვარდებით. დღეს საქართველოს ბაზარი ჰოლანდიურმა, ირანულმა, თურქულმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სომხურმა ყვავილებმა დაიპყრო. შესაბამისად, ყვავილის ფასიც საგრძნობლად გაიზარდა. რაც ყველაზე დამაფიქრებელია, სანთლით საძებნელი გახდა ის ჯიშები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა. ახლა ქართულ ტიტასა და მიხაკს ჰოლანდიური ცვლის, აქაური ვარდის ნაცვლად კი, ირანულ ან კოლუმბიურ ვარდებს გვთავაზობენ.

იყო დრო, როცა ყვავილების მოყვანა თბილისის მიმდებარე სოფლებისთვის გაცილებით მომგებიანი იყო, ვიდრე კიტრის ან პომიდვრის. წავკისი, შინდისი, ტაბახმელა, დიღომი -

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრობაზე წარდგენილ კანდიდატთა სია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორი წევრისა და საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს ცხრა წევრის (მეურვის) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილი კანდიდატურების სია:

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორი წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე:

ანა ნაკაშიძე
ნემო ბურჭულაძე
მიხეილ გოთოშია
ლია სონიშვილი
ივანე გოჩიტაშვილი
ლილი ბეგიაშვილი
გია ჯანდიერი
პაატა შეშელიძე
აკაკი მარგალიტაძე
ბონდო ალასანია
ზურაბ ნონიკაშვილი
სერგო შავგულიძე
გივი წულაძე
ზაურ ოტიაშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს ცხრა წევრის (მეურვის) ვაკანტურ თანამდებობებზე:

ზურაბ კანდელაკი
თამაზ ტყემალაძე
ნანა ზურაბიშვილი
ნოდარ ანდღულაძე
ალექსანდრე რონდელი
გიორგი ჭირაქაძე
ნინო ანანიაშვილი
გიორგი როინიშვილი
ეკატერინე მიშველაძე
ვახტანგ ნანიტაშვილი
გურამ კუციავა
ირაკლი ტრიპოლსკი
ნოდარ მანაგაძე
რამაზ ბერიანიძე
მალხაზ ასლამაზაშვილი
დავით ოქიტაშვილი
ოთარ შაორშაძე
ალექსანდრე ვახტანგოვი
კობა ცხაკაია
დავით –დეფი გოგიბედაშვილი
ზვიად ხოფერია
გოგიტა (გოგა) ოქროპირიძე
გურამ მაღლაკელიძე
რუსუდან სებისკვერაძე
ვლადიმერ უგულავა
მამუკა ხერხეულიძე
აკაკი მინაშვილი
გიორგი მელაძე
გიორგი (ვახო) ბაბუნაშვილი
ხათუნა კვესელავა
გოგი (გიორგი) ქავთარაძე
ლინა პანტელეევა
გია ნოდია
ლაშა ბაქრაძე
ია ანთაძე
დავით დარჩიაშვილი
ელისო ჩაფიძე
ლია ჩახუნაშვილი
თამარ შამილი
ნინია კაკაბაძე
ნოდარ ლადარია
თამარ კინწურაშვილი
მაია მიქაშავიძე
ლევან თარხნიშვილი
ზაურ ხალილოვი
ლევან რამიშვილი
ბექა მინდიაშვილი
ნიკოლოზ ყაველაშვილი
ბაადურ კოპლატაძე
ელექსანდრე თელია
გიორგი ხუბუა
იოსებ მჭედლიშვილი
მანანა კარტოზია
სულხან მელაძე
დავით დოიაშვილი
ლევან კორინთელი
გიორგი ამაშუკელი
ნიკოლოზ შენგელაია
თინათინ ხიდაშელი
ანა დოლიძე
შოთა მაქაცარია
დავით წერეთელი
ზურაბ ძიძიგური
ნიკო წულაძე
თამარ ფოცხიშვილი
ზაზა რუხაძე
ზვიად ქორიძე
ბაკურ სულაკაური
ნიკო ორველაშვილი
ბელა გომელაური
მანანა სანაძე
ფრიდონ თოდუა
გიორგი არეშიძე
ნანა ლომიძე.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განცხადება რომის პაპის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რომის პაპის იოანე პავლე მეორეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გუშინ საპატრიარქოში განცხადება გააკეთა.

კათალიკოს-პატრიარქის განცხადებით, იოანე პავლე მეორეს გარდაცვალება არის დიდი დანაკლისი მთელი მსოფლიოსთვის, მისი მოღვაწეობა - მთელი ეპოქა, არა მარტო რომის, არამედ საკაცობრიო ისტორიაში.

ილია მეორეს თქმით, მას განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და პირადად მასთან. "ეს იყო განსაკუთრებული ინტელექტის მქონე ადამიანი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო პოლიტიკა. ის იცავდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ქრისტიანულ მცნებებს. ჩვენ დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ მისი გარდაცვალების გამო," - განაცხადა პატრიარქმა საგანგებოდ გამართულ შეხვედრაზე.

მისი თქმით, საპატრიარქოს წარმომადგენლები უკვე ესაუბრნენ საქართველოს ელჩს ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონს. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია დაკრძალვაზე დელეგაციას გაგზავნის. **ინტერ-პრესი**

რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ახალი გუბერნატორი

გუშინ ამბროლაურში პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სამხარეო ადმინისტრაციაში ახალი რწმუნებული - ოთარ სირაძე წარადგინა. ეს უკანასკნელი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე სახელმწიფო კანცელარიაში რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

პრემიერმა ყოფილ გუბერნატორს მერაბ არჩვაძეს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადუხადა, თუმცა აღნიშნა, რომ "საქართველოს პრეზიდენტის აზრით, რაჭა-ლეჩხუმში უფრო ქმედითი რწმუნებულია საჭირო."

მისივე თქმით, მერაბ არჩვაძეს იგი თბილისში, პრემიერის აპარატში წაიყვანს.

როგორც ახალმა გუბერნატორმა ოთარ სირაძემ განაცხადა, მისი მუშაობის პრიორიტეტი რეგიონის ელექტრომომარაგების გაუმჯობესება და გზების შეკეთება იქნება.

წარდგენის შემდეგ ზურაბ ნოღაიდელი ამბროლაურის რაიონის სოფელ გენდუშში გაემგზავრა, სადაც სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა.

პრემიერი სოფლებში გენდუშსა და ჟოშხაში იმ ადამიანებს შეხვდა, რომლებსაც ორი კვირის წინ ჩამოწოლილმა მეწყერმა სახლები დაუნგრია.

როგორც ჟურნალისტებს ნოღაიდელმა განუცხადა, მისი ვიზიტის მთავარი მიზანი ისაა, რომ ადგილობრივებმა თავი ხელისუფლებისგან მიტოვებულად არ იგრძნონ.

მისი მონაცემებით, გენდუშში რვა სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, ხუთი ოჯახი კი საერთოდ უსახლკაროდაა დარჩენილი. შესაბამისი კომისია ამჟამად ზარალს ადგენს, რის შემდეგაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზარალის ასანაზღაურებლად თანხები გამოიყოფა.

დაზარალებული მოსახლეობა დროებით დაბა ჭრებალოს საავადმყოფოს შენობაში ცხოვრობს.

ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი

პარლამენტი მთავრობას: მადლობასთან ერთად, საყვედური

გიორგი ასანიშვილი

გასულ კვირას ზურაბ ნოღაიდელის მინისტრთა კაბინეტის პირველი "კონტაქტი" შედგა საკანონმდებლო ხელისუფლებასთან: ახალი მთავრობის ფორმირებიდან ორი თვის შემდეგ, პარლამენტში საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის განხილვა დაიწყო.

პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვა საკმაოდ არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა. მთავრობა არ ელოდა, რომ საკომიტეტო მოსმენებს რაიმე გართულებები მოჰყვებოდა - სხვა თუ არაფერი, პროფიციტური ბიუჯეტი დეფიციტურს ნამდვილად სჯობს. მაგრამ მოხდა ისე, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრებს, ქებასთან ერთად, დეპუტატების მხრიდან არაერთი პრეტენზიის მოსმენაც მოუხდათ. გარდა ამისა, პასუხგაუცემელი დარჩა პარლამენტართა ზოგიერთი შეკითხვა.

კანონმდებლებში ყველაზე დიდ შეშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ ქვეყანაში სულ უფრო იზრდება ინფლაციის დონე და მან უკვე საშიშ ნიშნულს მიაღწია. პრივატიზების შედეგად შემოსული ფულის მასის ბაზარზე გამოჩენამ კი, შესაძლოა, ინფლაციური პროცესები უმართავი გახადოს. კულუარულ საუბრებში დეპუტატები კიდევ ერთ საფრთხეზე მიუთითებენ. მათი თქმით, ლარის კურსის სტაბილურობას იმანაც შეიძლება შეუქმნას საშიშროება, რომ ამ სტაბილურობის "გარანტორები" გამოუცდელი ფიგურები არიან - ფინანსთა მინისტრისა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტები ვალერი ჩეჩელაშვილმა და რომან გოცირიძემ სულ ახლახან ჩაიბარეს.

მართალია, მთავრობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ისინი სიტუაციას მთლიანად აკონტროლებენ და ლარის გაუფასურება არ მოხდება, მაგრამ პარლამენტარები მათგან უფრო მეტი სიფრთხილის გამოჩენას ითხოვენ.

"ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა სინქრონულად უნდა იმუშაონ, რათა პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდეს. მათ ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი ინფლაციურ პროცესებს, თორემ, თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება," - საპარლამენტო მოსმენების დროს საკმაოდ კატეგორიულები იყვნენ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე - ირაკლი კოვზანაძე და ლადო პაპავა.

დეპუტატები მთავრობას იმასაც საყვედურობენ, საბიუჯეტო ცვლილებები (ხარჯვით ნაწილში) გაწერილი არ არის და ზუსტ წარმოდგენას არ იძლევა იმაზე, თუ კონკრეტულად რაში უნდა დაიხარჯოს პრივატიზაციიდან მიღებული ფული. თავისი პრეტენზიის საილუსტრაციოდ, პარლამენტარები თავდაცვითი მიზნებისათვის თანხების ერთ "პაკეტად" გამოყოფას ასახელებენ, რაც, "შემარჯვენე ოპოზიციის" აზრით, შეიძლება კორუფციის წყარო გახდეს.

ბიუჯეტის პროექტის საკომიტეტო განხილვის პროცესს მთავრობისთვის არასასიამოვნო ერთი ფაქტორიც დაემთხვა: დაიწყო სკანდალი გლეხებისთვის დასარიგებელი დიზელის საწვავის ფასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე მსჯელობა პარლამენტში დღეს გაიმართება და გამორიცხული არ არის, აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი ხელმძღვანელისთვის სავალალოდ დასრულდეს.

სვანეთი თოვლიანი გაზაფხულის ტყვეობაში

პირველი გვერდიდან

ზამთარი ძალიან გაგვიგრძელდა და ეს მაშინ, როდესაც ზაფხულის განმავლობაში მომხდარი სტიქიის გამო, მოსახლეობამ ზამთრისთვის სათანადო რაოდენობის საკვებისა და საქონლისთვის თივის მომარაგება ვერ შეძლო."

გამგებლის თქმით, ხალხი შიმშილის ზღვარზეა მისული. იხოცება შინაური პირუტყვი. **"შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, საქონლის ბაგური კვება თვენახევრით გაგრძელდება და თუ მთავრობა არ დაგვეხმარება და საჭირო რაოდენობის თივას არ მოგვაწვდის, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ამავე დროს, უშგული უკვე თვეზე მეტია, მოწყვეტილია გარე სამყაროს, ხოლო ტექნიკის მობილიზება ზვავსაშიშროების გამო ვერ ხერხდება. უღვირს ზემოთ 6-7 მეტრი თოვლია. უშგულში ერთი სერიოზული პრობლემაც გვაქვს - გვყავს ფეხმძიმე ქალი, რომელსაც საკეისრო ოპერაცია სჭირდება, სოფელში კი ექიმი არ არის და ვერც მესტიიდან აგვყავს."**

ნინო ჯაფარიძე აცხადებს, რომ ზამთრის განმავლობაში რაიონს დიდი დახმარება გაუწია საგზაო დეპარტამენტმა, რომელმაც იჯარით გასცა ამერიკული თოვლის გამწმენდი – კატარპილერი, რომელიც მხოლოდ ორია საქართველოში. **"ეს რომ არა, გზების გაწმენდას საერთოდ ვერ შევძლებდით. შუქი არ აქვს სოფლებს - ადიშსა და უშგულს. ადიშში 400 მეტრი სიგრძის სადენი თოვლმა მთლიანად დაფარა. ადიშში ზვავსაშიში მდგომარეობის გამო, მთელი სოფელი ერთ, შედარებით უსაფრთხო ადგილას მცხოვრებ ოჯახში ათევს ღამეს."**

გარე სამყაროს მოწყვეტილი კუთხის მცხოვრებლები შექმნილ მდგომარეობაზე მობილური კავშირის საშუალებით საუბრობენ. სოფელ იფარის მკვიდრი ჟინვერ ხვისტანი: **"ზამთარი ნამდვილად ძალიან გაგრძელდა. ზემო სოფლებში საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს, ჩვენს სოფელშიც, 15 თებერვლის შემდეგ მხოლოდ ორჯერ ამოვიდა მანქანა. იფარში კაცსაც უჭირს და საქონელსაც. თივა აღარა გვაქვს. საქონელი შიმშილით გვეხოცება. მხოლოდ ჩვენს სოფელში უკვე თხუთმეტი სული პირუტყვი დაეცა. შუქი ერთი თვეა, აღარა გვაქვს. ბავშვები სოფლის სკოლაში კი დადიან, მაგრამ ეროვნული გამოცდებისთვის მოწმობის ასაღებად მესტიაში ჩასვლას როგორ მოვახერხებთ, არ ვიცი. ხვალ ვაპირებ, დავრაზმო იფარელი ბავშვები და ფეხით ჩავიყვანო მესტიაში. შუშა, ღმერთის წყალობით, არ ჭირს. ჯერჯერობით, ფქვილიც გვაქვს. ღმერთის წყალობით, ყველანი ჯანმრთელად ვართ, ექიმი ჯერ არ დაგვჭირვებია."**

ზედა სოფლებისგან განსხვავებით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა რაიონულ ცენტრში, სადაც, მართალია, შუქის პრობლემა არ აწუხებთ, მაგრამ სამაგიეროდ, შეშა აღარ აქვთ. თუმცა, როგორც მესტიის მკვიდრმა ეთერ ჯაფარიძემ გვითხრა, **"იმხელა თოვლი დევს, ღობეებზე გადავდივართ. ყველა დაწესებულება მუშაობს. მხოლოდ ორი დღე არ წავიდნენ ბავშვები სკოლებში, რადგან მშობლებს სახურავების გადმოთოვლაში ეხმარებოდნენ."**

საკრებულო მდინარე მტკვრის დაცვას ითხოვს

ნანა ქადაგიძვილი

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტმა პირველ ივნისამდე მდინარე მტკვრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების გარემოს დაცვითი ღონისძიებების გრძელვადიანი პროგრამა უნდა შეიმუშაოს. მდინარე მტკვარი დედაქალაქში ისედაც დაბინძურებული შემოდის, თბილისში კი საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლებიც ემატება. საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელი ხშირად ერთმანეთში ირევა. მტკვრის შენაკადები - გლდანულა, ხევძმარა, დიღმისწყალი, ვერე და ლოჭინი, ფაქტობრივად, ღია საკანალიზაციო სისტემას წარმოადგენს, მათი ხეობები კი ნაგავსაყრელებად არის ქცეული – ეს ყველაფერი მცირე მიზეზი ნამდვილად არ არის იმისთვის, რომ საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილება მიეღო. როგორც ეკოპოლიციაში განგვიცხადეს, აღნიშნულის გარდა, მდინარის დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და კვების ობიექტების უმრავლესობაში წყლის გამწმენდი ნაგებობები არ ფუნქციონირებს. საკრებულოს არც ეს საკითხი დაუტოვებია უყურადღებოდ და ქალაქის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს საწარმოებისა და ჯანდაცვის ობიექტების წყალგამწმენდი ნაგებობების სანიტარიული მდგომარეობის შესწავლაც დაავალა.

ორი სიტყვით

თბილისი. კიევში გაიმართა BLACKSEAFOR-ის შეთანხმების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების სპეციალურ წარმომადგენელთა მე-2 შეხვედრა, რომელშიც საქართველოს მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ქავთარაძე მონაწილეობდა. ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, თურქეთის, რუსეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა განიხილეს და მიიღეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი, სახელწოდებით: "BLACKSEAFOR-ის გამოყენების პრინციპები, გამიზნული ტერორიზმის საფრთხის, მასობრივი განადგურების იარაღის, მისი გადამტანი საშუალებისა და მასთან დაკავშირებული მასალების უკანონო გადაზიდვების პრევენციისკენ". შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე, რომელშიც განსაზღვრულია BLACKSEAFOR-ის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მედიანიუსი

■ ■ ■

თბილისი. დღეს თურქეთის ქალაქ ერეღლში, სამხედრო საზღვაო ბაზაზე "Black sea for"-ის (შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფი) სწავლების მე-4 აქტივაციის მეორე ეტაპი იწყება.

სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, რუსეთისა და საქართველოს სამხედრო-საზღვაო ხომალდები. ქართული მხრიდან სასწავლო პროცესში მონაწილეობას მიიღებს ბორტი 303 "დიოსკურია".

სწავლების მთავარი მიზანია უსაფრთხოების ზომების მიღება ზღვაზე, საძიებო სამაშველო სამუშაოების პრაქტიკული ჩვევების დახვეწა და წყალქვეშა ნავის გადარჩენის ოპერაციის ჩატარება. სწავლების პერიოდში გათვალისწინებულია ხომალდების ბულგარეთისა და რუმინეთის ტერიტორიულ წყლებში შესვლა.

ინტერ-პრესი

■ ■ ■

თბილისი. რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი 2 აპრილს თბილისში იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში იგი თავისი მეგობრის, ბადრი პატარკაციშვილის მოწვევით ჩამოვიდა. ვიზიტის მიზანი არ კონკრეტდება. ბორის ბერეზოვსკი, პოლიტიკური დევნილის სტატუსით, დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს.

მედიანიუსი

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

მკვდრადშობილის გარდაცვალება

პირველი გვერდიდან

"წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის, ხალხთა თვითგამორკვევის განუყოფელი უფლებისა და გარედან ჩაურევლად თავისი ბედის განკარგვის უფლების პატივისცემა; სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარი სამართალსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებზე; სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა და უარის თქმა სხვისი ტერიტორიის დანაწევრებისათვის მიმართულ ნებისმიერ მოქმედებაზე; წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობა; ერომანეთის საშინაო და საგარეო საქმეებში ჩაურევლობა."

სწორედ ეს არის ის პრინციპები, რომლის შეუსრულებლობაშიც დსთ-ს წევრი სახელმწიფოები, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით, რუსეთის ფედერაციას სდებენ ბრალს.

ეს არის ის პრინციპები, რომელთა შეუსრულებლობის გამოც, რამდენიმე კვირის წინ, სომხეთში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იძულებული გახდა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაეფექტურობა ეღიარებინა.

ვლადიმირ პუტინის სომხეთში ვიზიტი ყირგიზეთში გადატრიალების ფონზე მიმდინარეობდა, მაშინ, როდესაც კრემლს კიდევ ერთი სახელმწიფო ეცლებოდა ხელიდან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის არაეფექტურობის აღიარება კი პრეზიდენტმა იმ სახელმწიფოში გააკეთა, რომელიც დღეისათვის ყველაზე ლოიალურია კრემლის პოლიტიკის მიმართ. სომხეთი - რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი კავკასიაში და რესპუბლიკა, რომელიც საკუთარ უსაფრთხოებას მის ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზას უკავშირებს და კარგად აცნობიერებს რუსეთის პოზიციის მნიშვნელობას ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში.

თუმცა, კრემლის პოლიტიკის მიმართ უკმაყოფილება იქაც შეინიშნება.

"სასურველია, რომ რუსეთის პოლიტიკის არსი რეალურ ვითარებას ეხმიანებოდეს. მე ვარ ის ადამიანი, რომელსაც ვერც კი წარმოედგინა, რომ ოდესმე რუსეთის კრიტიკა მოუხდებოდა. მაგრამ ამჟამად მე ვაკრიტიკებ რუსეთის პოლიტიკას. რატომ? იმიტომ, რომ ვხედავ, ამ სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანი რუსეთისა და სომხეთისათვის სახელმწიფოებრივი სარგებელი არ არის. მიზანია ორპორატიული ჯგუფების ინტერესების რეალიზაცია, რომელსაც ჩემი სახელმწიფოს ინტერესებთან საერთო არაფერი აქვს," - აცხადებს სომხეთის პარლამენტის ფრაქცია "გაერთიანებული შრომის პარტიის" ლიდერი გურგენ არსენიანი.

მაგრამ პუტინის და კოჩარიანის შეხვედრები სწორედ დსთ-ს პრობლემებზე იყო კონცენტრირებული.

"დსთ-ს შექმნის მთავარი მიზანი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეძლებისდაგვარად მსუბუქი გაყრის უზრუნველყოფა იყო. ეს ფუნქცია დსთ-მ შეასრულა," – განაცხადა ერევანში გამართულ პრეს-კონფერენციაზე კრემლის ლიდერმა.

პუტინის აზრით, ყველა იმედგაცრუება **ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში** ზედმეტმა მოლოდინმა გამოიწვია.

"თუ ევროპის ქვეყნები ევროკავშირის ფარგლებში ერთობლივად გაერთიანებისთვის მუშაობდნენ, დსთ ცივილიზებული გაყრისთვის იქმნებოდა. აი, რაშია განსხვავება. ყველაფერი დანარჩენი პოლიტიკური ყბედობაა. და თუ ვინმე დსთ-სგან რაიმე განსაკუთრებულს ელოდა, ეს არ მომხდარა, რადგან არც შეიძლება მომხდარიყო," - თქვა მან.

ამასთან, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დსთ-ს შენარჩუნების მომხრეა. იგი მიიჩნევს, რომ ეს საკმაოდ სასარგებლო კლუბია ურთიერთთანამშრომლობისთვის.

"დსთ საკმაოდ სასარგებლო კლუბია ურთიერთთანამშრომლობისა და ინტეგრაციისათვის, მათ შორის - ჰუმანიტარული და ადმინისტრაციული ურთიერთობებისთვის და ჩვენ ის არ უნდა დავკარგოთ," – ხაზგასმით აღნიშნა პუტინმა.

ბოლო პერიოდში მოსკოვი გამუდმებით ფიქრობდა იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონოდა დსთ-ს ქვეყნებთან. სულ რამდენიმე თვის წინ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დსთ-ს ფუნქციებს სულ სხვაგვარად აფასებდა. **"ჩვენ ალტერნატივის წინაშე ვდგავართ. ან შევძლებთ დსთ-ს გაძლიერებას, მის ბაზაზე შევქმნით რეალურად მომუშავე და მსოფლიოში გავლენიან რეგიონულ სტრუქტურას, ან ამ გეოპოლიტიკური სივრცის გარდაუვალი შესუსტება ნამდვილად წინ გველის,"** – აცხადებდა იგი 2004 წლის ივლისში.

მაგრამ, დროთა განმავლობაში, დსთ-ს ფუნქციონირებამ აზრი დაკარგა, რადგან წევრი ქვეყნები მის საჭიროებას ვეღარ ხედავენ. საქართველოსა და უკრაინის ახალი პრეზიდენტები სუუამი-ს (საქართველო, უზბეკეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) გაძლიერების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ დსთ-ს დახასიათებისას აღნიშნა, რომ დღეს ეს არის "მანქანა", რომელიც დიდი შრომის შედეგად შეიქმნა, თუმცა საბოლოოდ ნაკლებ პროდუქტიულია.

"მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით მცირეა, ვიდრე იყო მოლოდინი. ეს არის ფაქტი, რომელსაც ყველა მხარე აშკარად აღიარებს," – თქვა მან.

თუმცა, აღნიშნა, რომ თბილისსა და კიევს შორის სუუამი-ს ფარგლებში თანამეგობრობის გაძლიერება **"დსთ-დან გამოსვლას არ ნიშნავს".**

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინელი კოლეგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დსთ-ს ფარგლებში ურთიერთობათა რაციონალურობა უმთავრესი პრიორიტეტია.

"ყველაფერი ეკონომიკური ინტერესების პრაგმატიზმზე ფუძნდება," – განაცხადა მან.

დსთ-ს მიმართ საქართველოს სკეპტიკური დამოკიდებულების მიზეზები ნათელია, მაგალითისთვის კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ მიღებული თუნდაც ერთი დოკუმენტი - 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება - "საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების გზები" - გამოდგება.

პრობლემის მოუგვარებლობით ღრმა შეშფოთების გამო, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ, სხვა საკითხებთან ერთად, აკრძალვებიც დააწესა: **"იმის აღიარებით, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წევრი სახელმწიფოები, საქართველოს ხელისუფლების გარეშე, აფხაზეთის მთავრობასთან არ განახორციელებენ სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო და სხვა ოპერაციებს; აფხაზეთის ან მის ტერიტორიაზე მოქმედ სტრუქტურათა, ასევე მათ მიერ შექმნილი სამხედრო ფორმირებების წარმომადგენლებთან არ დაამყარებენ ოფიციალურ კონტაქტს; დსთ-ს წევრი სახელმწიფოები არ დაუშვებენ საკუთარ ტერიტორიაზე აფხაზური მხარის ხელისუფლების წარმომადგენლობების, ასევე, ამ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების ფუნქციონირებას."** რამდენად ამართლებს და ამართლებდა რუსეთის ფედერაცია დსთ-ს წესდების მიზნებს საქართველოსა და სხვა წევრი სახელმწიფოების მიმართ და, კონკრეტულად, ზემოთ აღნიშნულ შეთანხმებას აფხაზეთთან მიმართებაში, მრავალი წლის განმავლობაში აშკარად ჩანდა.

რუსეთი არათუ არ ასრულებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის პრინციპებს, იგი მიზანმიმართულად არღვევდა მათ. მაგალითი უამრავია: სოხუმთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის (სხვათა შორის, ისევე, როგორც საქართველოს კიდევ ერთ კონფლიქტურ ზონაში – სამხრეთ ოსეთში) რუსული პასპორტების დარიგება. სისტემატური ხასიათი აქვს ეკონომიკურ, ენერგეტიკულ თანამშრომლობას. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის ოფიციალური პირები (მათ შორის, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი) უძრავ ქონებას იძენენ. რუსი მაღალჩინოსნების სოხუმში გაუთავებელი ვიზიტები, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოსკოვში გახშირებული, მაღალ დონეზე მომზადებული "ოფიციალური" შეხვედრები (რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის ჩათვლით), დე ფაქტო ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენა (მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოების მიერ არაღიარებულ არჩევნებში), ხელის შუშლა კონფლიქტის მოწაწილე მხარეებს შორის ვითარების დარეგულირებაში, და ბოლოს, სეპარატისტული რეჟიმის ღია მხარდაჭერა და საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ წაქეზება - ეს იმის მაგალითებია, თუ რა "სერიოზულ" მნიშვნელობას ანიჭებდა თავად რუსეთი დსთ-ს დოკუმენტების შესრულებას.

"დსთ თავიდანვე მკვდრად იყო შობილი, – მიაჩნია "რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთ ლიდერს ლევან ბერძენიშვილს, – **ეს ორგანიზაცია არავისთვის არასდროს ყოფილა საჭირო, მისი მიზანი მხოლოდ ერთი იყო – უნდა უზრუნველეყო რუსეთის დაკმაყოფილება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. დღესდღეობით კი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებს არანაირი საერთო არ სურთ ჰქონდეთ საბჭოთა კავშირთან და არც მსოფლიოში რუსეთის ლიდერობას აღიარებენ."**

რაც შეეხება საქართველოს მდგომარეობას, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი მიიჩნევს, რომ თავის დროზე, დსთ-ში საქართველოს გაწევრიანება შეცდომა იყო და **"ყველა, ვინც ამას ხმა მისცა, დღეს უნდა ნანობდეს, რადგან ამ ორგანიზაციის წევრი რომ არ ვყოფილიყავით, დღეს ყველაფერი უკეთესად იქნებოდა."**

გარდა ამისა, ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ სუუამ-ის ჩამოყალიბება და დღეს მის გაძლიერებაზე საუბარი პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ დსთ არ არსებობს. **"დღეს დსთ არის ტვირთი, რომელსაც რატომ ატარებს სიამოვნებით ჩვენი ხელისუფლება, ვერავინ ხვდება,"** – აღნიშნავს ლევან ბერძენიშვილი, - **ალბათ, იმიტომ არ ჩქარობენ გამოსვლას, რომ ვადაზე ადრე არ გააღიზიანონ რუსეთი."**

"დსთ-მ ისტორიულად პოზიტიური ფუნქცია შეასრულა იმ თვალსაზრისით, რომ ის შედარებით ცივილიზებული განქორწინების ფორმა იყო. მეორე მხრივ, მან რუსეთისთვის სასარგებლო ილუზია შექმნა და იმპერიის დამსხვრევის ტრავმა შედარებით შეუმსუბუქა," – მიაჩნია პოლიტოლოგ გია ნოდიას. იგი აღნიშნავს, რომ "ცივილიზებული გაყრის" იარაღად დსთ-ს აღქმა სასარგებლო იყო მისი წევრი ქვეყნებისთვისაც, მათ შორის, საქართველოსთვის.

ნოდიას აზრით, ის, რისიც რუსეთში სჯეროდათ და საქართველოში აშინებდათ, რომ დსთ რუსეთის გარშემო სახელმწიფოთა ახალი ინტეგრაციის ფორმა და იარაღი გახდებოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა ილუზია.

რაც შეეხება ამ ორგანიზაციიდან საქართველოს გამოსვლას, პოლიტოლოგის აზრით, **"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ამჟამად იმდენად არამნიშვნელოვანი ორგანიზაციაა,"** რომ ამ ქმედებას დადებითი შედეგი არ ექნება.

"დსთ-დან მხოლოდ საქართველო რომ გამოვიდეს, ეს იქნება დემონსტრაციული აქტი, რომელიც იმის მიხედვით უნდა გათვალო, თუ რა კონკრეტულ შედეგს და სიკეთეს მოგიტანს," **– განაცხადა მან.**

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმენენ გადაცემას დღის სასამართლო. გადასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაუთის მსმენელი თქნებით თქვენ.

სიყვარული მითია...

მოსამართლე	გაგა გოცრონიძე
ბრალდებული უმუშევარი	იესე ყორღანაშვილი, დოქტორი, დროებით ინსტიტუტი პროგრამების ჯაჭვში სიყვარული ერთ-ერთი რგოლია, რომელიც გამრავლების ინსტინქტის რეალიზებაში ჯეჯილარება. დანარჩენი მითია. ის გამოიყურებაარეოდორც ლამაზი შეფუთვა. სასიყვერულო ლექსები, სიმღერები, ხანგრძლივი, რესტორანში დაპატიჟება და ა. შ. უბრალოდ არშიყობის ინსტინქტია...
ადვოკატი	ქვეყვან «შეყვარებული»: სიყვარული ცხოვრების ძალა და სტიმულია. გრეთას ოლი და მშვენიერი ელენეს გაგაცეების მაგალი ხომ სიყვარულია! თქვენ გინდათ დაამტკიცოთ,რომ ადამს ევა არ უყვარდა?!
ვერდიქტი	თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა (ცხრა ხმა სამის წინააღმდეგ) აღიარა,რომ სიყვარულის სჯერა

1.	მარინა აბულაძე	(არ მჯერა)	7. ლიკა (მჯერა)
2.	ნანი	(არ მჯერა)	8. ფიქრია (მჯერა)
3.	გურგა ობოლაძე	(მჯერა)	9. ნინო (მჯერა)
4.	თეკლა	(მჯერა)	10. მაღლენა მაჭარაშვილი (მჯერა)
5.	მარიამ ლაფურამეული	(არ მჯერა)	11. მაია ფრეშაძე (მჯერა)
6.	ბაბო	(მჯერა)	12. ეთო (მჯერა)

მინისტრი ჯარისკაცებს ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა გაარკვიეს, რომ კუკავა ჯერ კიდევ 9 მარტს თავს ცუდად გრძნობდა. მიუხედავად ამისა, ასეულის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა გელა ლომსაძემ ახალწვეული დასაჯა და მთელი ღამე წელს ზემოთ შიშველი ამორიგევა. შედეგად, ახალწვეულის მდგომარეობა უკიდურესად გართულდა და იგი რამდენიმე დღე სამხედრო ნაწილის ლაზარეთში იწვა, შემდეგ კი, 23 მარტიდან სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა გუშინ სცადეს, ახსნა-განმარტება ჩამოერთვათ ლომსაძისთვის, რასაც ნაწილის იურისტის სვანაძისა და სამსახურის უფროსის გიორგაძის ჩარევამ შეუშალა ხელი.

"ჩვენ მიერ მოკვლეული მასალებიდან გამომდინარე, გელა ლომსაძის ქმედებაში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. სახალხო დამცველის აპარატი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პროკურატურას, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და დამნაშავე პირი პასუხისგებაში მიეცეს," - აცხადებენ ომბუდსმენის ოფისში.

გუშინ ნაწილი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მოინახულა. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, მას ომბუდსმენის აპარატის წევრებისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია აქვს. მისი მტკიცებით, სამხედრო ნაწილში ხელმძღვანელობის მხრიდან ჯარისკაცების მიმართ სასტიკ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია და რიგითები, ჩვეულებრივ, საწესდებო ფორმით დაისაჯნენ. **„ამდენად, ნაწილის უფროსს, კაპიტან გელა ლომსაძეს მე თანამდებობიდან არ გავათავისუფლებ. ის მუშაობას ჩვეულებრივად გააგრძელებს. ჯარისკაცებმა სამხედრო დისციპლინა დაარღვიეს და მეთაური მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. მოვუწოდებ მას, ასე გააგრძელოს მანამ, ვიდრე ჯარისკაცები ფორმაში არ ჩადგებიან. ჯარისკაცების განცხადება, რომ ყაზარმებსა და ტუალეტს არ დაალაგებენ და დამლაგებელი უნდა ვიქირაოთ, უსამართლოა. ისინი ამისთვის დაისჯებიან და 10 კილომეტრს მარშით გაირბენენ,"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი. მისივე განმარტებით, **"ჯარისკაცებისთვის აუცილებელია გარკვეული დასჯა, რათა ისინი ფორმაში ჩადგნენ. ჯარი არ არის საბავშვო ბაღი, ან რაიმე გასართობი დაწესებულება. ამ დისციპლინით ისინი პიროვნებებად უნდა ჩამოყალიბდნენ,"** - ასეთი გახლავთ თავდაცვის მინისტრის პოზიცია.

"24 საათი" გუშინ სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა და თავდაცვის მინისტრის აღნიშნული განცხადების კომენტირება სთხოვა. როგორც მონიტორინგისა და გამოძიების დეპარტამენტის მართლმსაჯულების სექტორის ხელმძღვანელმა გოგა ონიანმა განაცხადა, **"მინისტრის განცხადების მიუხედავად, არ იცვლება ის ფაქტი, რაც საგურამოში მოხდა. ეს ფაქტი ფაქტად დარჩა. ჩვენ ოცდაათამდე ახსნა-განმარტებითი წერილი გვაქვს, რომლებიც ჯარისკაცებმა დაწერეს და იქ მითითებულია, თუ როგორ ილახებოდა მათი უფლებები და რა შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. ასე რომ, ცხადია, ჩვენ ჩვენს პოზიციაზე ვრჩებით."**

24 საათი

ირაკლი ოქრუაშვილი "მემარჯვენეებს" სკანდალური განცხადებით პასუხობს

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი "ახალი მემარჯვენეების" მიმართ სკანდალურ განცხადებას აკეთებს. ოპოზიციის მხრიდან კონტრაბანდისტების მფარველობაში დადანაშაულებული ოქრუაშვილი აცხადებს, რომ ეს ბრალდება ისეთივე აბსურდია, როგორც იმის მტკიცება, რომ ფიქრია ჩიხრაძე და დავით გამყრელიძე შემოსავალს პროსტიტუციიდან იღებენ.

"მე რომ ახლა სქემა გამოვკიდო, სადაც დაბლა ჩიხრაძე იქნება, თავში კი - გამყრელიძე, და ვთქვა, რომ ფიქრია ჩიხრაძე ყოველ საღამოს ატარებს ცირკთან, შემოსავალს იღებს პროსტიტუციით და დავით გამყრელიძეს, როგორც მთავარ სუტენიორს, შემოსავალს აძლევს, ამას ვინმე დაიჯერებს?!" - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

"ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ოქრუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა და "არასერიოზული" უწოდა. "თავდაცვის მინისტრთან ჩვენი მტრობა გაგრძელდება მანამ, სანამ ამ ოქრუაშვილი არ მიხვდება, როგორი უნდა იყოს თავდაცვის ღირსეული მინისტრი. მრცხვენია, რომ საქართველოს თავდაცვის სისტემას, გარდა კონტრაბანდის მფარველობისა, აბსოლუტურად უღირსი ხელმძღვანელი ჰყავს. ოქრუაშვილი და მისთანები ამგვარი პოლიტიკითა და უხამსობით ნამდვილად ციხეში დაასრულებენ მოღვაწეობას. ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ საქართველოს ამგვარი ხელისუფლება ჰყოლოდა," - განაცხადა ჩიხრაძემ. **ინტერ-პრესი**

ვანო მერაბიშვილმა და გიგი უგულავამ სწრაფი რეაგირების ბატალიონის პოზიციები დაათვალიერეს

3 აპრილს, გვიან ღამით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გიგი უგულავამ ენგურის ზოლზე განლაგებული სწრაფი რეაგირების ბატალიონის პოზიციები დაათვალიერეს.

ისინი იმყოფებოდნენ ზუგდიდის რაიონის ორ სოფელში - ახალ აბასთუმანში და ხურჩაში. ახალი აბასთუმნიდან, სადაც ე.წ. ნაფატის ფონი მდებარეობს, ძირითადად, გალიდან ზუგდიდის მიმართულებით მოძრავი კონტრაბანდული ტვირთი შემოდიოდა. რაც შეეხება ხურჩას, ის გალის რაიონის სოფელ ნაბაკევს ესაზღვრება.

ვანო მერაბიშვილმა სანგრები და პოზიციები დაათვალიერა, საიდანაც 200 მეტრში სადემარკაციო ხაზი გადის. მისი განცხადებით, "აქ მყოფი ჯარისკაცები იცავენ ქართველი მოსახლეობის მშვიდ ძილს და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა მათ მშვიდად და სათანადოდ აღჭურვილად იგრძნონ თავი."

მერაბიშვილის განცხადებით, სწრაფი რეაგირების ბატალიონს დაემატება 90 წვევამდელი, რომლებიც ენგურის ზოლზე მდებარე პოზიციებზე გადანაწილდებიან.

მინისტრმა პირადად დააჯილდოვა სწრაფი რეაგირების ბატალიონის რამდენიმე რიგითი და ოფიცერი ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში 22 მარტს, რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ თვითნებური მანევრირების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის. ჯილდოზე "მხედრული მამაცობისთვის" ბატალიონის რამდენიმე წევრია წარდგენილი.

თავის მხრივ, რწმუნებულმა უგულავამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარის მოთხოვნას, სწრაფი რეაგირების ბატალიონის რამდენიმე პოსტის დაახლოებით 200 მეტრით უკან დაწევის შესახებ, ქართული მხარე არ იზიარებს, ვინაიდან ქართველი პოლიციელები და სწრაფი რეაგირების ბატალიონის წევრები განლაგებული არიან ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე და, აქედან გამომდინარე, მათი გადაადგილება აფხაზურ მხარესთან შეთანხმებას არ საჭიროებს. **ინტერ-პრესი**

ყვავილების ქვეყანა

პირველი გვერდიდან

ლევანი ბურჭულაძის ფოტო

აქ ყველა მოსახლეს თითო სათბური მაინც ჰქონდა. დღეს ამ სოფლებში სათბურებიდან რკინის კარკასებიღა შემორჩა. ნელ-ნელა წარსულს ბარდება ის დრო, როცა საქართველოში გახარებული ყვავილები, შინ თუ გარეთ, ისევე კარგად იყიდებოდა, როგორც დღეს ჰოლანდიიდან შემოტანილი ქრიზანთემა თუ ორქიდეა ფასობს. რას იზამ, საქართველო აღარ არის ყვავილების ქვეყანა და ამ რეალობასთან შეგუება, ჯერჯერობით, ჩვენც გვინევს.

მიზეზი სავსებით ნათელია: ყვავილების მოყვანა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე მათი იმპორტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. განა, რამდენად უნდა გაყიდოს ქართველმა ფერმერმა ყვავილი, დენის და წყლის გადასახადი რომ დაფაროს? დაახლოებით, 1000 კვადრატული მეტრის სათბურს თვეში 5 000 ლარის საწვავი, წყალი და ნაკელი სჭირდება. არადა, საკმარისია, სათბურში ერთი დღით გაითიშოს დენი ან გაზი, ყვავილი ვერ ხარობს და ფერმერიც ზარალდება. საბურავების დაწვით კი, რასაც ხშირად მიმართავენ ჩვენი გლეხები, ორანჟერეას დიდხანს ვერ გაათბობ. ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა სათბურები, უმთავრესად იმ ყვავილებს ახარებენ, რომელთაც განსაკუთრებული მოვლა და სითბო არ სჭირდება. როგორ მოახერხეს ჰოლანდიელებმა ამ პრობლემის გადაჭრა, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მაგრამ ფაქტებს ვერსად გაექცევი: იქიდან ჩამოტანილი ყვავილები გაცილებით დიდხანს ძლებს, ვიდრე აქ გახარებული. მიზეზი ამ შემთხვევაშიც ნათელია: ჰოლანდიაა და არა საქართველო. იქ კი ყვავილების მოყვანა უახლესი ტექნოლოგიების სრული დაცვით ხდება, ამიტომაც ხარობს ჰოლანდიის ორანჟერეებში სხვადასხვა ტროპიკული თუ სუბტროპიკული მცენარეები. ამის მიუხედავად, ამ დარგის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ მეყვავილეობის აღორძინება ჩვენთანაც შესაძლებელია, თუ, რასაკვირველია, სახელმწიფო ქართველ ფერმერებს გარკვეული დროით მაინც შეღავათებს დაუწესებს.

■ ■ ■

მთათეთრა - სამი ცალი 4 ლარად; მიხაკი - ხუთი ცალი 3 ლარად; სამი გერბერა - 5 ლარი; ხუთი ტიტა - 2 ლარი... ქუჩის ფასები არც ისე დაბალია და არც ასორტიმენტია ფართო. მაგრამ ქუჩაში დღეს, გლეხის ნაცვლად, გარემოვაჭრე დგას, ის კი საქონელს ყვავილების ბირჟაზე ყიდულობს და თითო ცალზე დაახლოებით 20 თეთრს იგებს. ამას ემატება ქუჩაში ვაჭრობის გადასახადი დღეში სამიდან ხუთ ლარამდე (უბანს გააჩნია) და იმ ფართის საფასური, სადაც ღამით ყვავილებს ინახავენ. თუ გარემოვაჭრეს საღამოს ხუთი ლარი დარჩება, ჩათვალეთ, რომ დღემ წარმატებულად ჩაიარა. არის იშვიათი გამონაკლისები, როცა შემთხვევით რომელიმე უცხოელი ჩამოივლის და ლარიან კონას პარიზის ან ნიუ-იორკის ფასებში მიჰყიდიან, მაგრამ ასე ძალზე იშვიათად ხდება. თითო წერტილში ოთხი-ხუთი მეყვავილე მორიგეობით დგას და გრაფიკს მკაცრად იცავს. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ ნახევარი თვე ვაჭრობს, დანარჩენ დღეებში მათ ადგილს სხვები იკავებენ. გამონაკლისი დედის დღე და რვა მარტია, როცა ქუჩა ყვავილებით ივსება და კონკურენცია აზრს კარგავს. ყველაზე ცუდად ყვავილები მარხვის დროს იყიდება, დანაკლისის შევსება სასწავლო წლის დასაწყისში ან დასასრულს ხერხდება.

საგანგებო შემთხვევებისთვის არსებობს განსაკუთრებული მაღაზიები - მდიდარი კლიენტებითა და განსხვავებული შეკვეთებით. ქუჩის მოვაჭრეებისაგან განსხვავებით, მოდური სალონების მეპატრონეები კარგად მაშინ ვაჭრობენ, როცა ქალაქში რომელიმე ცნობილი პიროვნება კვდება. ასეთ დროს თავმოყვარე ქართველი ჭირისუფალთან ხელდამშვენებული მიდის და მაღაზიის მეპატრონეებს ძვირადღირებულ გვირგვინებს ან თაიგულებს უკვეთავს. თბილისში არსებული მაღაზიების უმრავლესობა ჰოლანდიიდან ჩამოტანილი ყვავილებით ვაჭრობს. მაშინაც კი, როცა თაიგული ან გვირგვინი აქაური ყვავილებით ირთვება, მარკის ასარნევად აუცილებლად გეტყვიან, რომ ეს ყვავილები პირდაპირ ჰოლანდიიდანაა. ასეთ მაღაზიებში ყვავილის ფასი საგრძნობლად მაღალია. ერთი ტოტი მატიოლა - 3 ლარი; ერთი ტოტი ორქიდეა - 35-დან 80 ლარამდე; ერთი ტოტი ბამბუკი - 10 ლ; ერთი ცალი კოლუმბიური ვარდი - 5 ლ; ჰოლანდიური მიხაკი - 3 ლარად; შროშანების ფართო ასორტიმენტი 7-დან 15 ლარამდეა შეფასებული. რაც შეეხება ქოთნის დეკორატიულ ყვავილებს, რომლებიც, უმთავრესად, ინტერიერების გასაფორმებლად გამოიყენება, ისინი 20, 45, 60, 80 ლარადაა შეფასებული. მაღაზიებშივე იყიდება მცენარეების თესლები – რა თქმა უნდა, ჰოლანდიიდან. საკმაოდ მაღალი ფასის მიუხედავად, ახალი ქართველები განსაკუთრებით ორქიდეებს ეტანებიან. ამ მცენარით ირთვება საქორწილო თაიგულებიც და სამგლოვიარო გვირგვინებიც. ასე რომ, ფლორადიზაინის ქართველმა სპეციალისტებმა სხვადასხვა ჯურის ორქიდეა სრულად აითვისეს. ვისაც მთელი ტოტის შესაძენად ფული არ ჰყოფნის, მას მუყაოს ყუთებში ჩადებულ თითო ყვავილს სთავაზობენ. თავის მოსაწონებლად ესეც გამოდგება.

■ ■ ■

ოფიციალური ვერსიით, ჰოლანდიიდან ყვავილებისა და შესაბამისი აქსესუარების გამოწერა ყველას შეუძლია. არაოფიციალურად - აქ კონკურენცია გაცილებით მძაფრია, ვიდრე ქუჩაში, რადგან საქმე უფრო დიდ თანხებს ეხება. რამდენად წარმატებულია ყვავილების ბიზნესი, ეს, რა თქმა უნდა, კომერციული საიდუმლოებაა, მაგრამ მაღაზია-სალონების ადგილმდებარეობით თუ ვიმსჯელებთ (ვერა, ვაკე, საბურთალო), უნდა ვივარაუდოთ, რომ ყვავილების შემოტანა იმპორტიორებსაც და მაღაზიის მფლობელებსაც დღეში ხუთ ლარზე გაცილებით მეტ მოგებას უტოვებს. ამის მიუხედავად, მაღაზიის მეპატრონეები სახელმწიფოს რამდენიმე პრეტენზიას უყენებენ. პირველი და უმთავრესი საბაჟო გადასახადია. მაგალითად, ერთი ყვავილი ჰოლანდიაში, შესაძლებელია, 20-30 ცენტად იყიდო, მაგრამ საბაჟოზე მაინც 50 ცენტად შეგიფასებენ. ვერ გეტყვით, რა პრინციპით ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფო, მაგრამ ეჭვი მაქვს, მებაჟეები კვლავინდებურად სცოდავენ და ზუსტად ვერ (თუ არ) აღრიცხავენ, ერთ ყუთში 2000 ცალი ტიტა დევს თუ 25000. მაღაზიის მეპატრონეებს არც ის მოსწონთ, რომ სახელმწიფო მათ კანონის დარღვევას თავად აიძულებს. ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, როცა მაღაზია ზაფხულობით ყვავილებს საქართველოში ყიდულობს, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი არც ფერმერს და არც დილერს არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ყვავილები მოდურ მაღაზიებში კანონის დარღვევით ხვდება. როცა მაღაზია-სალონები ჰოლანდიიდან გამოწერილი ყვავილების პარტიას ბოლომდე ვერ ითვისებენ, The best from Holland ყვავილების ბირჟიდან ქუჩის მოვაჭრეებთან ასევე კანონის გვერდის ავლით ხვდება და, საბოლოოდ, ყველა გზა დეზერტირების ბაზარში მიდის.

ბირჟაზე დილის ოთხი საათიდან სამი საათის განმავლობაში ყვავილებით ვაჭრობა ბაზრის მკაცრ კანონებს ემორჩილება. აქაურმა დილერებმა ზუსტად იციან, როდის ჩამოდის ამსტერდამი-თბილისის რეისი ან როდის შემოდის ნითელ ხიდზე ყვავილებით დატვირთული კონტეინერი ირანიდან. აქ ყველა ყველას იცნობს. ახალ სახეებს აქკარად არ სწყალობენ - ბევრიც რომ შეაძლიო, მუდმივ კლიენტებს საქონელს არ დააკლებენ. საიდან შემოაქვთ ყვავილები? - ამ კითხვის დასმა ბირჟაზე სახიფათოა. უკეთეს შემთხვევაში, არიფი ეგონებით, უარეს შემთხვევაში - "ორგანოს მუშაკი". ზვიდი საათისთვის ბირჟა იხურება და ირანული, თურქული, ჰოლანდიური და, აქა-იქ, ქართული ყვავილები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იგზავნება. ყვავილებს მიჰყვება გოფრირებული ქაღალდებისა თუ ჭრელი ლენტების დასტა და შესაბამისი ინსტრუქციები ფასების სავარაუდო ცვლასთან დაკავშირებით.

■ ■ ■

ბოტანიკური ბაღის ორანჟერეაში მუდმივი გაზაფხულია. ამ უნიკალურ ბაღს პატრონი გამოუჩნდა და იშვიათი მცენარეების კოლექცია განადგურებას გადაურჩა. მინდა მჯეროდეს, რომ ოდესმე ასეთი ორანჟერეები ჩვენი ფერმერების კარ-მიდამოებშიც გაჩნდება და სხვა ქვეყნებში თბილისის აეროპორტიდან აფრენილ თვითმფრინავებს მხოლოდ მგზავრები არ დაელოდებიან. სხვა თუ არაფერი, სამხრეთის ქვეყანა ვართ და ჩვენთან სათბურების გათბობას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება. რაც შეეხება საქართველოში გამოყვანილ მცენარეებს, თუ მატერიალური დაინტერესება იქნება, ჩვენს ბინებსა თუ ოფისებს ისინიც დიდხანს დაამშვენებენ.

ვაზისუბნელები „მაგთის" გადამცემ ანძას უჩივიან

წელიწადზე მეტია, ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონის მცხოვრებლებს საჩივარი ინსტანციიდან ინსტანციაში შეაქვთ და ამ მიკრორაიონში, პურის ერთ-ერთი საცხობის სახურავზე დამონტაჟებული "მაგთის" გადამცემი ანძის მოხსნას ითხოვენ. ვაზისუბნელებმა ბედი კიდევ ერთხელ სცადეს და თბილისის ახალი ხელისუფლების გასაგონად დაწერილი წერილი "24 საათის" რედაქციას გამოუგზავნეს.

ნანა ქადაგიშვილი

"გასული წლის დეკემბერიანვარში ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონში მდებარე პურის საცხობის სახურავზე (ეკლესიის პირდაპირ), მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, "მაგთის" უძლიერესი ანტენა დამონტაჟდა. მას შემდეგ აქაურ მოსახლეობაში ძლიერ იმატა დაავადებებმა, განსაკუთრებით გვაწუხებს თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა და წნევა. მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, საკრებულოს, მაგრამ ძველ მთავრობას ჩვენთვის არ ეცალა. კარგად გვესმის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მობილურ კავშირებს, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ აღნიშნული ანტენები დასახლებული პუნქტიდან მოშორებით უნდა იყოს დამონტაჟებული. გვიშველეთ, სანამ უბედურება მოხდება," – ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონის მობინადრეები იმედოვნებენ, რომ მათი სათხოვარი მერისა და პრემიერის ყურამდე მიაღწევს.

"მაგთის" ხელმძღვანელობა ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონის მცხოვრებთა ჩივილის მიზეზს აბსურდად მიიჩნევს და მოსახლეობის დამშვიდებას ცდილობს. **"ჩვენი გადამცემი სადგური ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონში წელიწადზე მეტია, დგას. ანძა ყველა საჭირო სანიტარიული ნორმის მიხედვით დამონტაჟდა, მაგრამ, რადგან მოსახლეობა ჩიოდა, ორი თვის წინათ, სანიტარიულ სამსახურთან ერთად, კიდევ ერთხელ გავზომეთ ყველაფერი და სანიტარიული სამსახურიც დარწმუნდა, რომ ყველა ნორმა დაცულია,"** – განგვიცხადა "მაგთიკომის" სანიტარიული სამსახურის უფროსმა კობა მირესაშვილმა. ეს ინფორმაცია სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურშიც დაგვიდასტურეს.

უპენსიოდ დარჩენილი ობლების საქმე

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭო იმ ფაქტით დაინტერესდა, რომელიც მამით ობოლი ორი მცირეწლოვანი ბავშვის უპენსიოდ დარჩენის გამო გახმაურდა. ამ ფაქტის შესახებ, 21 მარტს გაზეთ "24 საათში" დაიბეჭდა პუბლიკაცია სათაურით - "ციხეში გარდაცვლილის შვილები უპენსიოდ დარჩნენ", ხოლო 27 მარტს "იმედის" არხზე, გადაცემა "დროების" ერთ-ერთ სიუჟეტში სწორედ აღნიშნული შემთხვევა გაშუქდა. "ფონდმა" ვალდებულება აიღო, მოეკვლია შესაბამისი დოკუმენტები და დაედგინა ის მიზეზები, რის გამოც ბავშვები პენსიის გარეშე დარჩნენ. დარღვევების შემთხვევაში კი, შესაბამისი რეაგირება მოეხდინა.

მოკვლევისას, ამ საქმესთან დაკავშირებით, უამრავი უზუსტობა გამოიკვეთა. ამდენად, საჭიროდ მივიჩნევთ, მოსახლეობას ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ და მოვუწოდოთ, სოციალური განყოფილებების მხრიდან უყურადღებობის ან დარღვევების დაფიქსირების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართონ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ან დარეკონ ცხელი ხაზის ტელეფონებზე: 69 65 93; 69 65 94.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პრესსამსახური მოგაწვდით ინფორმაციას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოსთვის გახდა ცნობილი. გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს შესაბამისმა სამსახურებმა უმწეო ადამიანები ღვთის ანაბარა მიატოვეს, რეალურად კი, სახელმწიფომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დახმარება აღმოუჩინა. თუმცა, ადგილობრივი მმართველობის სოციალური განყოფილების დაუდევრობის გამო, დახმარების დანიშვნაში მთელი რიგი შეცდომები დაფიქსირდა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ზაზა და ტარიელ შანყულაშვილები, არასრულწლოვანი ძმები, მამის – თეიმურაზ შანყულაშვილის ციხეში გარდაცვალების შემდეგ, იმ მიზეზის გამო, რომ ოჯახის წევრებს გარდაცვალების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი არ გააჩნიათ, ვერ იღებენ ობლობის პენსიას. ობლების დედა – ქეთევან ჯიოევა სმენადაქვეითებული ინვალიდია. ფონდის სოციალური პროგრამების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციით (რომელიც სიღნაღის რაიონის სოციალური განყოფილებიდან მივიღეთ), 2001 წლის 14 ნოემბერის განცხადების საფუძველზე (მარტოხელობის სტატუსით), მოქალაქე ქეთევან ჯიოევას 2002 წლის იანვრიდან დაენიშნა სოციალური დახმარება 22 ლარის ოდენობით. შემდეგ გაირკვა, რომ, ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, მას მარტოხელობის დახმარება არ ეკუთვნოდა, რის საფუძველზეც მოეხსნა სოციალური დახმარება. 2003 წლის 4 აგვისტოს მან ხელახლა მიმართა განყოფილებას, წარადგინა მამის გარდაცვალების მოწმობა და დედის საპენსიო წიგნაკი, რის საფუძველზეც დაენიშნა დახმარება - 35 ლარი (35 ლარის ოდენობის უმწეოთა სოციალური საოჯახო დახმარება ეკუთვნის ორ და მეტსულიან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს). ამასთან, მის პირად საქმეში მითითებულნი არიან მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც ამჟამად სკოლა-ინტერნატში არიან ანუ იმყოფებიან სახელმწიფო კმაყოფაზე. ფაქტობრივად, სულადობაში გათვალისწინებულია მხოლოდ ბებია, რაც დოკუმენტებით არ ფიქსირდება. ეს ფაქტი განყოფილების თანამშრომელთა უყურადღებობაზე მიუთითებს.

ქეთევან ჯიოევასთვის დახმარების ფორმა არასწორად იქნა შერჩეული. მას, როგორც ინვალიდს და უმწეო მოქალაქეს, იმავდროულად, 2 მცირეწლოვანი ბავშვის დედას, დახმარება ეკუთვნოდა. თუმცა, საკრებულოდან არასწორად წარმოდგენილი, მარტოხელობის სტატუსის ცნობით შეცდომაში შეიყვანა სოციალური განყოფილების თანამშრომლები. იგი დახმარებას კანონიერი გზითაც მოიპოვებდა, ადგილობრივი მმართველობის სოციალური განყოფილების თანამშრომლები აღნიშნულ სიტუაციაში სათანადოდ რომ გარკვეულიყვნენ.

მიგვაჩნია, რომ სიღნაღის რაიონის სოციალური განყოფილების საქმიანობა, საოჯახო დახმარებების დანიშვნის თვალსაზრისით, დამატებით შესწავლას საჭიროებს. მოკვლევის შედეგებს დამატებით გაცნობებთ.

ნონა მაისურაძე
საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

ვის, ვის და, კაზრეთს მაინც აღარ უნდა სჭირდებოდეს პრეზიდენტის დახმარება, თუმცა...

ბელა ონიანი

უკვე რამდენიმე წელიწადია, ქართველი გლეხებისთვის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება დიდ პრობლემას წარმოადგენს. საწვავისა და ტექნიკის უქონლობის გამო სავარგულები მოუხნავ-მოუთესავი რჩება. ცდება მიწა, იკარგება მოსავალი, რაც ბუნებრივია, პირდაპირ აისახება ჩვენი ხალხის სოციალურ ყოფაზე.

თავს ზემოთ ძალა რომ აღარაა, გლეხი მამაპაპისეულ კავსა და ხარ-კამეჩს უბრუნდება, მაგრამ სადღაა ხარ-კამეჩი, ამდენ მოუხნავ მიწას რომ განვდეს?!

მიწა ოდითგანვე ქართველი კაცის მარჩენალი იყო და მათ ერთმანეთისთვის არც არასდროს უღალატიათ, მაგრამ დღეს გლეხი იძულებულია, იგი მიატოვოს, ვაზი გაკაფოს, ქალაქში სახელდახელო შეკონწიბულ ჯიხურში ჩადგეს და გაჩენის დღე იწყევლოს.

ასეთ დროს ყოველგვარი დახმარება გლეხისთვის სულზე მისწრებასავით რომ არის, რაღად უნდა ამას მტკიცება? სწორედ ასეთად აღიქვამენ სოფელში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივითა და ბრძანებულებებით სახელმწიფოსგან საკარმიდამო მიწების დასამუშავებლად ყოველი კომლისთვის 20 ლიტრი დიზელის საწვავის გამოყოფის ფაქტს.

20 ლიტრი რა არისო, ქირქილებენ ქალაქში ქვეყანაზე გადამკვდარი პოლიტიკოსები თუ მათი დამქაშები. მართლაც, ქალაქელი პოლიტიკოსისათვის 20 ლიტრი საწვავი არც არაფერია, რადგან "მერსედესის" ავზს საწახევროდაც ვერ აივსებს და სავოიაჟოდ ერთ დღესაც არ ეყოფა, მაგრამ ერთი, გლეხსაც ჰკითხეთ, გულდათუთქული რომ უყურებს სარეველაგადავლილ კარ-მიდამოს და ოცის კი არა, ერთი ლიტრი საწვავის შესაძენი თანხაც კი არ უდევს ჯიბეში?!

საგაზაფხულო სამუშაოები კი უკვე კარგა ხანია, დაიწყო. გლეხებს საკამათოდ არ სცხელათ. ბუნებაც ჭირვეულობს, თუმცა ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, ასეა სწორედ. თბილისიდან შორს წასვლა არც არის საჭირო, გახვალ თუ არა ქალაქიდან, პირველივეს ოფელში ბიდონით ხელში გაჭიმულ გრძელ რიგებს ნახავთ. საწვავის დარიგებას წვიმა ნამდვილად ვერ უშლის ხელს.

თეთრიწყაროდან მარნეულისაკენ მივემართებით, ბევრს აქ უკვე მოუსწრია საადრეო კარტოფილის დათესვა. მადლიანი მიწაა, სამი მოსავალი ასწრებს მოსვლას. უკვე ახალი კარტოფილი გამოჩნდება ბაზარში და გვიან შემოდგომამდე აქედან სხვადასხვა ბახჩეულსა თუ ბოსტნეულს მიიღებს ქალაქი.

აქ სასოფლო სამეურნეო სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში არ წყდება. საქმეს რა გამოუელევს მეურნე კაცს. აქაურებმა კი ნამდვილად იციან შრომის ყადრი და პრეზიდენტის დახმარებასაც სიხარულით იღებენ.

დღემდე ჩვენთვის არავინ იცლიდა, ოც ლიტრ საწვავში კი არ არის საქმე, მთავარია ყურადღება, რასაც მთავრობა იჩენს ჩვენ მიმართო, ამბობს მარნეულელი ფაიკ მამაედოვი. მას შემდეგ რაც გზებზე საპატრული პოლიცია დააყენეს, ფულს აღარავინ გვართმევს, მშვიდად ჩაგვაქვს ქალაქში პროდუქტიო.

ბოლნისის რაიონი ქვემო ქართლში ისტორიული ძეგლებითა თუ ეკონომიკური შესაძლებლობებით გამორჩეული რაიონია. აქ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია, მაგრამ პრობლემებიც უამრავია, რომელსაც მარტო რაიონი ვერ გასწვდება. თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

ბოლნისის რაიონში დღეს 74 ათასი კაცი ცხოვრობს. პრეზიდენტის საჩუქარს, ასე აფასებენ ბოლნისელები იმ 20 ლიტრ დიზელის საწვავს, რომელიც პრეზიდენტის განკარგულების თანახმად ურიგდება მოსახლეობას. საწვავი სულ 15 488 კომლისათვისაა დასარიგებელი. როგორც რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი არევაძე ამბობს, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. სოფლის საკრებულოები რიგითობის მიხედვით იღებენ საწვავს. რაიონში სულ 309 760 ლიტრი დიზელის საწავავია დასარიგებელი. პირველი პარტია უკვე შემოტანილია. მოსახლეობა მას ორგანიზებულად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე იღებს. ეს პროცესი რაიონში კვირის ბოლომდე მთლიანად დასრულდება.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე მიწის იჯარით გამცემი კომისიის თავმჯდომარე ბექა ფატარიძეც თვითონ ადევნებს თვალყურს საწვავის დარიგების პროცესს. მისი განმარტებით, 20 ლიტრა საწვავი საკარმიდამო ნაკვეთის დასამუშავებლად სრულიად საკმარისია, რაც დიდი შეღავათია მოსახლეობისთვის.

ქალბატონი მზია გიორგაძე სოფელ ბალიჭის მკვიდრია, მას უკვე მიუღია საწვავი, გამოიდარებს თუ არა მიწასაც დავამუშავებო, ამბობს. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ კარგი იქნება, თუ ჩვენს ახალგაზრდობას დასაქმების საშუალება მიეცემა. რაიონში ეს ყველაზე დიდი პრობლემააო.

- ჩვენ მადლიერნი ვართ პრეზიდენტისა. ეს მართლაც კარგი საჩუქარია - ამბობს სოფელ ბალიჭის მკვიდრი დავით ავქოფაშვილი და იქვე დასძენს, - კაცო, ვერაფერი გამიგია ამ ჩვენი ოპოზიციის, რომელიც ამ დახმარებისთვის ასე დაუზოგავად აკრიტიკებს ხელისუფლებას. გამყრელიძეს მოვუსმინე ამასწინათ, ტელევიზიით გამოდიოდა, 12 მილიონი ლარი იხარჯება ამ აქციაში, ეს უკანონობააო. უკეთეს საქმეში ნეტავ რაში უნდა დახარჯონ ეს მილიონები? ამოვიდნენ ერთი და ნახონ რამდენი მინდვრებია დასახნავი, როგორ უჭირს გლეხს. ჩვენთვის ნაჩუქარი საწვავი გახდა სალაპარაკო?!

ვის, ვის და კაზრეთს არ უნდა სჭირდებოდეს პრეზიდენტის დახმარება, ჩვენ იქით უნდა ვეხმარებოდეთ ქვეყანას, მაგრამ ნახეთ, რა გზებია, ამასაც კი არ აკეთებენ, იციო, რა სიმდიდრე გადის აქედან? თავად "მერსედესებითა" და "ჯიპებით" დაგრიალებენ, ნეტავ მანქანები მაინც არ ენანებათ, რომ ამ ოღროჩოღრო გზაზე უმოწყალოდ ამტვრევენ. მაგრამ რა ენაღვლებათ, თავიანთი ფულით ხომ არ არის ნაყიდი. ის კი არა და, პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი საწვავის კაზრეთში ჩამოტანაში ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ 300 ლარი მოგვთხოვეს მანქანაში, ისე ვერ გადმოგიზიდავთო! დავივჯერო, ასე უჭირს "მადნეულს", რომ კაზრეთის მოსახლეობას ერთი დღით მანქანა ათხოვოს და ამით მაინც დაეხმაროს?! აქ ნამდვილად არ იგრძნობა, რომ ასეთი მდიდარი კომბინატი გვაქვს. ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებას ითხოვს, მაგრამ "მადნეული" ჩვენთვის მიუვალი ციხე-სიმაგრეაო - წუხან კაზრეთელები.

მართლაც, საწარმო, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის სანინდარი უნდა გამხდარიყო რაიონისთვის, არათუ ბოლნისს, არამედ მთელს რეგიონს უზარმაზარ თავსატკივარს უჩენს და გაჩანაგებით ემუქრება. კაზრეთის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი წლების განმავლობაში უმოწყალოდ წამლავს მდინარე მაშავარას აუზში მცხოვრებ მოსახლეობას.

დღეს ხმამაღლა უნდა გაცხადდეს, რომ მაშავერა მკვდარი მდინარეა! რომ აქ თევზის კი არა, ცოცხალი ორგანიზმის პოვნაც კი შეუძლებელია, ამიტომ მისი წყლის გამოყენება სარწყავადაც კი დაუშვებელია.

ეს მარტო ბოლნისელების პრობლემა არ გახლავთ, ეს მთელი ქვეყნის საზრუნავია და ვიდრე ძალიან გვიან არ არის, საყოველთაო განგაში უნდა ავტეხოთ!

არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტი" აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის "საზოგადოების ანგარიშვალდებულება ენერგეტიკის სექტორში" ფარგლებში აცხადებს კონკურსს:

ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე რეფორმის გაშუქება

კონკურსის პირობები:

■ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული მედია საშუალებებს ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე პროცესებს. კონკურსის შედეგად გამოვლინდება საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომები შემდეგ თემებზე:

1. საუკეთესო ჟურნალისტური გამოძიება ენერგეტიკის სფეროში არსებულ კორუფციის საკითხებზე;
2. საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომი ენერგეტიკის პრივატიზაციის საკითხებზე;
3. საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომი მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

■ საკონკურსოდ მიიღება მასალები, რომლებიც ბეჭდური ან ელექტრონული მედია საშუალებებით გაშუქდა 2005 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 31 მაისამდე.

■ კონკურსანტებმა განცხადებით უნდა მიმართონ თავისუფლების ინსტიტუტს და განცხადებაში მიუთითონ საკონკურსო სტატიის/გადაცემის/სიუჟეტის თემატიკა, საინფორმაციო საშუალების დასახელება, პუბლიკაციის თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია. განცხადებას თან უნდა დაერთოს საკონკურსო ნაშრომი (ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული მასალის ორიგინალი ან ქსეროასლი/აუდიო/ვიდეო ჩანაწერი ერთ ეგზემპლარად).

■ კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს სამი ნაშრომისა.

■ ჟიური გამოავლენს ნომინაციებში გამარჯვებულ სამ ჟურნალისტს, რომლებიც დაჯილდოვდებიან პრემიით, თითოეული 500 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით თამარ ტაბატაძეს

განცხადებების მიღების ბოლო ვადა 2005 წლის 31 მაისი.

მისამართი: გრიბოედოვის ქ. N23, თბილისი. ტელ: 93 66 15; ფაქსი: 93 67 84;
ელ-ფოსტა: liberty@liberty.ge

კათოლიკურმა სამყარომ - მწყემსი, მსოფლიომ კი თავისუფლებისთვის მებრძოლი დაკარგა

პირველი გვერდიდან

ქრისტეს ვიკარიუსის ცხედარს დღეს საღამოს წმინდა პეტრეს ტაძარში გადაასვენებენ, რათა ყველა კათოლიკეს მიეცეს მასთან გამოთხოვების შესაძლებლობა.

130 ათასი პილიგრიმი შეიკრიბა წმინდა პეტრეს მოედანზე კვირას დილით გარდაცვილილი პაპის სამგლოვიარო მესაზე დასასწრებად. ტრადიციისამებრ, ცხრა მესა ჩატარდება, მეცხრე მესის დასრულებისას კი პონტიფიკოსს მიწას მიაბარებენ. ვატიკანმა ცხრადღიანი გლოვა გამოაცხადა. წინასაწარი ინფორმაციით, იოანე-პავლე მეორეს 6 აპრილს დაკრძალავენ.

იოანე-პავლე მეორე - საერო ცხოვრებაში კაროლ ვოიტილა დაიბადა 1920 წლის 18 მაისს პოლონეთში, კრაკოვის სავოევოდოში. იგი 1978 წლის ავიდა პაპის ტახტზე და 27 წელიწადს ედგა კათოლიკურ ეკლესიას სათავეში. თითქმის ნახევარი ათასწლეულის შემდეგ პოლონელი კაროლ ვოიტილა პირველი არაიტალიელი პაპი იყო. მან გაცილებით მეტი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს, ვიდრე სხვა რომელიმე პაპმა; და ეს არა მარტო სატელევიზიო გამოსვლებს ეხება. პაპმა, დაახლოებით, 100 ქვეყანაში მოინახულა და დალოცა თავის სამწყსო. უაღრესად აქტიური მოღვაწოების გამო, იოანე-პავლე მეორეს "მოგზაურ-პაპსაც" უწოდებდნენ.

დაახლოებით, სამი ათეული წლის წინათ პაპად არჩეულმა, იმ დროისთვის სრულიად უცნობმა კაროლ ვოიტილამ კათოლიციზმის ისტორიაში მთელი ეპოქა შექმნა; და ეს მაშინ, როცა მის სამშობლოში - პოლონეთში კომუნისტური იდეოლოგია იყო გაბატონებული. "კათოლიკურმა სამყარომ დაკარგა მწყემსი, ხოლო მთელმა მსოფლიომ - თავისუფლების ჩემპიონი," - ღრმა მწუხარებით განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. მისი თქმით, იოანე-პავლე მეორეს ისტორიის შეცვლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის - კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას. "მსოფლიომ გამორჩეული მოღვაწე დაკარგა," - ყველაზე ხშირად ამ შეფასებას გაიგებდით გუშინ.

ვინ იქნება ახალი პაპი?

ვატიკანის მიერ გუშინ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: "1996 წელს იოანე-პავლე მეორის მიერ მიღებული Universi Dominici gregis (უფლის მთელი სამწყსოსადმი) სამოციქულო მდგომარეობით გათვალისწინებული პროცედურა ძალაში შევიდა." რაც ნიშნავს, რომ პაპის გადაცვალებამ აამოქმედა მემკვიდრის არჩევის მექანიზმი.

ტრადიციულად, კონკლავმა (კარდინალთა კოლეგია) 15-18 დღის შემდეგ უნდა დაასახელოს ახალი პონტიფიკოსის ვინაობა. Universi Dominici gregis-ის თანახმად, ქრისტეს ვიკარიუსის არჩევისას კონკლავის წევრი კარდინალების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 80 წელს. ზედა ზღვარია დაწესებული წევრთა რაოდენობისთვისაც – კონკლავის შემადგენლობაში 120 კარდინალზე მეტი არ უნდა შედიოდეს. დღეისთვის იმ კარდინალთა რაოდენობა, რომლებიც კონკლავის წევრის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, ასჩვიდმეტია. აღსანიშნავია, რომ მათგან 114 სწორედ იოანე-პავლე მეორეს მიერ არის ხელდასხმული.

დღეს არა მარტო ვატიკანში, არამედ მთელს მსოფლიოში ყველაზე აქტუალური თემაა პაპის სავარაუდო შემცვლელის ვინაობა. იოანე-პავლე მეორეს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექსპერტები უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არაერთ "პაპობილს" (პაპობის კანდიდატს) ასახელებდნენ.

გუშინ სააგენტო "როიტერსი" ცხრა "პაპობილის" ვინაობას ამხელდა: რეგიონათშორისი დიალოგის საკითხებზე პაპთან შექმნილი საბჭოს თავმჯდომარე, კარდინალი ფრანსის არინცე (ნიგერია); ტეგუსიგალპას არქიეპისკოპოსი, კარდინალი ოსკარ როდრიგეს მარადიაგა (ჰონდურასი); ბრიუსელის არქიეპისკოპოსი გოტფრიდ დანეელსი (ბელგია); ბუენოს-არიესის არქიეპისკოპოსი, კარდინალი ხორხე მარიო ბერგოლო (არგენტინა); მეხიკოს არქიეპისკოპოსი, კარდინალი ნორბერტო რივერა კარერა (მექსიკა); მილანის არქიეპისკოპოსი, კარდინალი დიონიჯი ტეტამანცი (იტალია); სან-პაულოს არქიეპისკოპოსი, კარდინალი კლაუდიო ჰუმესი (ბრაზილია); ვენის არქიეპისკოპოსი, კარდინალი კრისტოფ შენბორნი (ავსტრია) და ვატიკანის ღვთისმეტყველების კონგრეგაციის პრეფექტი, კარდინალი იოზეფ რატცინგერი (გერმანია).

ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოღვაწეა კათოლიკურ ეკლესიაში. იგი დღემდე ხელმძღვანელობს ღვთისმეტყველების კონგრეგაციას (შუა საუკუნეებში ამ ორგანოს ინკვიზიციას უწოდებდნენ). მიმდინარე თვეში რატცინგერს 78 წელი შეუსრულდება. ალბათ, საპატიო ასაკი ხდის მას კომპრომისულ კანდიდატურად, რომელსაც დაეთანხმებიან როგორც ეკლესიის ლიბერალური ფრთა, ასევე - კონსერვატორები. ამ კარდინალის გავლენა ეკლესიაზე უზარმაზარია. იგი უპრეცედენტო პრივილეგიებით სარგებლობს.

საკმაოდ კარგი შანსები აქვს ვატიკანის სახელმწიფო მდივანს (ვატიკანის უმაღლესი ადმინისტრაციული პირი) ანჯელო სოდანოს. მასაც 78 წელი შეუსრულდება ნოემბერში და, ასევე, ეკლესიის მრავალ ინსტიტუტზე სერიოზული გავლენა აქვს. ამას გარდა, თითქმის 15 წლის მანძილზე იგი მნიშვნელოვანწილად აკონტროლებდა რომის კურიას (იოანე-პავლე მეორეს ხშირად არ ეცალა ყოველდღიური საქმიანობისთვის და ამ კარდინალზე ჰქონდა მინდობილი წმინდა საყდრის ადმინისტრაციული მართვა).

თუმცა, ერთი საგულისხმო ნიშანია - ვატიკანში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ კონკლავზე "პაპობილის" სტატუსით შესული, იქიდან ჩვეულებრივ კარდინალად ბრუნდება. ასე რომ, თუ ვინ იქნება მილიარდზე მეტი კათოლიკეს სულიერი წინამძღოლი 21-ე საუკუნეში, მხოლოდ და მხოლოდ კონკლავი გადაწყვეტს. ამ კითხვას პასუხი მაშინ გაეცემა, როდესაც ვატიკანის სიქსტის სასახლიდან თეთრი კვამლი ამოვა – ნიშანი, რომ კათოლიკურ სამყაროს ახალი პაპი ჰყავს.

ზიმბაბვეს პრეზიდენტი პოზიციას იმყარებს



ზიმბაბვეს პრეზიდენტის რობერტ მუგაბეს მომხრეებმა ქვეყნის პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა შეადგინა. მუგაბეს პარტიამ პარლამენტში, 120 ადგილიდან, 71 დაიკავა. პარტიის კიდევ 30 წევრი პარლამენტში, უშუალოდ, პრეზიდენტის მიერ ინიშნება. ახლა უკვე რობერტ მუგაბეს ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლის სრული შესაძლებლობა აქვს.

ოპოზიციის ლიდერმა მორგან ცვანგირაიმ, რომელმაც პარლამენტში 39 ადგილი მოიპოვა, განაცხადა, რომ ხუთშაბათს ჩატარებული კენჭისყრის დროს "შედეგების საზიზღარ, მასობრივ გაყალბებას" ჰქონდა ადგილი. პრეზიდენტმა მუგაბემ, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში, უკვე 25 წელია, იმყოფება, ოპოზიციის ამ განცხადებას აბსურდული უწოდა. ოპოზიციური "მოძრაობა დემოკრატიული ცვლილებებისათვის" ლიდერები შემდგომი ქმედებების განსახილველად პერმანენტულად იკრიბებიან. გამორიცხული არ არის ქუჩის მასობრივი საპროტესტო აქციებიც.

აშშ, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე მკაცრად აკრიტიკებდნენ არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად ხელისუფლების მიერ გამოყენებულ მეთოდებს. სამხრეთ აფრიკული განვითარების საზოგადოების დამკვირვებლებმა, რომელებიც, სავარაუდოდ, არჩევნებს მთლიანობაში დადებითად შეაფასებენ, ამომრჩეველთა რაოდენობის გამო, შეშფოთება გამოხატეს; ზოგიერთს კუთვნილ საარჩენო უბნებზე ხმის მიცემის საშუალება არ მისცეს. კანონის თანახმად, პარლამენტში 120 ადგილი არჩევითია, კიდევ 30 დეპუტატი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ინიშნება. ამომრჩეველთა განაცხადი არჩევნებზე არცთუ მაღალი იყო – 30-40 პროცენტი. დიდი აქტიურობა შეინიშნებოდა ქვეყნის დიდ ქალაქებში. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ეს არჩევნები ძალადობის გამოყენებით არ აღინიშნებოდა. ხმის მიცემის დასრულებისთანავე ოპოზიცია და სამართალდამცველები ამტკიცებდნენ, რომ არჩევნები არც თავისუფალი და არც სამართლიანი არ ყოფილა, რადგან ამომრჩევლებს აშინებდნენ, ხოლო ამომრჩეველთა სიებში ასობით ათასი "მკვდარი სული" იყო დაფიქსირებული, რამაც გაყალბების შესაძლებლობა შექმნა. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო მასმედიაზე მხოლოდ სიმბოლურად მიუწვდებოდათ ხელი. მათი განცხადებით, ოპოზიციის მომხრეები გააფრთხილეს, რომ მმართველი პარტიის წინააღმდეგ ხმის მიცემის შემთხვევაში, მათ ყველანაირ სასურსათო დახმარებას შეუწყვეტდნენ. მუგაბემ თავის ოპონენტებს გამყიდველები და ბრიტანეთის აგენტები უწოდა. მუგაბეს კონსტიტუციის ცვლილება იმისთვის სჭირდება, რომ 2008 წელს თანამდებობიდან წასვლის შემდეგ ხელშეუხებლობის გარანტია მიიღოს.

თავდასხმა აბუ-გრაიბზე

ბაღდადთან ახლოს მდებარე ციხეს, სკანდალებით განთქმულ "აბუ-გრაიბს" შაბათს ბოევიკები დაესხნენ თავს. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაჭრილია 44 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, 12 ერაყელი პატიმარი და 40 თავდამსხმელთაგან დაღუპულია 1 ბოევიკი. აბუ-გრეიბზე შტურმის განხორციელებამდე ამერიკულების სამხედრო კოლონის კვალდაკვალ მიმავალმა ბოევიკებმა ორი ავტომობილი ააფეთქეს (უფრო სწორად, თავი აიფეთქა საჭესთან მჯდომმა ორმა თვითმკვლელმა-ტერორისტმა), ხოლო შემდეგ რეაქტიული ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი ციხის მიმართულებით გახსნეს. თავდასხმის საპასუხოდ, ცეცხლი ციხის მცველმა ამერიკელმა სამხედროებმაც გახსნეს. ქვეითების დახმარების მიზნით, ჰაერში აშშ-ს სამხედრო საჰაერო ძალების ვერტმფრენებიც აიჭრა. ორმხრივი სროლა სულ 40 წუთს გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შაბათის ინციდენტი პირველი შემთხვევა არაა აბუ-გრეიბზე თავდასხმისა, 2003 წელს ერაყში კოალიციური ჯარების შესვლისა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ის მასშტაბით უდიდესია.

ჯერჯერობით თავდასხმელთა მიზნების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ ვრცელდება. თუმცა, პენტაგონის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, ამ აქციის უმთავრესი მიზანი პატიმართა ამბოხის პროვოცირება ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ციხიდან გაქცევა ვერც ერთმა პატიმარმა ვერ შეძლო. დღეისთვის ციხეში 3 000-ზე მეტი ერაყელი პატიმარია.

"აშკარაა, რომ თავდასხმა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული", - განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც თავად იღებდა მონაწილეობას ბრძოლაში.

ერაყის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აბუ-გრაიბის თავდასხმაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო "ალ-ქაიდას" ერაყული ფრთის ლიდერის, აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფებამ.

24 საათი

ერაყში პარლამენტის სპიკერი აირჩიეს

ერაყის სახელისუფლებო კრიზისის ვითარებაში, რომელიც ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირებითაა გამოწვეული, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრა. კვირას ცნობილი გახდა ერაყის პარლამენტის სპიკერის ვინაობა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უკვე 2 თვეზე მეტი გავიდა და დღემდე ვერ ხერხდებოდა სპიკერის კანდიდატურაზე შეთანხმება. ყველა სხდომა, რომელიც ამ საკითხს ეძღვნებოდა, ხმაურიან ატმოსფეროში ტარდებოდა და უშედეგოდ სრულდებოდა. როგორც ჩანს, ხანგრძლივი სიტყვიერი ბატალიების შემდეგ კონსენსუსი მაინც გამოინახა და პარლამენტის სპიკერის თანამდებობაზე არაბული ნარმომავლობის სუნიტი ჰაჯიმ ჰასანი დაინიშნა. ეთნო-რელიგიური მოზაიკის ბალანსის შენარჩუნების მიზნით კი, სუნიტი სპიკერის მოადგილეებად შიიტური ფრთისა და ქურთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები დასახელდნენ.

პარლამენტის სპიკერის დასახელების შემდეგ უკვე ახალი პრეზიდენტის დანიშვნაა მნიშვნელოვანი. ამ პოსტზე აქტიურად განიხილება ქურთთა ლიდერის ჯალალ თალაბანის კანდიდატურა. უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების შემდეგ პრეზიდენტმა მოადგილეებთან ერთად ორ კვირაში უნდა დაასრულოს მთავრობის ფორმირება.

აგვისტოს შუა რიცხვებამდე ერაყს ახალი კონსტიტუციის შემუშავება მოუწევს პარლამენტს. მუდმივი სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება მხოლოდ ზემოაღნიშნული ქმედებების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად.

ბი ბი სი

ერაყში უნიკალური მინარეთი ააფეთქეს

ერაყის ქალაქ სამარაში ქვეყნის უნიკალური ისტორიული და კულტურული ძეგლი, ალ-მალვიას მეჩეთის მინარეთი ააფეთქეს. ერაყის პოლიციის განცხადებით, აფეთქების შედეგად მინარეთის ზედა იარუსი დაზიანდა. როგორც სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება, პოლიცია ამტკიცებს, რომ მინარეთი ერაყელმა ბოევიკებმა ააფეთქეს.

მას შემდეგ, რაც გასული წლის ოქტომბერში აშშ-ს ჯარებმა "ბოევიკები" სამარიდან განდევნეს, მინარეთში ამერიკელი ჯარისკაცები იყვნენ განლაგებული. ისინი სხვა პოზიციებზე მხოლოდ ორი კვირის წინ გადაიყვანეს. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ამერიკელებმა მინარეთში სნაიპერის პოზიციები გაამაგრეს.

ალ-მალვიას მეჩეთის მინარეთი მეცხრე საუკუნის შუა ხანებში, აბასიდების დინასტიის მმართველობის დროსაა აშენებული. სპირალისმაგვარი პანდუსის მქონე 52- მეტრიანი კოშკი სამარის ერთ-ერთი სიმბოლოა. 2000 წელს ერაყის მთავრობამ გაერო-ს შესთავაზა იუნესკო-ს დაცვის ქვეშ არსებული ისტორიული ძეგლების სიაში მინარეთის შეტანა. ერაყში ომის დაწყებიდან ბოევიკების, მოროდიორებისა და კოალიციური ჯარების ხელით მრავალი ისტორიული თუ კულტურული ძეგლი დაზიანდა. ამა წლის იანვარში ბრიტანეთის მუზეუმის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ჯარისკაცებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენეს უძველეს ბაბილონს, რომლის ტერიტორიაზეც ამერიკის საარდლობამ სამხედრო ბაზა განათავსა. მუზეუმის თანამშრომელთა განაცხადებით, განადგურდა და გაიტაცეს ასობით არქეოლოგიური მონაპოვარი, რომლებიც ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენენ.

მეხიკოს მერს ხალხი ქუჩაში გამოჰყავს

მეხიკოს მერმა ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა, რომელიც მექსიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე ძირითად პრეტენდენტად ითვლება, თავის თანამოაზრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა - პროტესტის ნიშნად, მისთვის სასამართლო დევნისგან იმუნიტეტის შესაძლო მოხსნის გამო. ცოტა ხნით ადრე მექსიკის კონგრესის დარგობრივმა კომიტეტმა მისი ხელშეუხებლობის საკითხი კენჭისყრაზე გაიტანა. მემარცხენე შეხედულებებით ცნობილ ობრადორს, რომელსაც ხშირად ადარებენ ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესს, იმაში ადანაშაულებენ, რომ მან სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ ერთ-ერთ საავადმყოფოსთან მისასვლელი გზის მშენებლობის გაგრძელების ბრძანება გასცა. ამასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ობრადორს საპრეზიდენტო მარათონის მიღმა დატოვებს. მექსიკის დედაქალაქის მერმა თავის მრავალრიცხოვან მომხრეებს სამშვიდობო საპროტესტო აქციაში მონაწილეობისათვის ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეკრება სთხოვა. "ეს დღე ხალხის ნებისა და ყველა მექსიკელის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლაში ახალი ერის დასაყისი გახდება", - განაცხადა მეხიკოს მერმა. სხვათა შორის, ობრადორის საქმეზე სასამართლო განხილვების დაწყების დღიდან დედაქალაქის მერის რეიტინგი კიდევ 10 პროცენტით გაიზარდა.

ვინ არიან არასამთავრობო სექტორის მეგობრები?

სამოქალაქო საზოგადოების მეგობარი – ასე ჰქვია ნომინაციას, რომელშიც გამარჯვებულები გუშინ გამოვლინდნენ. დავით უსუფაშვილი, გია ნოდია და გარდაცვლილი ზურაბ ჟვანია – ასეთია ჟიურის გადაწყვეტილება.



ეკატერინე ბაკაძლიანი/ფოტოფაქტი

ეთერ მამულაშვილი

შვიდკაციანმა ჟიურიმ ასეთი არჩევანი რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით მიიღო, თუმცა მთავარი მაინც სამოქალაქო სექტორში ამ ადამიანების განსაკუთრებული აქტივობა აღმოჩნდა (გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის სიგელი მის მეუღლეს, ნინო ჟვანიას გადაეცა).

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პირველი გამოფენა-ფორუმში, რომელიც გუშინ დაიხურა, 56 არასამთავრობო ღებულობდა მონაწილეობას. ეს ციფრი მხოლოდ მცირე ნაწილია საერთო რაოდენობისა, რადგან საქართველოში 5 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული.

"ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ამ გამოფენა-ფორუმში, მაქსიმუმ, 20 ორგანიზაცია თუ მიიღებდა მონაწილეობას, იმის გათვალისწინებით, რომ ის ჩვენს ქვეყანაში პირველად ტარდება," – განაცხადა საქართველოს გაეროს ასოციაციის თავმჯდომარემ რამაზ აფციაურმა, რომელიც ამ ღონისძიების ერთ-ერთი თანაორგანიზატორია.

ორდღიანი გამოფენის დამთვალიერებელთა შორის მასმედიისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები სჭარბობდნენ. გამოფენამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა ფართოდ წარმოაჩინა და მესამე სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო განამტკიცა.

რას აძლევს ასეთი ტიპის ღონისძიებები თავად მასში მონაწილე ორგანიზაციებს? მესამე სექტორის წარმომადგენლები ჩვენთან საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ მათთვის ეს გამოფენა-ფორუმი არის უნიკალური შესაძლებლობა ერომანეთის გასაცნობად, შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (ეს ორგანიზაცია ამ დღეებში საკუთარი მოღვაწეობის 16 წლისთავს აღნიშნავს) სტენდთან ამ ორი დღის განმავლობაში ხალხმრავლობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში საზოგადოების დიდი ნაწილი მუდმივად იყო ინფორმირებული ამ ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, ასოციაციის ხელმძღვანელობას გამოფენაში მონაწილეობაზე დიდხანს არ უფიქრია. **"ასეთი ტიპის გამოფენები ჩვენ – არასამთავრობოებს - საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ წარვდგეთ იმ ხალხის წინაშე, ვისაც ვემსახურებით და, გარკვეულწილად, ანგარიში ჩავაბაროთ, თუ რას ვაკეთებდით გასული ერთი წლის განმავლობაში და რას გავაკეთებთ უახლოეს მომავალში,"** - განუცხადა "24 საათს" ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ანი ქათამაძემ.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოფენა, ორგანიზატორების თქმით, შემდგომ წლებშიც ჩატარდება, თუმცა საერთაშორისო არენაზე გასვლაზე ჯერ საუბარი ნაადრევია. რამაზ აფციაური ამბობს, რომ როგორც გამოფენაში მონაწილე ორგანიზაციების, ასევე კანდიდატებისა და ნომინანტების რაოდენობა გაისად აუცილებლად გაიზრდება.

P.S. პირველი გამოფენა-ფორუმი საქართველოში ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" (Save the children) და საქართველოს გაეროს ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა.

ბანკი + ტელეკომუნიკაცია - ნოვატორული პროექტი სამომხმარებლო სფეროში

ნინო ნარჩემაშვილი

პირველად საქართველოში ბანკისა და სატელეკომუნიკაციო ერთობლივი პროექტი განხორციელდა, რითიც საფუძველი ჩაეყარა მოსახლეობის მომსახურების ახალ ფორმას. მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ და სატელეკომუნიკაციო კომპანია "გლობალ ერთი"-ს გენერალურმა დირექტორმა გიორგი მაჩიტაძემ 2 აპრილს მოაწერეს ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ "სახალხო ბანკი" საკუთარი საბანკო ქსელის მეშვეობით, "გლობალ ერთი"-ს კლიენტურის მომსახურებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე განახორციელებს. "გლობალ ერთი"-ს ოფისებში კი "სახალხო ბანკი"-ს სერვის-ცენტრები დაიწყებს ფუნქციონირებას. "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის განცხადებით, **"ეს არის საბანკო და სატელეკომუნიკაციო სექტორების პირველი ერთობლივი პროექტი საქართველოში და მისი მიზანია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის საბანკო პროდუქტებისა და საერთაშორისო ოპერატორის მომსახურების ერთობლივი, გამარტივებული და სრულყოფილი სერვისის შეთავაზება."**

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი პროექტით მნიშვნელოვნად გაფართოვდება როგორც "გლობალ ერთი"-ს, ასევე "სახალხო ბანკი"-ს ფილიალების ქსელი. ამასთანავე, მოსახლეობისათვის გადასახადის გადახდისას მრავალი პროცედურა მარტივდება.

შეგახსენებთ, რომ ქართულ საბანკო სექტორში "სახალხო ბანკი" ერთადერთია, ვინც სოციალურ პროექტებს ახორციელებს. ამასთან, მას ფილიალების ყველაზე ფართო ქსელი გააჩნია. "გლობალ ერთი" მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სატელეკომუნიკაციო კომპანია "Equant"-ის და რუსეთის წამყვანი სატელეკომუნიკაციო ოპერატორის "როსტელეკომის" პარტნიორია საქართველოში და ამ სფეროში ადგილობრივი ბაზრის სოლიდურ სეგმენტს ფლობს.

შიდა ვალის ინვენტარიზაცია გრძელდება

მიმდინარე კვირას საქართველოს პარლამენტი 2005 წლის ბიუჯეტის ხარჯების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს. თუმცა, ამ ცვლილებებში "შიდა ვალის" არც ერთი მუხლი, პრაქტიკულად, გათვალისწინებული არ არის. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, სამინისტრო კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების ინვენტარიზაციას ახორციელებს. შიდა ვალის ინვენტარიზაცია გრძელდება. ამ ღონისძიების ფარგლებში, სახელმწიფო შიდა ვალის ოდენობა ისევ და ისევ ზუსტდება.

კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით, აღებული ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია 2005 წლის 1 მაისამდე უნდა დასრულდეს.

"სწორედ ამიტომ, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების თავმჯდომარეებმა და ხაზინადარებმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაძლებლად მოკლე ვადაში უნდა წარუდგინონ კოოპერატივის წევრების მიერ ბინის ასაშენებლად გადახდილი ქვითრების დედნები და სხვა ფინანსური დოკუმენტები," - განაცხადეს სამინისტროში.

ვალის ინვენტარიზაცია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის N108 დადგენილებით შექმნილი სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით ხორციელდება. კომისია აღიარებული სახელმწიფო შიდა ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა. კომისია 2006 წლის 1 მაისამდე იმუშავებს და აღიარებული შიდა ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს მთავრობას და პარლამენტს წარუდგენს.

2004 წლის 1 ივლისისთვის სახელმწიფო შიდა ვალის მოცულობა 1,59 მილიარდ ლარს შეადგენდა.

"სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონი საქართველოს პარლამენტმა 1998 წლის 5 მარტს მიიღო. ამ კანონით სახელმწიფომ შიდა ვალად აღიარა სახელმწიფო კომერციულ ბანკებში მოსახლეობის მიერ შეტანილი ანაბრები, რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრები, 1995 წლის ჩათვლით, თურქმენეთიდან მიღებული ბუნებრივი აირის საფასური, 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციის გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება, ყოფილი სსრკ-ს 1990 წლის სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციის დაფარვის ვალდებულება, კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება და "თბილტრანსში" ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების წინაშე არსებული დავალიანება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბიუჯეტო შემოსავლების სერიოზული ზრდის მიუხედავად, ბიუჯეტის ამ გრაფასთან მიმართებაში თანხების ზრდა დაგეგმილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური თვალსაზრისით ეს გადაწყვეტილება დიდ სიმპათიას აშკარად არ იმსახურებს, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ეკონომიკური ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ აღნიშნული თანხების სოციალურ ხარჯებზე გაწერა ქვეყნის ფინანსურ სექტორს უდიდეს დარტყმას მიაყენებდა და ქვეყნის ვალუტისთვისაც, შესაძლოა, საკმაოდ მძიმედ დასრულებულიყო.

24 საათი

ენერგოვითარება შედარებით გაუმჯობესებულია, თუმცა...

"კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზზე აღდგენითი სამუშაოების დაწყება ისევ ვერ ხერხდება

"კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზზე აღდგენითი სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდება.

როგორც კომპანია "საქრუსენერგოში" სააგენტო "მედიანიუსს" განუცხადეს, კოდორის ხეობაში, სადაც ორი ანძაა წაქცეული, ზვავსაშიშროების გამო, მუშა-ხელის და ტექნიკის გაგზავნა ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. სამუშაოების დაწყება იქ, სავარაუდოდ, მაისამდე ვერ მოხერხდება.

რაც შეეხება რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ დაზიანებებს, ცუდი კლიმატური პირობების მიუხედავად, იქ სამუშაოები მაინც მიმდინარეობს და აპრილის მეორე ნახევარში დასრულდება.

"კავკასიონის" ხაზით საქართველოში რუსეთიდან 400 მეგავატამდე ელექტროენერგია შემოდიოდა.

ამჟამად, საქართველოს ელექტრომომარაგებაში შედარებით ნორმალური მდგომარეობაა. როგორც სახელმწიფო ელექტროსისტემაში აცხადებენ, ელექტროენერგიით მთლიანად არის უზრუნველყოფილი დედაქალაქი, ხოლო რეგიონებში დენის მიწოდება ენერგეტიკის საბითუმო ბაზრის მიერ დადგენილი ლიმიტებით ხორციელდება.

ვითარება გაუმჯობესდა ჰესებზე, სადაც წყლის რესურსმა მოიმატა. ენგურჰესზე ამჟამად ორი აგრეგატი მუშაობს 200 მეგავატი სიმძლავრით.

ჩართულია თბილსრესის მე-3 ენერგობლოკიც, რომელიც გასულ პარასკევს ავარიულად გამოირთო. იგი 100 მეგავატს გამოიმუშავებს. მუშაობს თბილსრესის მე-9 ენერგობლოკიც, რომელიც სისტემას 200 მეგავატს აწვდის. დენი შემოდის სომხეთიდან ("ალავერდის" ხაზი) და რუსეთიდან ("სალხინოს" ხაზი), რომელიც, ძირითადად, თბილისსა და აფხაზეთს მიეწოდება.

24 საათი

ორი სიტყვით

დღეიდან ბიუჯეტის შემოსულობათა სატრანზიტო ანგარიშები უქმდება და საგადასახადო დავალებების შევსების წესი იცვლება.

როგორც "ინტერ-პრესს" ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, სატრანზიტო ანგარიშები სახელმწიფო ხაზინაში სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით უქმდება. ამის თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ მომზადდა დადგენილება და დამტკიცდა ინსტრუქცია.

"დადგენილება ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების 300-მდე სატრანზიტო ანგარიშის დახურვას და შემოსულობების აღრიცხვას უშუალოდ ერთიანი ანგარიშის მეშვეობით," - განაცხადეს სამინისტროში.

დადგენილებით გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშზე დეპოზიტის სახით განთავსებული დეპოზიტური თანხების ბიუჯეტში მიმართვის ან გადამხდელისთვის უკან დაბრუნების საკითხიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

"თბილგაზში" არ ადასტურებენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს კომპანიის გენერალური დირექტორი დავით მორჩილაძე თანამდებობას ტოვებს და, სავარაუდოდ, მუშაობას საგარეო საქმეთა სამინისტროში გააგრძელებს.

როგორც "თბილგაზის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ეკა სარიამ "მედიანიუსს" განუცხადა, დავით მორჩილაძეს ჰქონდა მსგავსი შეთავაზებები, თუმცა მან ამაზე უარი განაცხადა და "თბილგაზის" გენერალურ დირექტორის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. **მედია-ნიუსი**

ქალაქ თბილისის მერიის
სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის
საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge
მისამართი: აღმაშენებლის 89/24,
"თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.
ტელ.: 952034

განცხადება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს პურის სახელმწიფო შესყიდვაზე რეკვიზიტები - რუსთაველის გამზირი N30

შესყიდვის ობიექტებია:

რიგითი N	მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკული ვადები
1	პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი N1	224000კგ	ქ. რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებები 1. რუსთავის N1 დაწესებულება 2. რუსთავის N2 დაწესებულება	1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად მიწოდება დილით 830სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღისთვის აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით.
2	პირველი ხარისხის პური ახალ მდგომარეობაში ლოტი N2	156800 კგ	ქ. ქუთაისის, ხონის და გეგუთის რაიონის სასჯელაღსრულების დაწესებულებები 1. ქუთაისის N2 საპყრობილე 2. გეგუთის N8 დაწესებულება 3. ხონის N9 დაწესებულება	1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად მიწოდება დილით 830სთ. მიწოდების რაოდენობა განისაზღვრება მიწოდების დღისთვის აღრიცხულ მსჯავრდებულთა რაოდენობით.

ყველა შესასყიდი საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2005 წლის 1 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით** შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) 2005 წ. 18 აპრილიდან 19 აპრილის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე:

თბილისი, (0146), რუსთაველის გამზირი N30, ოთახი **N62ა ტელ 758335**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურიდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)
5. ლიცენზია კვების პროდუქტების წარმოების შესახებ;
6. საქონლის შესაბამისობის სერტიფიკატი.

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობას, ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
4. ლიცენზია კვების პროდუქტების წარმოების შესახებ;
5. საქონლის შესაბამისობის სერტიფიკატი.
6. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდგომ, მისამართზე - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რუსთაველის პროსპექტი 30, ოთახი **N62ა ქართულ ენაზე**, 2005 წლის 21 აპრილიდან 22 აპრილის 1800 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო ინსექცია ა/ა N507121303, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3133. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი (500 ლ.)

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ერთ ლოტზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული. სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მისაწოდებელი საქონლის ნიმუშები.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს **ტელეფონის ნომერი - 75-82 91 რუსთაველის გამზირი 30, ოთახი 96.**

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ".

ტენდერის პროცედურებში საქართველოსა და უცხო ქვეყნის პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში. პრეფერენციული შეღავათი გამოიყენება მხოლოდ ფასის კრიტერიუმით შეფასებისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შEმოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი აღემატება უცხოელი პრეტენდენტის სატენდერო წინადადების ფასს არა უმეტეს 15 პროცენტისა.

პრეფერენციული შეღავათი ენიჭება საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მეწარმეებს, თუ მათ მიერ შემოთავაზებული საქონელი წარმოებულია საქართველოს ტერიტორიაზე, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის სერთიფიკატით.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 241 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ პრეტენდენტებს, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება.

Koninkrijk der Nederlanden

მცირე გრანტების კონკურსი

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში აცხადებს კონკურსს მცირე პროექტების დასაფინანსებლად. პროექტების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქართული საზოგადოების მდგომარეობაში დადებითი ცვლილებების შეტანას. კერძოდ, კონკურსი ცხადდება იმ პროექტებისათვის, რომელთა მიზანია:

■ სიღარიბის დაძლევა მდგრადი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის შექმნა, რაც სარგებლობას მოუტანს ადგილობრივი მოსახლეობის სამიზნე ჯგუფებსა და მათ გარემოს; ყურადღება ექცევა ამ საქმიანობაში თანასწორ გენედერულ მონაწილეობას.

დასაფინანსებლად პროექტების შერჩევისას მდგრადობა (ანუ ღონისძიებების გაგრძელება, ანდა მათი შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ადგილობრივ, სათანადოდ რეგისტრირებულ, არა-სამთავრობო, არა-მომგებიან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება და სათანადო შესაძლებლობები. ნიდერლანდების სამეფოს საელჩო არ გასცემს გრანტებს კერძო პირებზე, მომგებიან ან სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებსა და პოლიტიკურ პარტიებზე.

ინგლისურ ენაზე დაწერილი პროექტი შემოტანილ უნდა იქნეს **2005 წლის 29 აპრილამდე**. კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება ივნისის შუა რიცხვებში. დაფინანსების მაქსიმალური თანხა თითო პროექტზე შეადგენს 18.000 ლარს. პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს მხოლოდ კონკრეტული საპროგრამო ღონისძიებები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციები განაცხადის ფორმას მიიღებენ შემდეგ მისამართზე (ან ელექტრონულად):

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. N 20, თბილისი 0103
ტელ.: (995 32) 77 45 04
ფაქსი: (995 32) 77 45 24
ელ. ფოსტა: TBI@minbuza.nl

მართლმსაჯულებამ ომბუდსმენის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა

"მოსამართლე, მით უმეტეს სასამართლოს თავმჯდომარე, ვალდებულია, ებრძოლოს ყოველგვარ უკანონობას", ამბობს სოზარ სუბარი.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ გუშინ სახალხო დამცველის მიერ ამავე სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი განიხილა. ომბუდსმენი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა სონღულაშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და გადაცდომისთვის უჩიოდა.

საქმე ისაა, რომ ომბუდსმენმა ცოტა ხნის წინ წერილობით მოსთხოვა მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, გადაეცა მისთვის 2004 წელს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურიდან შესული შუამდგომლობებისა და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების ქსეროასლები. როგორც სარჩელში იყო ნათქვამი, სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი და სახალხო დამცველის აპარატს საჭირო დოკუმენტაცია არ მიაწოდა.

გუშინდელ პროცესზე მოსამართლე პარუნიანმა საქმის განხილვა, სამართალდარღვევის არარსებობის საფუძვლით, შეწყვიტა. **"სახალხო დამცველს არ ჰქონდა დოკუმენტაციის და, მით უმეტეს, საიდუმლო დოკუმენტაციის მოთხოვნის უფლება"**, - ასეთი გახლდათ საკუთარი ქმედების გასამართლებელი არგუმენტი.

ომბუდსმენის რწმუნებულის თქმით, სახალხო დამცველს უფლება აქვს, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი, გრიფით "საიდუმლოც" კი. სოზარ სუბარის მიერ მოთხოვნილი მასალა კი საჯარო ინფორმაციას წარმოადგენდა და მისი მიღება არათუ სახალხო დამცველს, კანონით, ნებისმიერ რიგით მოქალაქესაც შეუძლია.

სასამართლო განხილვისას მოპასუხე მამუკა სონღულაშვილმა წარმოადგინა წერილობითი სიტყვა, სადაც აღნიშნავდა, რომ სახალხო დამცველს არ მიაწოდა მასალა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო; თუმცა, შემდეგ განმარტა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არაფერ შუაშია - მას არ სურდა, წერილობით დაედასტურებინა, რომ სახალხო დამცველი მისგან არაკანონიერად ითხოვდა მასალების მიწოდებას.

"მოსამართლე, მით უმეტეს სასამართლოს თავმჯდომარე, ვალდებულია, ებრძოლოს ყოველგვარ უკანონობას და არა - შეფარვით თუ მინიშნებებით ისაუბროს. თუ სახალხო დამცველი არღვევს კანონს, სასამართლოს თავმჯდომარემ, პირველ რიგში, სწორედ მას უნდა მიუთითოს ამის შესახებ. სონღულაშვილს, როგორც ჩანს, სხვა უფრო დამაჯერებელი არგუმენტები ხელთ არ აღმოაჩნდა", - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

როგორც ომბუდსმენის ოფისში განმარტავენ, **"სახლხო დამცველის მუშაობა დიდწილად არის ინფორმაციის სრულყოფილად ფლობაზე დამოკიდებული. სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელის მოთხოვნის იგნორირება კი ადამიანთა უფლებების დაცვისადმი აგდებული დამოკიდებულების მაჩვენებელია. სამწუხაროდ, სახალხო დამცველს არც სხვა სახელმწიფო ორგანოები აწვდიან სათანადო ინფორმაციას"**, - აცხადებენ სოზარ სუბარის თანამშრომლები. ჩვენი ინფორმაციით, ომბუდსმენმა საჭირო მასალები სხვა სასამართლოს თავმჯდომარეებსაც მოსთხოვა, თუმცა, მამუკა სონღულაშვილის მსგავსად, არც ერთ მათგანს მოთხოვნილი მასალა ომბუდსმენისთვის არ გადაუცია.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულებამ ომბუდსმენის მოთხოვნა არ დაკმაყოფილა, სახალხო დამცველის აპარატში თვლიან, რომ თავად პრეცედენტის არსებობა, როცა სახალხო დამცველის აპარატმა სასამართლოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს სამართალდამცავ სფეროში.

24 საათი

ადვოკატები მოსამართლისა და გამომძიებლის წინააღმდეგ

თბილისის საოლქო სასამართლო დღეს იმ სარჩელს განიხილავს, რომლითაც ადვოკატები - ლიკა ჭაჭუკაშვილი და სოფო სოხაძე გორის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. საოლქო სასამართლოს იმ სამართლებრივი ხარვეზების გასწორება მოუწევს, რომელიც გორის სასამართლოს მოსამართლემ ქართლოს სულაბერიძემ და გამომძიებელმა სოსო აღლაძემ დაუშვეს. როგორც ადვოკატები აცხადებენ, მოსამართლემ პროკურატურის ზეწოლას ვერ გაუწია წინააღმდეგობა და კანონი უხეშად დაარღვია.

ინგა ალავიძე

ამის გამო, ადვოკატები მოსამართლე ქართლოს სულაბერიძის წინააღმდეგ იუსტიციის საბჭოში საჩივრის შეტანას გეგმავენ. სხვათა შორის, იუსტიციის საბჭოს მონაცემებით, ქართლოს სულაბერიძე ერთ-ერთი ყველაზე კანონდამრღვევი მოსამართლეა. ამაზე ის სტატისტიკაც მეტყველებს, რომელიც საბჭოს აქვს და, რომლის მიხედვითაც, ჩადენილი უკანონობისთვის სულაბერიძეს ამ წლის განმავლობაში შვიდჯერ უჩივლეს. ადვოკატები გორის საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელს სოსო აღლაძესაც უჩივიან. აღლაძეს აუცილებლად მოუწევს გენერალურ პროკურატურაში მისვლა და პასუხის გაცემა იმ უხეშ საპროცესო დარღვევებზე, რაც მან საქმის ძიებისას დაუშვა. რადგან საქმეს, რომლის გამომძიებელიც აღლაძე გახლდათ, გამოძიებული პირობითად შეიძლება ეწოდოს. სწორედ ამ საქმის გამო, გუშინწინ გორის პროკურატურის წინ გორელები შეიკრიბნენ და პროკურატურას კანონიერებისა და ადამიანის უფლებების დაცვა მოსთხოვეს.

საქმე ისაა, რომ 26 მარტს გორის საგამოძიებო დეპარტამენტში გამომძიებელმა სოსო აღლაძემ, მიღებული ანონიმური შეტყობინების საფუძველზე, ყაჩაღობის მუხლით, საქმე აღძრა. არადა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ანონიმური შეტყობინება საქმის აღძვრის საფუძველი არ გახლავთ. სოსო აღლაძეს ეს რომ სცოდნოდა, ასეთ სერიოზულ შეცდომას არ დაუშვებდა. დააკავეს დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირიც – ალექსანდრე მარუაშვილი, დავით ნადირაშვილი და ალიკ პოღოზაშვილი. თუმცა, საქმეში არც დაკავების ოქმი არსებობს, არც - საქმის აღძვრის თაობაზე დადგენილება, და ბრალის წაყენების შესახებ შედგენილი დადგენილებაც უკანონოა. მიუხედავად ამისა, სამივე დაკავებული ჯგუფურ ყაჩაღობაში ბრალდებულად გამოცხადდა. საუბარია, სოფელ ქვახვრელის განაპირას მდებარე ცხვრის ფერმიდან ერთი ცხვრის გატაცებაზე - ასეთია გამოძიების მიერ წაყენებული ბრალდების მოკლე ფაბულა. გამოძიებამ დაზარალებულის სტატუსებიც დაარიგა, ისე, რომ არც ერთი პირი ობიექტურად დაზარალებული არ გახლავთ. დაზარალებულად გამოცხადდა ფერმის მეპატრონე, რომელსაც შენობა იჯარით აქვს გაცემული და ორი მეცხვარე. ერთმა დაზარალებულად ცნობილმა მეცხვარემ მიშა ლოთიშვილმა განაცხადა, - სამივე დაკავებული ფერმაში იყო და ცხვრის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ რადგანაც დოლის პერიოდია და ცხვარს ვერ ვყიდით, უარი ვუთხარით, ცხვრის ხორცი მივეციათ და წავიდნენო. მეორე დაზარალებულმა, ფერმის მეპატრონემ, რომელიც შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა, განაცხადა, - ჩემი ცხვარი და ბატკანი დაკარგული მეგონა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფარა დაითვალეს, ცხვარიც და ბატკანიც ფარაში აღმოჩნდაო. მესამე დაზარალებულმა ლავრენტი ქამალ ოღლიმ ლოთიშვილის იდენტური ჩვენება მისცა, თუმცა - მცირე დანამატით. მის ჩვენებაში ჩაიწერა, რომ ალექსანდრე მარუაშვილი, დავით ნადირაშვილი და ალიკ პოღოზაშვილი ფერმაში მიცვივდნენ, იჩხუბეს, კარ-ფანჯარა დაამტვრიეს და ცხვრის წაყვანა ძალით უნდოდათ. როგორც ადვოკატები აცხადებენ, მოგვიანებით გაირკვა, რომ ლავრენტი ქამალ ოღლიმ ქართულად წერა-კითხვა არ იცის, მისი ჩვენება გამომძიებელმა დაწერა და მას მხოლოდ ხელი მოაწერინა; თანაც, დაკითხვის ოქმში ჩაიწერა, რომ ის ქართულის მცოდნეა და თარჯიმანს არ საჭიროებს. სხვათა შორის, არც ერთ დაზარალებული საკუთარ უფლებებს არ გასცნობია, ისე ჩაუტარდათ საგამოძიებო მოქმედებები. ლიკა ჭაჭუკაშვილის განცხადებით, დაზარალებულებმა ადვოკატებს ახსნა-განმარტებები ჩააბარეს და გამომძიებელს ხელმეორედ დაკითხვა სთხოვეს, თუმცა გამომძიებელმა აღლაძემ კატეგორიული უარი განაცხადა. ერთი სიტყვით, ასე, საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით, შეიქმნა საქმე და დაღუპული მეგობრის დაბადების დღის აღსანიშნავად ფერმაში მისული მეგობრები უმძიმეს დანაშაულში – ჯგუფურ ყაჩაღობაში ბრალდებულებად გამოცხადდნენ. უკანონობა გორის სასამართლოშიც გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისთვის დაწესებული 72-საათიანი ვადა ამოწურული იყო, მოსამართლემ საქმე განსახილველად მაინც მიიღო. ერთ-ერთ ბრალდებულს – ალიკ პოღოზაშვილს მოსამართლემ პატიმრობის მაგივრად პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა. ლიკა ჭაჭუკაშვილისა და სოფო სოხაძის განცხადებით, ამის გამო, მოსამართლე პროკურორმა სასტიკად დატუქსა. **"პროკურორმა ია მეფარიშვილმა, ფაქტობრივად, საქმე გაურჩია მოსამართლეს და სერიოზულად ეჩხუბა, - რატომ გაუშვი პოღოზაშვილიო. სწორედ მეფარიშვილის სერიოზული წინააღმდეგობის გამო ვერ დაკითხა მოსამართლემ სასამართლოში მოსული დაზარალებულები. მას შემდეგ, რაც მეფარიშვილი მოსამართლეს წამოუხტა და მოწმის დაკითხვა გააპროტესტა, მოსამართლემ ჩვენს შუამდგომლობაზე მოცემული თანხმობა შეცვალა. გარდა იმისა, რომ მოსამართლემ არ იმსჯელა ვადებზე, სასამართლოს არ უნდა განეხილა საქმე და სამივე დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინა, იმიტომაც, რომ საქმეში დაკავების ოქმი არ არსებობს და ისინი უკანონო პატიმრები არიან"**, – აცხადებენ ლიკა ჭაჭუკაშვილი და სოფო სოხაძე. ერთი სიტყვით, კანონის უხეში დარღვევით, პროკურორის მიერ დაშინებულმა მოსამართლემ გამოძიების შუამდგომლობის განიხილვა გააგრძელა და დანარჩენ ორ ბრალდებულს – დავით ნადირაშვილსა და ალექსანდრე მირუაშვილს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მორიგი სამართლებრივი ომი ადვოკატებსა და მოსამართლე - გამომძიებელს შორის საქმის მასალების გაცნობისა და ასლების გადაღების თაობაზე გაიმართა. მათ უარი ჯერ მოსამართლემ განუცხადა, ხოლო შემდეგ გამომძიებელმა, რომელმაც საქმის სრულყოფილი გაცნობის თაობაზე, საპროცესო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილების შესახებ არაფერი იცოდა. ადვოკატები, რომელთაც კანონით მინიჭებული უფლებები გამომძიებელმა შეუზღუდა, შიშობენ, რომ შესაძლოა, გამოძიებამ საქმეში მათთვის სასურველი ცვლილებები შეიტანოს. როგორც თავად აცხადებენ, მათ შიშს მყარი საფუძველი აქვს, რადგან მსგავს შემთხვევას ამავე საქმეში უკვე ჰქონდა ადგილი.

ადვოკატთა განცხადებით, გორის საგამოძიებო სამსახურის მიერ შექმნილ საქმეში სხვა ძალზე ბევრი უსერიოზულესი სამართლებრივი დარღვევებია, რის გამოც, იგი, დანაშაულის კვალიფიკაციით დაწყებული, დასარღვევია – უნდა შეწყდეს.

დღეს თბილისის საოლქო სასამართლოს გორის სასამართლოს მიერ გამოტანილი იმ დაგაწყვეტილების კანონიერების განხილვა მოუწევს, რომლის საფუძველიც, გორის საგამოძიებო სამსახურის მიერ, ალბათ თავის გამოჩენის მიზნით, ხელოვნურად დამძიმებული საქმე გახლავთ. **"ნებისმიერ შემთხვევაში, სამართლებრივ დავას გავაგრძელებთ. არ გავჩერდებით მანამდე, სანამ გამომძიებელი და მოსამართლე მათ მიერ ჩადენილი უკანონობისთვის პასუხს არ აგებენ"**, – ასეთია ლიკა ჭაჭუკაშვილისა და სოფო სოხაძის საბრძოლო განწყობა.

Human Rights Watch-ის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს

"მოგმართავთ, რათა გამოვხატოთ ჩვენი შეშფოთება არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" მიმართ განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით. "ყოფილი პოლიპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო იყო წინასწარი დაკავების ადგილებში დაკავებულთა წამების აღკვეთა. ჩვენ ძალიან შეშფოთებული ვართ საქართველოს ხელისუფლების იმ მცდელობებით, რომლებიც მიმართულია ამ ორგანიზაციის მუშაობისათვის ხელის შეშლისაკენ. ეს გამოიხატება იმაში, რომ მის წევრებს ხელისუფლება არ აძლევს საშუალებას, შეხვდნენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს; ასევე, ადგილი აქვს მცდელობას, რომ ტელეეკრანებზე არ გაუშვან მათ მიერ მომზადებული დაკავებულთა წამების საწინააღმდეგო სარეკლამო კლიპები" , - ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე Human Rights Watch-ის ევროპისა და აზიის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის რეიჩელ დემბერის მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ მიმართვაში. ამ მიმართვის ასლები საქართველოში ეუთო-ს მისიის თავმჯდომარეს როი სტეფან რივს, საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის თავმჯდომარეს ტოლბერტ ჰოლტცს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის საქართველოს შესახებ თანამომხსენებელს მათიას იორშს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის საქართველოს შესახებ თანამომხსენებელს ევგენი კირილოვსაც გადაეგზავნათ.

"მოხარული ვართ, რომ ხელისუფლებამ კვლავ განაახლა მონიტორინგის ჩატარების სისტემა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მონაწილეობით, მაგრამ გაკვირვებულნი ვართ იმით, რომ მონიტორინგში მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის არ მოხვდა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაცია - "ყოფილი პოლიპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის", - აცხადებს Human Rights Watch-ის ევროპისა და აზიის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორი რეიჩელ დემბერი. მისივე განმარტებით, "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარეს ნანა კაკაბაძეს და მისი ორგანიზაციის წევრებს ჰქონდათ იმის საშუალება, რომ 2004 წლის ივნისამდე მაინც შეხვედროდნენ პატიმრებს. თუმცა, პატიმარ სულხან მოლაშვილის მონახულებისა და მისი წამების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განცხადების შემდეგ ამ ორგანიზაციის წევრებს ჩამოართვეს პატიმრებთან შეხვედრის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინციდენტი დადებითად გადაწყდა, ჩვენი შეშფოთება გამოიწვია ამ საკითხში ხელისუფლების არასათანადო ჩარევამ.

საქართველოს პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილ მიმართვაში Human Rights Watch-ის ევროპისა და აზიის განყოფილება დაჟინებით მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციას თავისუფალი მუშაობის შესაძლებლობა მიეცეს, რაც მისთვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობის აღდგენას გულისხმობს. **"ჩვენ ასევე გთხოვთ, გაუგზავნოთ მკაცრი სიგნალი თქვენს მთავრობას, რათა ის ტოლერანტულად და თანაბრად მოექცეს ადამიანის უფლებათა ყველა დამცველის მუშაობას. ყველა ხელისუფლების მოვალეობაა, რომ დაიცვას ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ყველა იმ ჯგუფისა და ორგანიზაციის უსაფრთხოება, რომლებიც ემსახურებიან საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეს. საქართველოს ხელისუფლებას ნათლად აქვს დაფიქსირებული, რომ საქართველო ერთგული დემოკრატიული განვითარებისა, რომელიც მოიცავს კონსტრუქციულ კრიტიკას ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, როგორსაც წარმოადგენს "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის". ეს ორგანიზაცია არსებით როლს ასრულებს ამ პროცესში"**, - ნათქვამია მიმართვაში.

24 საათი

დაკავება ქრთამის შეთავაზების ფაქტზე

სამართალდამცველებმა პოლიციელისთვის ქრთამის შეთავაზების ფაქტზე მოქალაქე დავით მაღლაკელიძე დააკავეს. იგი, ერთ-ერთი სამართალდარღვევის დამადასტურებელი მასალების განადგურების სანაცვლოდ, პოლიციელს 100 ლარს სთავაზობდა.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძე აცხადებს, შსს-ს თანამშრომლებმა დამნაშავე ქრთამის გაცემის მომენტში დააკავეს.

ბრეგაძის განმარტებით, კანონის თანახმად, ქრთამის გამცემი ისეთივე დამნაშავეა, როგორც ქრთამის ამღები და ორივე დანაშაული სისხლის სამართლებრივ სასჯელს ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ქრთამის გაცემის ყველა მსურველს კანონმორჩილებისკენ მოუწოდებს და აფრთხილებს, რომ არც ერთი მათგანი დაუსჯელი არ დარჩება.

სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის თანახმად, ქრთამის შეთავაზება ჯარიმით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. თუ რომელი სასჯელი შეეფარდება დავით მაღლაკელიძეს, ამას სასამართლო გადაწყვეტს.

ინტერ-პრესი

უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.....

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.....

საკონტაქტო ტელეფონი .....

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ძალიან თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

ენერგობიუჯეტი 2005

გასულ კვირას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის რეფორმირების სამთავრობო პოლიტიკის პრეზენტაცია მოახდინა. რეფორმა, რომელიც კახა ბენდუქიძემ გამოიტანა საზოგადოების სამსაჯვროზე, დარგის მაქსიმალურ დერეგულირებას, ენერგოობიექტების მაქსიმალურ განსახელმწიფოებრიობას, ხოლო ენერგოსტრუქტურების ურთიერთობების მაქსიმალურ გაიოლებას გულისხმობს, რისკენ სავალ გზაზეც განსახორციელებელია პრივატიზაციის პროცესი, შესაცვლელია ენერგოსექტორის მოწყობის დღევანდელი მოდელი, მოკლედ - საუბარია საკმაოდ გლობალურ ცვლილებებზე, რომელიც სერიოზულ ანალიზს საჭიროებს. ამ ანალიზის გასაკეთებლად კი გარკვეული დროა საჭირო.
შედარებით მარტივი, მოკლევადიანი და ადვილად აღსაქმელია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული გეგმა, რომლის განსახორციელებლადაც ბიუჯეტში თანხები უკვე გათვალისწინებული გახლდათ. ამ თანხის ოდენობა, მიმდინარე კვირას დასამტკიცებელი 2005 წლის საბიუჯეტო ცვლილებებით, კიდევ უფრო გაიზრდება.
დღეს "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" 2005 წლის ბიუჯეტში ელექტროენერგეტიკისთვის გათვალისწინებული გაზრდილი ხარჯების სამინისტროსეულ "განწერას" გთავაზობთ:

ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაციის თაობაზე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და დონორებთან შეთანხმებული სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დიდი ოდენობის ფინანსური რესურსები დაიხარჯება.

ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რომ ენერგოსექტორი უახლოეს პერიოდში თვითანაზღაურებად, საბაზრო პრინციპებით მოქმედ სტურქტურად უნდა იქცეს, ამისათვის კი აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ამ მხრივ მტკიცე ნების გამოჩენა. **"მკაცრად აღკვეთილი უნდა იყოს სექტორში ელექტროენერგიის უფასოდ გაცემის პრეცედენტები და აქედან მიღებული უდიდესი დანაკარგები, ვინაიდან ამის რესურსი ელექტროენერგეტიკას უკვე აღარ გააჩნია. ასევე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ენერგოსექტორისათვის ისეთი რთული საკითხების მოგვარება, როგორიცაა საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებისა და სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების (წყალსადენები) ელექტროენერგიით მომარაგების ანაზღაურების საკითხი. ხსენებული მიზეზებით ელექტროენერგეტიკული სისტემის ყოველწლიური დანაკარგები დაახლოებით 50 მლნ. ლარს შეადგენს"**- განაცხადა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა.

წლების განმავლობაში ზემოთ მითითებული დაუძლეველი მიზეზების ზეგავლენით, დიდი ოდენობის დანაკარგების პირობებში, დარგში ვერ ხორციელდებოდა გენერაციის და გადამცემი ხაზების რეაბილიტაცია, ასევე სრულად მოიშალა აღრიცხვიანობის სისტემა. ამ საინვესტიციო ღონისძიებისთვის მიმდინარე წელს საჭიროა გამოიყოს მნიშვნელოვანი ასიგნებები. მთავრობის გადაწყვეტილებით ენერგოსექტორისთვის აუცილებლად გამოსაყოფი საერთო ასიგნებების მოცულობად 194,5 მლნ. ლარი განისაზღვრა. ეს თანხა "ენგურჰესის" რეაბილიტაციის თანადაფინანსებას, რეაბილიტაციის პროცესში მისი გაჩერების დროს დამატებით არსებული დეფიციტის დასაფარავად საჭირო ელექტროენერგიის შესყიდვას, ენერგოსექტორთან მიმართებაში ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების კომპენსირებას მოხმარდება.

ენერგოსექტორის წინაშე მდგარი პრობლემების უმოკლეს პერიოდში გადასაწყვეტად საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში შემავალი თანხებიდან დამატებით უნდა გამოიყოს 163,938 მლნ. ლარი, რომელიც მიმართულ იქნება:

1. ჰიდრო და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაციის ღონისძიებებისთვის - 26,600 ათასი ლარი.
2. გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის აბონენტთა გამრიცხველიანების ღონისძიებისთვის - 20,182 ათასი ლარი.
3. ელექტროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობის თანადაფინანსებისთვის - 30,000 ათასი ლარი.
4. ენგურჰესის რეაბილიტაციის ღონიძიების თანადაფინანსებისათვის - 11,400 ათასი ლარი.
5. რეაბილიტაციის პროგრამით ენგურჰესის გაჩერების პეროდში ელექტროენერგიის მიწოდებაში არსებული დეფიციტის დასაფარავად ელექტროენერგიის შესყიდვის ღონისძიებისათვის - 57,079 ათასი ლარი.
6. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში გადამცემი ხაზების, ტრანსფორმატორების და ელექტრო ქვესადგურების გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - 4,318 ათასი ლარი.
7. ბუნებრივი გაზის სექტორის სარეაბილიტაციო ღონისძიებისთვის 2,000 ათასი ლარი.
8. გამანაწილებელი ენერგო კომპანიების თანადაფინანსება საგადასახადო პოლიტიკის (დღგ) ცვლილებების გამო - 11,400 ათასი ლარი.
9. სხვა ღონისძიებები - 959 ათასი ლარი.

I. ჰიდრო და თბოელექტროსადგურების რეაბილიტაციის ღონისძიებები

ვარდნილჰესების კასკადი

ენგურჰესზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები 2006 წელს დასრულდება. ამ დროისათვის რეაბილიტირებული იქნება N1,2 და 3 აგრეგატები და ჰიდროელექტროსადგურის მუშა სიმძლავრე საპროექტო სიმძლავრის 80%-ს მიაღწევს. (დანარჩენი სიმძლავრეები შევა N4 და N5 აგრეგატების რეაბილიტაციის შემდეგ). ეს ვითარება განსაკუთრებულად მოითხოვს ვარდნილჰესის გამართულ მუშაობას. თუ ვარდნილჰესის აგრეგატებმა ვერ განაპირობა ენგურჰესის მიერ გამომუშავებული წყლის გატარება, ენერგოსისტემა იძულებული იქნება შეამციროს ან სხვა უკიდურეს შემთხვევაში, სრულად გააჩეროს ენგურჰესი.

2004 წელს გაწეული მუშაობის მიუხედავად, ვარდნილჰესი დღეისთვის ვერ აკმაყოფილებს საიმედოობის მხრივ იმ მოთხოვნებს, რომელიც მას აკისრია. კერძოდ, 3 მუშა აგრეგატიდან 2 ნაწილობრივაა აღდგენილი და მათი საიმედოობის ხარისხი დაბალია; 1 აგრეგატი (N2) ტურბინის სერიოზული დაზიანების გამო გამოსულია მწყობრიდან და არ ექვემდებარება აღდგენას; მაღალი ძაბვის ღია გამანაწილებელი მოწყობილობის ნაწილში არსებობს დიდი პრობლემები (გამოსულია მწყობრიდან 220 კვ-ის ამომრთველების და გამთიშველების ნახევარი), რაც ძლიერად ასუსტებს ენერგოსისტემის კავშირების საიმედოობას.

2005 წელს ბიუჯეტიდან ვარდნილჰესი 6350 ათასი ლარს მიიღებს, რითაც დაგეგმილია ორი დიდი პრობლემის გადაჭრა.

1) 2 ცალი ტურბინის მუშა თვლის შეძენა-მოტანა. წელსვე N2 აგრეგატზე ტურბინის მუშა თვლის დამონტაჟება, აგრეგატის გაფართოებული კაპიტალური შეკეთება და მისი მწყობრში ჩასმა საიმედოდ. N2 აგრეგატის სამუშაოების შესრულებას დასჭირდება 3290 ათასი ლარი, ხოლო მაღალი ძაბვის აპარატურის შეძენა-დამონტაჟებას 1260 ათასი ლარი. ამ ღონისძიების შედეგად ვარდნილჰესის მუშა სიმძლავრე დღევანდელი 100 მვტ-დან გაიზრდება 170 მვტ-მდე და მიუახლოვდება საპროექტო ნიშნულს. (220 მვტ).

2) მეორე დიდ პრობლემას წარმოადგენს ვარდნილის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, კერძოდ, გამყვანი არხის, უქმი წყალსაშვის და ე.წ. „პერებროსკის“ მდგომარეობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამყვანი არხი, მიმდებარე ქანების დაცოცების გამო შევიწროებულია დ ვერ ატარებს წყლის ხარჯის ნახევარს, რაც ახლაც და შემდეგშიც შეზღუდავს ჰესის სიმძლავრეს. ამ მიმართულების სამუშაოები 2005-2006 წელს ჩატარდება. მიმდინარე წელს დაიხარჯება 1800 ათასი ლარი, რითაც არხის გამტარუნარიანობა მიუახლოვდება საპროექტო მოთხოვნას, ხოლო გაისად საპროექტოს სესაბამისი გახდება და საიმედოდ გამაგრდება. უქმე წყალსაშვისა და ე.წ. „პერებროსკის“ წესრიგში მოყვანა ენერგეტიკოსებს საშუალებას მისცემს დაარეგულირონ წყლის დონე ვარდნილის წყალსაშვში და შემოიტანონ ენერგეტიკული წყალი (დაახლოებით 60 მვტ. სიმძლავრის ეკვივალენტი) ენგურის გაჩერებების დროს. საბოლო ჯამში ამ ღონისძიებისათვის დამატებით გასათვალისწინებელია 5650 ათასი ლარი ვინაიდან 2005 წლის უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტით ამი ღონისძიებისათვის უკვე გამოყოფილია 700 ათასი ლარი.

შაორჰესი

შაორჰესის მუშა სიმძლავრე დღეისათვის, ტურბინის მუშა თვლების და სხვა ძირითადი მოწყობილობის უვარგისობისა და ცვეთის გამო ნახევრადაა შემცირებული. მდგომარეობის გამოსწორების პირველი ღონისძიებაა 2 ახალი მუშა თვლის (ოთხიდან) შეძენა და მოტანა, რისი საორიენტაციო ფასი შეადგენს 630 ათას ლარს. ორივე მუშა თვლის დაყენების შემთხვევაში (2005 წლის ბოლოს და 2006 წლის წყალდიდობებით) ჰიდროსადგურს დაუმატებს საიმედო 19 მეგავატ სიმძლავრეს. გენერატორის სიმძლავრის გაზრდის მიზნით აუცილებელია თუნდაც ერთ გენერატორზე რეკონსტრუქციის ჩატარება ახალი გრაგნილებით. ახალი გრაგნილის საორიენტაციო ფასი 360 ათას ლარია.

ჰიდროტექნიკური ნაგებობებიდან ძირითადად მნიშვნელოვანია ორძაფიანი მილსადენის გაწმენდა-შეღებვის სამუშაოები. ეს მილსადენები აწვდიან წყალს მაღალი წნევით ტურბინებს, მათი კოროზირება და სისქის დათხელება დაუშვებელია. გარდა ამისა, გამოსაკვლევია სადერივაციო გვირაბი, სადაც მრავალი დეფექტია და 2006 წლისთვის მოსამზადებელია გვირაბის შეკეთების პროექტი. ამ ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 1990 ათასი ლარი.

გუმათჰესების კასკადი

იმერეთის რეგიონების ჰესებს შორის დღეს გუმათჰესი ყველაზე არასაიმედოდ მუშაობს და ენერგეტიკულ წყალს არაეფექტურად იყენებს. ამის მიზეზებია ხანგრძლივი შეუკეთებლობის გამო ელექტრომექანიკური მოწყობილობების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ცუდი მდგომარეობა. გუმათ-1-ში არასაიმედოდ მუშაობენ N1 და N4 აგრეგატები, საჭიროა N2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება და N3 ტურბინაზე მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ქარხანა დამამზადებლებთან შეკვეთების შესრულება, რათა 2006 წელს ეს აგრეგატი აღდგეს. დაგეგმილია აგრეთვე 1 კომპლექტი სტატორის შეძენა და გამოცვლა ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფ გენერატორზე. გუმათი-2-ში აუცილებელია 2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, აქედან ერთი N6 დიდი ნანია უკვე გაჩერებულია და არ ფუნქციონირებს.

დღეისთვის გუმათჰესი-1-ის ძირითადი ელექტრო სქემის შესრულების გამო სადგურის იმედიანობაც შემცირებულია. იმ შემთხვევისთვის, როცა აღდგება ოთხივე აგრეგატი, აუცილებელია ჩატარდეს არსებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები 35 კვ ქსელში, რამაც უნდა უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში ჰესის ოთხივე აგრეგატის სიმძლავრის გატარება. ზემოთ ხსენებული ღონისძიებებისთვის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრულია 2900 ათასი ლარი.

რიონჰესი

რიონჰესისთვის გამოყოფილი თანხა 1080 ათასი ლარი ძირითადად მოხმარდება ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღდგენას, მათ შორის კაშხალის რაიონში ნაპირსამაგრ სამუშაოებს, რადგანაც რიონი საფრთხეს უქმნის წყალმიმღებსა და მის კონსტრუქციებს, შესაბამისად წყალგამყვან არხს, რომელიც კვეთი ხანგრძლივი ურემონტობის გამო ზოგ ადგილას შემცირებულია 20-30%-ით. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ რიონჰესს საშუალება ექნება გაზარდოს სიმძლავრე დღევანდელი 48 მვტ-დან. საპროექტო- 56 მვტ-მდე. პროგრამა ორწლიანია და უნდა გაგრძელდეს 2006 წელსაც.

ლაჯანურჰესი

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება კონტრაქტორებთან, რომ გატარდეს ყველა ღონისძიებები იაპონური ბანკის სესხით ლაჯანურჰესის N2 აგრეგატის დასამთავრებლად, აგრეთვე 2005 წელს დაგეგმილია N2 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, რის შედეგადაც წლის ბოლოსთვის ჰესის სიმძლავრემ შეიძლება მიაღწიოს 70 მვტ-ს (ნაცვლად ახლანდელი 25 მვტ-სა). ამ მიზნით აღნიშნული ჰესის დაფინანსებისათვის უნდა გამოიყოს 2550 ათასი ლარი.

ძევრულჰესი

ძევრულჰესზე დაგეგმილია N3 აგრეგატის კაპიტალური შეკეთება, რაც არსებულ მუშა სიმძლავრეს 55 მვტ-ს, დაუმატებს 20 მვტ-ს და მიუახლოვდება დადგმულ საპროექტო სიმძლავრეს 80 მვტ-ს. სამუშაოების ღირებულება დაახლოებით შეადგენს 350 ათასს ლარს.

გარდა ამისა, ჰიდროტექნიკური ნაგებობებში აუცილებელია ჰესის სადერივაციო გვირაბის გამოკვლევა, სამუშაოების პროექტირება და წელსვე მისი შესრულება. რადგანაც სადერივაციო გვირაბი მრავალგანაა დაზიანებული და შეიძლება დიდი მასშტაბის ავარიის მიზეზი გახდეს. სადერივაციო გვირაბის გამოკვლევა, საპროექტო სამუშაოები და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების საორიენტაციო ფასი იქნება დაახლოებით 450 ათასი ლარი.

ხრამჰესი-2

"ჰიდროელექტროსადგურ ხრამი-2-ის რეაბილიტაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 4 დეკემბრის N196 განკარგულებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროს, ძენერგოგენერაციასა" და "ხრამჰესი-2"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად ხრამჰესი-2-ის N2 აგრეგატისა და ღია ქვესადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოთა განსახორციელებლად საკრედიტო რესურსის სახით გათვალისწინებელია 1,650 მლნ დოლარის ექვივალენტი თანხა, აგრეთვე სხვა დამატებითი საინსტალაციო ღონისძიებისათვის 3600 ათასი ლარი.

მდ. ენგურის ნაპირსამაგრი სამუშაოები

ენგურჰესის რეაბილიტაციის პროგრამით 2005 წლის აპრილი-ივნისის თვეებში გათვალისწინებული ენგურჰესის გაჩერება გამოიწვევს ამ თვეებში ენგურის გატარებას ძველ კალაპოტში. ამ ღონისძიების არასასურველი შედეგების აღმოსაფხვრელად (ნაპირის გარეცხვა, დანგრევა და ა.შ.) აუცილებელი გახდება ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება და ნაპირების აღდგენა მდინარის მიმდებარე რიგ სოფლებში ენგურის ქვედა ბიეფში, რათა ადგილზე მოსახლეობას არ მიადგენს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. სამუშაო ჩატარდება შედგენილი პროექტის მიხედვით და დაიხარჯება 1 მლნ. ლარი.

მცირე ჰესები

2005 წელს გადაწყვეტილია მაღალმთიან აჭარაში ჩირუხი-სანალიას ჰესის რეაბილიტაციის ღონისძიებების დაფინანსების გასაგრძელებლად ბიუჯეტიდან გამოიყოს 855 ათასი ლარი, რის შედეგადაც მისი სიმძლავრე დაახლოებით 3 მვტ-მდე გაიზრდება (15 მლნ. კვტ/სთ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავებით). ამ ენერგიით ის დააკმაყოფილებს შუახევის რაიონსა და ნაწილობრივ ხულოს რაიონს.

200 ათასი ლარი გათვალისწინებულია აგრეთვე კოდორის ხეობაში აჟარა ჰესის აღდგენისათვის. დღეისათვის ჰესი შარშანდელი მეწყერული მოვლენების გამო გამოსულია მწყობრიდან და არ ფუნქციონირებს. ამ ჰესის აღდგენა 250-300 კვტ. ფარგლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ხეობის ენერგომომარაგებას.

თგილსრესი

ენგურჰესის საგაზაფხულო გაჩერებასთან დაკავშირებით ენერგოსისტემისთვის აუცილებელია საბაზისო სიმძლავრის დამატება აღმოსავლეთ საქართველოში ეს მოხდება თბილსრესის N3 და N4 ბლოკების ექსპლუატაციაში გაშვების ხარჯზე. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, N3 ბლოკის მიმდინარე შეკეთების შემდეგ ჩაირთვება მართვის სისტემები, N4 ბლოკი კი ფუნქციონირებას დაიწყებს აპრილის შუა რიცხვებში, რითაც შემცირდება ენგურჰესის გაჩერებით სისტემაში გამოწვეული ენერგო დეფიციტი.

საერთოდ 2005-2006 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონის პროგრამის შესაბამისად, მოხმარების დასაფარავად აუცილებელია თბილსრესში იმუშაოს როგორც მინიმუმ ორმა ბლოკმა (N3,N4), ხოლო ერთი (N8) იყოს რეზერვში.

ბაზისური სიმძლავრის გასაძლიერებლად, როგორც ზემოთ აღინიშნა ტარდება ღონისძიებები თბილსრესში ახალი სიმძლავრის შესაყვანად. ეს სამუშაოების დაწყება წელს იგეგმება. დაიდგმება ახალი, გაზოტურბინის მაღალ ეფექტური დანადგარი, რაც შესამჩნევად შეამცირებს თბოსადგურებში გამომუშავებულ ელექტროენერგიის თვითღირებულებას. ამ ღონისძიებების დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 5975 ათასი ლარი.

II. სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების გამრიცხველიანების ღონისძიებების დაფინანსება

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნით გათვალისწინებულ იქნება 20182 ათასი ლარი, რომელითაც შესაძლებელი იყო 310-350 ათასი ინდივიდუალური მრიცხველების შეძენა და დამონტაჟება მოსახლეობისთვის. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა ენერგოკომპანიაში დარიცხვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, აგრეთვე ავარიასაწინააღდეგო სათადარიგი მოწყობილობისა და მასალების შეძენა, ამ ღონისძიებისათვის განსაზღვრულია დაახლოებით 17.6 მლნ ლარი. რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრებიდან ინდივიდუალური მრიცხველების შეძენა-დამონტაჟებას. მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულია მხოლოდ 43-45 ათასი ცალი ასეთი მრიცხველის შეძენა-დამონტაჟება. გამრიცხველიანების პროცესი დაგეგმილია გაგრძელდეს დუშეთში, მცხეთაში, ზუგდიდში, ტყიბულში, სამტრედიაში, ზესტაფონში და ოზურგეთში, რომლითვისაც გათვალისწინებულია 2591 ათასი ლარი.

გარდა ამისა KfW-ს (გერმანიის საკრედიტო ბანკი) საკრედიტო პროგრამით, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიისთვის განსაზღვრულია 10.7 მლნ ლარის გამოყოფა. რომლითაც შეძენილ იქნება მრიცხველები საცალო მომხმარებლებისთვის (70 ათასი ცალი), ხოლო კომუნალური და ინდუსტრიული მოხმარებისთვის კომპანია 10.6 ათასი ცალ მრიცხველს იყიდის. სამინისტროში მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარების შემდეგ აღრიცხვის სისტემა თითქმის მოწესრიგებულ იქნება ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში და რაიონში, ასევე ყველა დიდი მომხმარებელთან. გამრიცხველიანებულ აბონენტთა დონე ქვეყანაში მიაღწევს დაახლოებით 77-80%-ს. აქედან გამომდინარე 2006 წლის დასაწყისისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის 90 პროცენტის გადახდა განხორციელდება მრიცხველების ჩვენების მეშვეობით. შესაბამისად ენერგოკომპანიების კომერციული დანაკარგები 2005 წელს ბოლოსათვის 15-20%-მდე შემცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საშუალო მაჩვენებლები კი 80-85%-ს მიაღწევს.

"საერთაშორისო საფინანსო ორგანისაზიებისა და დონორების დახმარებით 2006 წელს ელექტროენერგიის აღრიცხვის პრობლემები პრაქტიკულად მოწესრიგდება, შესაბამისად ამასთან დაკავშირებით სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების კომერციული დანაკარგები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი, შესაბამისად გადახდის მაჩვენებელი 90 პროცენტს გადააჭარბებს"- აცხადებენ სამინისტროში.

III. ელექტროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობის თანადაფინანსების ღონისძიებები

"თბილსრესში" დემონტირებული აგრეგატების ადგილას განზრახულია 260 მეგავატიანი კომბინირებული ციკლის თბოსადგურის მშენებლობა. ამჟამად ენერგო სექტორის სამოქმედო გეგმის შესაბამისად გაზტურბინული დანადგარის მშენებლობის საკითხზე მიმდინარეობს წინადადებების მომზადება და სხვადასხვა ქვეყნების წამყვან ფირმებთან კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკება. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად აღნიშნული თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევა მომავალი წლის შემოდგომა-ზათრის სეზონზე და პრაქტიკულად გადაწყვეტს ენერგოსისტემაში მწვავე ენერგო დეფიციტის პრობლემას. ამ ღონისძიებისთვის მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 30 მლნ. ლარი. მშენებლობის სავარაუდო ვადაა 14-18 თვე, საჭირო ინვესტიციების მოცულობა კი 100 მლნ დოლარამდე მერყეობს.

260 მვტ-იანი კომბინირებული ციკლის თბოსადგურის ეფექტურობა (მქკ) თითქმის ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე დღეს მოქმედი ანალოგიური ტექნოლოგიური ციკლის მქონე ბლოკებისა.

IV. ენგურჰესის რეაბილიტაციის ღონისძიებების თანადაფინანსება

საქართველოს 2005 წლის ბიუჯეტში ენგურჰესის რეაბილიტაციის ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 4 მლნ ლარი. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ქართული მხარის ვალდებულებების შესასრულებლად წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით საჭიროა 15.4 მლნ ლარი ანუ დამატებით ამ ღონისძიების დაფინანსებისათვის უნდა გამოიყოს 11.4 მლნ ლარი.

VI. ელექტროენერგიის შესყიდვის ღონისძიებები

სახელმწიფო ბიუჯეტში 2005 წლის განმავლობაში მოსახლეობის და ეროვნული ეკონომიკის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდებაში წარმოქმნილი დეფიციტის დასაფარავად, საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ელექტროენერგიის შესყიდვისათვის უკვე გათვალისწინებულა 22 მლნ. ლარი. 2005 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის მიხედვით დამატებით გამოიყოფა 57079 ათასი ლარი. მათ შორის, 30 მლნ. ლარი ენგურჰესის დროებით გაჩერების პირობებში ელექტროენერგიის დანაკარგების ნაწილობრივ კომპენსაციისათვის. გარდა ამისა ელექტროენერგიის დეფიციტის შესავსებად საჭიროა 28,1 მლნ. ლარი. საიდანაც 2,8 მლნ. ლარი მიმართულ იქნება გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში (UDC) ელექტროენერგიის იმპორტისთვის, ხოლო 25,3 მლნ. ლარი თბოელექტროსადგურებიდან ელექტროენერგიის შესასყიდად. დარჩენილი თანხა გამოყენებულ იქნება მიმდინარე წლის მეორე-მეოთხე კვარტალში ელექტროენერგიის იმპორტისა და თბოელექტროსადგურიდან ელექტროენერგიის შესასყიდად. ელექტროენერგიის შესყიდვისათვის უკვე დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებების ჩათვლით გამოყოფილი სუბსიდიის მოცულობა 79079 ათას ლარს აღწევს.

აფხაზეთისათვის ელექტროენერგიის მიწოდების (ბაზური დატვირთვის ფარგლებში) შედეგად ყოველწლიურად სისტემა დგება რეალური ელექტრობალანსების დარღვევისა და ფინანსური დეფიციტის წინაშე, რის გამოც ყოველწლიურად იზრდება საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის დებიტორული დავალიანებები დაახლოებით 26-30 მლნ. ლარით. მთავრობაში მიაჩნიათ, რომ ამ თანხების ამოღების პერსპექტივა არ არის და სახელმწიფო დახმარების გარეშე ასეთი მოცულობის დეფიციტის დაფარვის შიდა რესურსები ელექტროენერგეტიკას არ გააჩნია.

VII. სახელმწიფო ელექტროსისტემის ობიექტების გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები

სახელმწიფო ელექტროსისტემაში გადამცემი ხაზების, ელექტროტრანსფორმატორებისა და ქვესადგურების გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია გამოიყოს 4318 ათასი ლარი. აქედან 3183 ათასი ლარი მოხმარდება ელექტროგადამცემი ხაზების (კოლხიდა-I, სურამი-ურბნისი, ლიახვი-არაგვი და "ველი") ავარიული უბნების აღდგენას. აგრეთვე 50 ქვესადგურში საკონტროლო ფარების გადახურვისა და გარე პერიმეტრის დაცვის ღონისძიებებისთვის მიმართულ იქნება 770 ათასი ლარი. 365 ათასი ლარი გათვალისწინებულია სისტემური ავარიების აღდგენითი სამუშაოებისათვისაც.

გარდა ამისა, საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული ინვესტიციური პროექტებით "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ფუნქციონირების შემდგომი გაუმჯობესებისთვის გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოყოფა. კერძოდ 2005 წელს KfW-ს (გერმანიის საკრედიტო ბანკი) მიერ გამოიყოფა 8,045 მილიონი ევრო, ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ - 10,317 მილიონი დოლარი.

გამოყოფილი კრედიტებიდან KfW-ს მიერ დაფინანსდება ზესტაფონის 500 კვტ-ნი ქვესადგურის რეაბილიტაცია, რომელზეც დაიხარჯება 6,699 მლნ. ლარი. ალავერდის ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაციისთვის (საკონსულტაციო მომსახურება) 250 ათასი ევრო, ხოლო სხვა საქონლისა და სათადარიგო ნაწილების შესაძენად - 1097 ათასი ევრო.

მსოფლიო ბანკის კრედიტებიდან საბითუმო მრიცხველების შესაძენად განსაზღვრულია 1870 ათასი დოლარი, საჰაერო ამომრთველების შესაძენად 1420 ათასი დოლარი, ხოლო მოწყობილობების და სათადარიგო ნაწილების შესაძენად მიიმართება - 6052 ათასი დოლარი.

კავშირურთიერთობის საშუალების "სკადას" პროგრამისთვის საკონსულტაციო მომსახურების სახით გამოყოფილია 975 ათასი დოლარი.

VIII. ბუნებრივი გაზის სექტორი

ბუნებრივი გაზის სექტორში გადაუდებელი რეაბილიტაციის ღონისძიების განსახორციელებლად გათვალისწინებულია 2,0 მლნ. ლარი. აქედან 260 ათასი ლარი მიმართულიქნება წინა წელს დაწყებული „ყაზბეგიგაზის“ ქსელის რეაბილიტაციის ღონისძიების დასამთავრებლად, ხოლო 240 ათასი ლარი ყაზბეგის მოსახლეობისთვის გაზის მრიცხველების შესაძენად და დასამონტაჟებლად.

მაგისტრალურ გაზსადენების ავარია-საშიში უბნების რეაბილიტაციის ღონისძიებებისა და აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგებისათვის გამოიყოფა 1500 ათასი ლარი.

IX. საგადასახადო პოლიტიკის (დღგ) ცვლილების გამო ენერგეტიკული სექტორისათვის ნაწილობრივი კომპენსაციის ღონისძიება

საქართველოს საგადასახადო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შედეგად შეიცვალა გამანაწილებელი ენერგოკომპანიების ბიუჯეტთან ურთიერთობა, კერძოდ გაუქმდა შეღავათი, რომლის მიხედვით ენერგოკომპანიები დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ-ს) იხდიდნენ მათ მიერ რეალიზებული ელექტროენერგიის ფაქტობრივად ამორებული ტანხების მიხედვით. აღნიშნული ღონისძიებების გამო ენერგოკომპანიებმა, რომელთა რეალიზებული პროდუქციის საპროგნოზო მოცულობა 2005 წელს 150 მლნ. ლარს შეადგენს, ბიუჯეტში მიმდინარე წელს 11 თვეში უნდა გადაიხადონ 22,8 მლნ. ლარი. აქედან 11,4 მლნ. ლარს ისინი საკუთარი შემოსავლებიდან გადაიხდიან, რადგან რეალიზაციიდან თანხების 50%-იანი მობილიზაციის პირობებში ფაქტიურად მიღებული ამონაგები სნორედ ამდენს შეადგენს. ხოლო დარჩენილი 11,4 მლნ ლარი მათი კომერციული საქმიანობის შენარჩუნების მიზნით, ნაწილობრივი კომპესაციის სახით მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

X. სხვა ღონისძიებები.

საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სხვა ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 541 ათასი ლარი, საიდანაც 441 ათასი ლარი მიიმართება "ტყიბულნახშირის" სუბსიდირებისათვის. შახტების შენარჩუნების ღონისძიებებისათვის 2005 წლის განმავლობაში დამატებით საჭიროა 759 ათასი ლ

"ჩაგელა"

B2

როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები

B3

"რენომ" "ფერარი" შეცვალა. დელა როსამ-მონტოია

B5

ნოდარ ლადარია

ეჰ, იმდენად გაიჭიმა ეს წყეული ზამთარი, რომ გაზაფხულის მოსვლა მთავრობასაც ფოსმაჟორი ჰგონია. მაგრამ მარტო ეს როდია საკვირველი და უცნაური. რატომღაც ყველამ შეიცხადა — ეს როგორ წავაგეთ თურქებთან ხუთით ორიო?!

ფეხბურთიც ხომ უბრალო სარკეა იმისა, რა მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი სახელმწიფო, რომელიც გარემომცველ სინამდვილესთან ყოველ მატჩში არანაკლები რაოდენობის გოლებს იღებს საკუთარ კარში. არა გჯერათ? აი, თუნდაც ისევ გაზაფხულის ფორსმაჟორსა და სოფლებში დარიგებულ თუ დასარიგებელ საწვავს დავუბრუნდეთ. აქაც ბევრი გოლი გაუშვა ჩვენმა ხელისუფლებამ, მაგრამ გასულ კვირაში წაგებულ თამაშთან შესაბამისობის შესანარჩუნებლად მხოლოდ ხუთს ჩამოვთვლით, მით უმეტეს, რომ ამაზე უკვე საკმაოდ ილაპარაკა ჩემზე ბევრად უფრო მცოდნე ხალხმა:

1. "ნატურით" ანაზღაურება (ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოფილმა ლექტორებმაც კი იციან) მიუთითებს დაბალგანვითარებულ ეკონომიკურ კულტურაზე. გაუგებარია, რა უნდა ასეთ ქვეყანას ევროპაში, თუ იმასაც ვერ ვიგონებთ, რომ შეიძლება ადამიანებს მიეცეს, მაგალითად, კრედიტი. თუნდაც 50 ლარის ოდენობით: თვითონ გადაწყვეტენ, აიღონ თუ არა და თუ აიღებენ, როგორ დახარჯონ. თანაც საჩუქარი კი არ იქნება, რაც რყვნის შეგნებას, არამედ სწორედ კრედიტი, რაც უნდა დააბრუნო.

2. რა საჭიროა ამდენი ჩალიჩი, როცა კაცობრიობამ დიდი ხანია ერთი მარტივი და ძალიან ეფექტური საშუალება მოიგონა: დაზღვევა.

3. გაუგებარია, ეს სახელმწიფო ებრძვის კორუფციას, თუ ამკვიდრებს? — ვინ ამოწმებს, მაგალითად, 20 ლიტრს ჩაუსხამენ ჟანგიან "ვედროში" მკლავმადლიან ქართველ გლეხკაცს, 18 ლიტრს თუ სულაც 12-ს? ვინ შეამოწმებს რეალურად დარიგებული საწვავის ხარისხს და მის ადეკვატურობას საბუთებში მითითებულთან?

4. გამოდის, რომ ჩვენი სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ ტრადიციას კი არ ამკვიდრებს, არამედ "კეთილი მეფის" მითოლოგიას. ერთი მხრივ, გლეხების "სალიარკით" მოქონილი, მეორე მხრივ კი გამგებლების "დავარდნით" დაშინებული თავები. რაო, ასეთი მდაბიო რაღაცეები უფხანს გულს ჩვენს პრეზიდენტს?

5. ფინანსთა სამინისტროში რაღა მოუვიდათ? ასე ითვლიან? ამით სურთ ჩვენი დაბოლება? Да, браток, это тебе не к Путину с бутафорским кинжалом — тут думать надо.

მაგრამ აზრის პუნქტებად ჩამოყალიბებაში პირველობა მე ნამდვილად არ მეკუთვნის: პირიქით, იმიტომ ავირჩიე ეს ფორმა, რომ აქაც ფორმალურად მაინც ერთგული დავრჩე ჩემი მოვალეობისა — ვაწარმოო "24 საათში" დაბეჭდილი მასალების მიმოხილვა. გასულ კვირას კი ზემოთქმულის მსგავსად პუნქტებად ჩამოყალიბებული ორი ტექსტი დაიბეჭდა.

ერთი იყო *"სახალხო ფორუმის კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" მიმართვა საქართველოს მოქალაქეებს*. მაგრამ ჯერ ამ "ფორუმის" დაარსების შესახებ, რასაც 31 მარტის ნომერში **ვერიკო თევზაძე** გვამცნობს: "**გაერთიანების ინიციატორები აცხადებენ, რომ მათ ჯერ საბოლოოდ არა აქვთ გადაწყვეტილი, ჩამოყალიბდებიან თუ არა პოლიტიკურ ორგანიზაციად: "ამაზე ერთად ვიმსჯელებთ და დადებითად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავწყვეტთ, თუკი ეღირება**". რა საჭიროა ეს კეკლუცობა? — მით უმეტეს, რომ "**გაერთიანება სექციების მიხედვით აპირებს მუშაობას ეკონომიკის განვითარების, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე**". რაო, ეს პრობლემატიკა განა პოლიტიკური არაა? — მაგრამ საქართველოს მოსახლეობა ხომ ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა. ასე უფრო ადვილია, ასე შეიძლება ოცოცი ლიტრი "სალიარკით" დაანყნარო. ჩვენი ძველი ბიჭუნების ახალი გაერთიანებაც იმავე გზას ადგას, მოსახლეობა მუდამ უნდა დარჩეს პოლიტიკურ უმეცრებაში და შორს უნდა იყოს პოლიტიკისგან — ამიტომ საჭიროა ვაკეთოთ პოლიტიკა, სიტყვა "პოლიტიკა" კი ვლანძღოთ.

პოლიტიკა? — იმე, რაფრა გეკადრებათ, ბატონებო, მაგ ნეხვში ჩავყოფთ ფეხს?!

ახლა კი მიმართვა ვნახოთ. ის, როგორც ვთქვით, პუნქტებადაა ჩამოყალიბებული და საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეებს ეხება. მაგრამ რა აურჩევიათ ჩვენს ბედ-იღბალზე მოდარდე "ცნობილ სახეებს" პირველ პუნქტად?

წავიკითხოთ: "**სახელმწიფო არ შეიძლება აიგოს საკუთარი ისტორიისა და ეროვნული ფასეულობებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ფონზე. ხელისუფლებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის აგდებული დამოკიდებულება კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და ქართული ეკლესიისადმი, საფრთხეს უქადის ქვეყნის მომავალს. "მართლმადიდებელი ეკლესია თუ პროგრესი", "ეროვნული ფასეულობები თუ ლიბერალური ღირებულებები", "დემოკრატია თუ ქართული ტრადიციები" — ამ ცნებების დაპირისპირება საკითხის ამგვარად დამსმელთა უმეცრებასა და მათ ღრმა პროვინციალიზმზე მეტყველებს**".

ჩვენც პუნქტებად ჩამოვაყალიბოთ სათქმელი, ოღონდ განხილვა ბოლოდან დავიწყოთ.

1. "საზოგადოების გარკვეული ნაწილი" თურმე იყენებს ამ ყალბ დაპირისპირებებს, რომლებიც თვალსაჩინოებისთვის ჩამოთვლილიც კი არის ტექსტში. ნეტა რომელი ნაწილია? — ხელისუფლებას ნამდვილად არასოდეს განუცხადებია მსგავსი რამ. ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს. ნუ დავიწყებთ მკითხაობას: მსგავსი იდეებით სავსეა ქართული რელიგიური პრესა, საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური რადიო და ბეჭდვითი გამოცემები, ქართველი სასულიერო პირების ზეპირად წარმოთქმული და წერილობითად გამოქვეყნებული ტექსტები. აი, რას აფასებს ახლად ჩამოყალიბებული ფორუმი უმეცრებისა და ღრმა პროვინციალიზმის გამოხატულებად, რაშიც სრულიად ვეთანხმები.

სწორედ მიმართვაში მოხსენიებული შეფასებების გამო მოეხსნა რელიგიური პრესის უმეტესობას აღნიშვნა: "გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით" ("მოიხსნა? არა უშავს, მოსახლეობის შეგნებაში უკვე საკმაოდ ღრმადაა გამჯდარი ამ ბოდვითი იდეების ერთიანობა მართლმადიდებლობასთან!" — ეშმაკურად ჩაიცინა ეფ-ეს-ბეს მაიორმა პრონინმა).

2. რას ნიშნავს "ქართული ეკლესია"? მართალია, ეს ორი სიტყვა საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე მუხლშიცაა გამოყენებული, მაგრამ ეს არ მიშლის რომ ვთქვა: მე ვიცი ქრისტეს ეკლესია, მე ვიცი საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მაგრამ მიჭირს განვსაზღვრო, რას ნიშნავს "ქართული ეკლესია". იქნებ არც ღირდეს ასეთი კირკიტი და სიტყვებზე მოკიდება, მაგრამ ნაციონალისტური მოტივების შერევა სარწმუნოების ქადაგებაში მართლაც საგანგაშო ზომებს იღებს.

3. მაინც რატომ მიანიჭეს ფორუმის წევრებმა პირველი ადგილი მაინცდამაინც ამ პუნქტს? მაგალითად, ქვეყნის სტრუქტურული მოწყობის საკითხი ბოლო, მეექვსე პუნქტადაა მოყვანილი. რაო, ეკლესიის მიმართ "აგდებული დამოკიდებულების" აღმოფხვრა ეკონომიკის განვითარებასა და სტრუქტურულ მოწყობაზე უფრო მნიშვნელოვანია? ნამდვილად ვერ გამიგია, დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ თუ ძველაღმოსავლურ თეოკრატიას ვუბრუნდებით. არ უნდა იყოს ძნელი გასარკვევი, რომ თუ ფორუმის წევრებისთვის მართლა მნიშვნელოვანია "**სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება**" (აკი თვითონაც აღიარებენ), მაშინ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა იფიქრონ, რომ ქართველი საზოგადოების ყოველი "გარკვეული ნაწილის" უფლებები დაცული უნდა იყოს იმისგან დამოუკიდებლად, რა აზრისა იქნებიან ამ ნაწილებში შემავალი ადამიანები "ქართულ ეკლესიაზე". მაშინ ჩვენი საზოგადოება ერთადერთ მართებულ საფუძველზე — პოლიტიკური ინტერესების ერთიანობაზე დადგინდება, ვითარცა კლდეზე, და აღარ შეეშინდება რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა რამ განსხვავებებისა. მაგრამ თავიდანვე ხომ შევთანხმდით, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, საზოგადოება კი მარადიულ პოლიტიკურ უმეცრებაში უნდა რჩებოდეს!

4. მაგრამ ჩვენი ახალჩამოყალიბებული მეგობრების ამგვარი დამოკიდებულების კიდევ ერთი და ალბათ მთავარი მიზეზი მიმართვის მეოთხე პუნქტში იკვეთება: "**ქვეყანა უნდა გათავისუფლდეს დამკვიდრებული სტერეოტიპისგან, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს ხელოვნურად ყოფს შავ-თეთრ ძალებად — პრორუსულ და პროდასავლურ ნაწილებად**". აჰა, სხვა სიტყვებით ეს შემდეგს ნიშნავს: ნუ კიცხავთ პრორუსულად განწყობილ პოლიტიკურ ძალებს. მაიორი პრონინი ნამდვილად კმაყოფილია: "этих грузинов мы раньше за нефтерубли через дедушку Ибрагимыча покупали, а теперь — через попов покупаем, так даже дешевле получается". ჩვენი მხრიდან კი იმას ვიტყვით, რომ ეს დაყოფა ხელოვნური კი არა, სრულიად რეალურია და ვინც ვერ ხედავს რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებულ პრინციპულ უფსკრულს, უბრალოდ ან ბრმაა, ან მატყუარა.

სხვათა შორის, ამგვარ ოპოზიციურ ფორუმებში, საზოგადოებრივ მოძრაობებში და ა. შ. აუცილებლად ვხედავთ რომელიმე სასულიერო პირს. ხანდახან საპატრიარქოს ოფიციალურ წარმომადგენლებს პარლამენტშიც ვხედავთ, როცა ისინი ცდილობენ ობსტრუქცია მოუწყონ განათლების რეფორმას. ამ სასულიერო პირებს რატომღაც არავითარი კანონიკური სასჯელი არ ემუქრებათ. მაგრამ საკმარისი იყო, მღვდელი **ზაზა თევზაძე** განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრად გამოჩენილიყო, საპატრიარქოში მაშინვე დარეკეს განგაშის ზარები. ჩვენო ქრისტესმიერო მამებო, გაფრთხილება, აკრძალვა ან განკვეთა რომ აგცდეთ აუცილებლად პრორუსულ პოლიტიკაში მიიღეთ მონაწილეობა.

სხვათა შორის, პრორუსულობა სულაც არაა აუცილებელი, აშკარად იყოს განცხადებული, მით უმეტეს, რომ მაიორ პრონინს არ აღელვებს, თუნდაც ხმამაღლა თუ აგინებ დედას. მთავარია, იქ არ გააგზავნოთ, ხომ იცით, სადაც? არ იცით? **კახა ბენდუქიძეს** ჰკითხეთ...

მაგრამ აქ შევჩერდეთ, გავაგზავნოთ მაიორი პრონინი იქ, სადაც ჯერ არს, და განვაგრძოთ ჩვენი მიმოხილვა. პუნქტებად ჩამოყალიბებულ კიდევ ერთ ტექსტს დაგპირდით... ეს კი **ნინია კაკაბაძეს** ეკუთვნის და ასეა დასათაურებული: *სინამდვილე ქართულ მედიაში* (28 მარტი).

მედია-სინამდვილის პუნქტები შემდეგია:

1. საქართველოში ყველაფერი გაპიროვნებულია: ყოველგვარი მედია-საშუალება ადვილად გაიგივდება მის მიღმა ან, როგორც ჩვენში ამბობენ, უკან მდგომ ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფთან.

2. "**ჟურნალისტი ექვემდებარება რედაქტორს, რედაქტორი საინფორმაციო განყოფილების უფროსს, საინფორმაციო განყოფილების უფროსი გაზეთის მთავარ რედაქტორს თუ ტელეარხის თავმჯდომარეს, თავმჯდომარე თუ ხელმძღვანელი მფლობელს, მფლობელი რომელიმე ჩინოვნიკს თუ ოლიგარქს, რომელიმე ჩინოვნიკი ხელისუფლებას, ხელისუფლება კი პრეზიდენტს — ჯაჭვი იკვრება**". ერთი სიტყვით, ინფორმაციის ავტორი ხელისუფლება გამოდის და არა ჟურნალისტი.

3. საბჭოთა განათლების (ეს ჟურნალისტიკაში კვლავაც გრძელდება) არაეფექტურობის გამო ჟურნალისტები ვერ აყალიბებენ საკუთარ აზრს, მათ მხოლოდ მხოლოდ სხვისი აზრის პროპაგანდა შეუძლიათ.

4. ჟურნალისტებს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პროფესიულ ეთიკაზე.

5. მეორე პუნქტში აღწერილი ჯაჭვის გამო, საქართველოში არ არსებობს თავისუფალი ჟურნალისტი. არ არსებობს მედია-საშუალება, რომელიც ეკუთვნის საზოგადოებას.

ერთი სიტყვით, ჟურნალისტთა საზოგადოებაში სულ უფრო მწიფდება აზრი, რომ აუცილებელია მედია-საბჭოს შექმნა. ნინია კაკაბაძის სტატიაში მოყვანილია რამდენიმე გამოცდილი ადამიანის თვალსაზრისი, რომელთაგან მე განსაკუთრებით გამოვყოფდი სალომე ასათიანის ერთ იდეას: "**ეს ორგანიზაცია პროფესიული კავშირის ფორმატს უნდა დაეყრდნოს, რომელიც პროფესიული ასოციაციის ელემენტებსაც შეითავსებს და ერთი მხრივ, ჟურნალისტების სამუშაო პირობებისთვის, უფლებებისთვის იბრძოლებს, მეორე მხრივ კი იმუშავებს მისი წევრების კვალიფიკაციის და პროფესიული სტანდარტების ამაღლებისთვის**".

ქართულ მედიაში ჩემი მუშაობის გამოცდილება და საკუთარი სინდისი მომიწოდებს მთლიანად დავეთანხმო ამ აზრის როგორც ზოგად მიმართულებას, ასევე კონკრეტულ დეტალებს.

ისღა დამრჩენია, ჩემი საკუთარი აზრიც დავამატო ჩემი კოლეგების მსჯელობას.

მედია-საბჭო აუცილებელია არა მარტო კონკრეტულად მედიასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ თვით საზოგადოების გასაჯანსაღებლად. შეიძლება დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ თუ მედია ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშუალება აღმოჩნდა საქართველოს გასათავისუფლებლად მტრული ხელისუფლებისაგან, მედია-საბჭო ასევე ქმედითი შეიძლება გამოდგეს ჩვენს სულში დაბუდებული მტრის აღმოსაფხვრელად.

ჟურნალისტი აუცილებლად უნდა გრძნობდეს კოლეგების მხარდაჭერას, უნდა გრძნობდეს, რომ მისი მეცადინეობა ფუჭად არ ჩაივლის. მაგრამ ესეც არაა მთავარი: მხოლოდ ასე შეიქნება შესაძლებელი ჩვენს საზოგადოებაში რეალური ღირებულებების დამკვიდრება და არა მითოლოგიებისა, რომლებითაც დღეს ასე ადვილად ჟონგლირებენ "ცნობილი სახეები" — ოდესღაც რომ საბჭოთა დემონსტრაციების "მარშიროვკებს" რეჟისორობდნენ, დღეს კი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზიდან ერის დამოუკიდებელ აღმავლობას გვპირდებიან.

ხომ გახსოვთ, როგორ იყო: "ხვალ დილის ცხრის ნახევარზე, როგორც ერთი, ისე დაერჭობით აქ. გოგოები ხორცისფერ ჩულქებში!". მართალი გითხრათ, ჩემთვის დიდი განსხვავება არაა, ექვს ნოემბერს გაჟღერდება ეს ფრაზა, თუ ოცდახუთ მაისს. ორივე შემთხვევაში საზიზღრობაა...

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



B2 რევიუ B3 რევიუ B4-5 სპორტი B6 კვლევა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

ᲜᲔᲡᲢᲐᲜ ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ

ᲕᲔᲑᲠᲫᲕᲘᲗ ᲣᲤᲝᲕᲘᲐᲡ!

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ახალ პროექტში მოსახვედრად ტესტის შევსება მომიწია. 20-მდე კითხვიდან ერთი ასეთი იყო: რით დააიმედებდით ყოველ დილით მაყურებელს? პასუხისთვის ბევრი არ მიფიქრია და დავწერე - ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით.

დღესაც ვფიქრობ, რა შემიძლია ვთქვა საინტერესო? წვიმიანი, სამარცხვინო წაგებით და საიდუმლო სერობებით სავსე გასული კვირის შემდეგ. და მაინც გამოვნახე სათქმელი, მათთვის ვინც მთელი ამ ხნის მანძილზე სიბრაზეს ვერ ფარავდა მათი დანახვისას თუ სმენისას; ვინც თავს დამცირებულად თვლიდა, როდესაც ესტრადის ვარსკვლავთა კონცერტებზე დასასწრებად საზოგადოების დიდი ნაწილი არანორმალურ თანხას იხდიდა.

მოკლედ, იმ დღეს წავაწყდი გადაცემას, რომელიც განმეორებით გადიოდა ეთერში. მივხვდი - ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა, - ის დრო წასულა... გულნატკენი ესტრადის წარმომადგენლები ახალ მთავრობას უყენებენ პრეტენზიებს - ახალ წელს რატომ არ გვამღერეთ დედაქალაქში ან სად გაქრა მაღალი ჰონორარები, რატომ აღარ იხდის მაყურებელი ჩვენ კონცერტებში 100 დოლარსო??? თურმე ადრე ესტრადის ვარსკვლავი რომელიმე მინისტრთან რომ დარეკავდა და კონცერტის თუ გასტროლის სურვილს გამოთქვამდა, ეს უნიჭო მოთხოვნა უმოკლეს ვადებში ასრულებას ექვემდებარებოდა. ასე კი იმიტომ ხდებოდა, რომ პირველ რიგში გემოვნება იყო საერთო. მეორეც იმიტომ, რომ წინა მთავრობა, რატომღაც, ინტელიგენციის სიტყვას ავტორიტეტულად თვლიდა და ცდილობდა, ნებისმიერი მისი ახირება დაეკმაყოფილებინა.

არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ახალი მთავრობის მოსვლამ დახვეწილი ტენდენციების კონტურები მოხაზა. ჩემთვის ისიც მიუღებელია, რაც ძველს ჩაენაცვლა. თუმცა, აღფრთოვანების გარეშე ვამჩნევ სტერეოტიპების მსხვრევის მცდელობას.

ქალაქის მერი, ყველაზე ხშირად ექცევა ხოლმე კრიტიკის ქარცეცხლში. იცით რატომ? მას პრესტიჟული 53-ე საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია. ეს არის და ეს, - ჩვენი საზოგადოების კრიტერიუმი: არაპრესტიჟულ ქვეყანაში პრესტიჟული უბნის, პრესტიჟული ოჯახიშვილის ძებნა რომ აგვიტყდება ხოლმე.

საზოგადოება დაბნეულია. ვერავის ცნობს. არადა მიჩვეული იყო ნაცნობ სახეს, - მამის მეგობრის ბიძა, ან რამე ამის მსგავსი. ვერ ხვდებიან, ახლა ვისი დრო დადგა; ვინ მონაწილეობს ცხოვრებაში.

ეს გაკვეთილი იყოს! რომ სისტემაში კომფორტულად მოკალათებული და ამით აღფრთოვანებული კი არ უნდა ვიყოთ, არამედ - საკუთარი შესაძლებლობებით, ნებისმიერ სიტუაციაში ურყევი და უტეხი რომ აღმოჩნდეს. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების, რადგან თავისთავად პროცესს აქეთ-იქით დააქვს სხვა დანარჩენი: ტენდენციები, ხარისხები და ადამიანები...

ცოტა ხნის წინ თანამედროვე მწერლობა მთიანი სოფლის, უპატრონო ბავშთა სახლის მცხოვრებლად თვლიდა თავს, დღეს კი პრესტიჟული ჟურნალები ერთმანეთში ვერ იყოფენ ახალბედა ავტორებს.

ეს ისე, რაც ხილულია, დანახვა თუ შეგიძლია და სურვილიც გაქვს, აუცილებლად შეამჩნევ. სხვა შემთხვევაში ყველა ადამიანი თავისუფალია არჩევანში. უტოპიას ხომ ინდივიდუალური ხერხებით ებრძვიან, - ერთისთვის ტერორიზმია გამოსავალი, მეორესთვის - ცხოვრება ტკივილის გარეშე, მესამე თვლის, რომ ყველა ადამიანი თავისი თავი უნდა გახდეს. მე მგონია, რომ მთავარი მაინც თავაუღებელი შრომა გახლავთ, სხვის სულში ხელის ფათურის გარეშე. ყველაზე მეტად კი, უტოპიასთან ბრძოლის შემდეგნაირი მეთოდი მიზიდავს, ანუ, როგორც ამას წინათ განაცხადა ჩემთან ინტერვიუში პოეტმა რატი ამაღლობელმა: "... ლექსებს აღარ წერ? გეკითხება უცხო ადამიანი, თითქოს განიცდის... ცუდი დედა-შვილური დამოკიდებულებაა, როცა საზოგადოება მიხრწნილი დედაა, რომელსაც უნდა, რომ კარგ გზაზე დაგაყენოს, სრულყოფილებას გრძნობდე, მაგრამ სულ რჩებოდე განუვითარებელ პატარა ბავშვად, რომელმაც გამუდმებით რაღაც უნდა უკეთოს ამ საზოგადოებას. ამას უნდა მოვერიოთ და ამისთვის ღირს, ალბათ, არდაწერა! მათ გამო! რომ ეს არ იყოს მათი დაკვეთა, ეს არ იყოს მათი სურვილი!"

მოდი, დავუფასოთ ერთმანეთს შრომა! შრომა და არა შთამომავლობით მიღებული სახელი, წოდების მეტი არაფერი რომ შერჩენია, ერთი წვეთი სისხლიც აღარ ურევია, მაგრამ მაინც არ ღალატობს პოზას.

"ᲩᲐᲒᲔᲚᲐ"

ᲓᲐᲚᲘ ᲙᲣᲞᲠᲐᲕᲐ

ლევან ხერხეულიძის ფოტო

დღეიდან გოგი ჩაგელიშვილის ნახატები მისსავე გალერეაში, "ჩაგელაში" გამოიფინება. ერთმა ტელეჟურნალისტმა მხატვარს ჰკითხა, რატომ გამოეყავით მხატვრებსო. თუ მან "მხატვრებში" მხატვართა კავშირი იგულისხმა, ან, თუნდაც, რაღაც ზოგადი კოლექტიურობის აღმნიშვნელი ცნება, ეს არ არის გამოყოფა. გოგი ჩაგელიშვილი თავისი გალერეით ქართულ მხატვრობას არ გამოყოფია. მეტიც, ამით ის საზოგადოებას უფრო დაუახლოვდა. მხატვარს პირველ რიგში ხატვის სურვილი უნდა ჰქონდეს და მერე, თუ ის დამთვალიერებელთან, მაყურებელთან თავისი ფეხით მივა, მისთვის ეს მეტი სიამოვნება და კომფორტია - ეს არის ნებისმიერი გამოფენის კონცეფცია. ჰოდა, გოგი ჩაგელიშვილის პერსონალური გალერეა "ჩაგელა" მხატვრისთვისაც და მისი ხელოვნების მოყვარულთათვისაც კომფორტია. როცა მოგენატრება გოგის "ქალების", "ზღვის", სხვადასხვა ხასიათისა და ემოციის აბსტრაქციების ნახვა, არ მოგიწევს კოლექტიური საგაზაფხულო ან საშემოდგომო გამოფენის ლოდინი და აბაშიძის 37-ში, მის გალერეაში წახვალ (იცოცხლე, კარგი იქნება, ასე გამოწერილად ყველა სასურველი მხატვრის ნამუშევრის ნახვა შეეძლოს კაცს, მაგრამ სადაა!). თუ იქ გოგიც დაგხვდება, გაესაუბრები კიდეც და ესეც შენი კიდევ ერთი სიამოვნება, რადგან გოგი ჩაგელიშვილთან საუბარი ცალკე რამ არის, მის მხატვრობასთან ზიარი, მაგრამ სხვა შარმის მქონე.

მთავარ დარბაზში (პატარა, მაგრამ მაინც დარბაზია!), მარჯვენა კედელზე, უკიდეგანო ზღვა დაგხვდება, გემი... თან ზღვაა და თან თითქოს უფრო მეტია, უფრო ღრმა. "დიდ სურათზე მუშაობამ გამიტაცა. ცისფერ ფონზე ფერად ლაქებს ვსვამ, თითქოს გემია და არც არის გემი. მაინც რა ეფექტურია სიმწვანეში ლურჯი ფერი. სახლში აუცილებლად დავიწყებ დიდი სურათის ხატვას - ხუთი მეტრი სიგრძისას, "დიდი გემი" უნდა ჩავატიო. ვოცნებობ, როგორ ჩავიკეტები ჩემს აგარაკზე... ისე დავიმუხტე, მგონია, მთას წავაქცევ. კარგ ფორმაში ვარ, საქართველოში აგარაკზე გავაგრძელებ მუშაობას. დიდი გემი უნდა დავხატო, ძალიან დიდი, ოცნების გემი", - ეს გოგის ახალზელანდიური ჩანაწერებიდანაა, რამდენიმე წლის წინანდელი. მხატვრისთვის არ მიკითხავს: "ჩაგელას" კედელზე გამოფენილი "ეს გემი" "ის გემია", ახალ ზელანდიაში რომ ოცნებობდი-მეთქი?

მხატვრისთვის არც ის მიკითხავს, შენი ყველა ქალი დიდი სიყვარულის ქალია და ამიტომაც ჰგავს თუ არა მის მეუღლეს, ლეილა კიკნაძეს. "ჩაგელაც" ლეილას იდეააო, მეუღლეს "აბრალებს" ჩაგელიშვილი. "შესანიშნავი იდეაა და სიამოვნებით დავიბრალებო", - ამბობს ლეილა. წელიწადში მხოლოდ ერთი კვირა იქნება გალერეა "მისი", როცა საკუთარი სტუდიის ბავშვების გამოფენას მოაწყობს. გალერეის უკანა ოთახში ლეილა კიკნაძის სამხატვრო სტუდიაა, კედლებზე "მისი" ბავშვების ნახატებია. უკვე რამდენიმე წელია, ლეილა ბავშვებთან ერთად ხატავს და დღეიდან აქაც გოგისთან ერთად ვიქნებიო, ამბობს. ისე, მათ ახლობლებში ლეილას ცნობილი გამონათქვამი, "რაც დედის ძუძუს მოვწყდი, მას შემდეგ გოგისთან ვარო", ძალიან მართალია - მესამე ათეული მთავრდება, რაც ერთად არიან, ჰყავთ შვილები, შვილიშვილები და აქვთ ერთი დაუსრულებელი რომანი.

გოგის დიდი გეგმები აქვს. დროთა განმავლობაში ექსპოზიციები შეიცვლება, გალერეაში გამოიფინება მისი "საზღვარგარეთული" ტილოები - ფრანგული, თურქული, ახალზელანდიური...

ამჯერად გოგი ისევ თურქეთში მიემგზავრება და ზაფხულში გალერეა თურქეთიდან მესიჯსაც შემოგვთავაზებს.

გოგის ახალზელანდიური წერილიდან მახსენდება, როცა იქაურ ყოფას აღწერს, იქვე აღნიშნავს, რომ ყველა სახლის წინ საფოსტო ყუთია და იქაურები ბევრ წერილს იღებენ და პასუხობენო: "მშურს მათი: წერილმა ჩვენთან დიდი ხანია დაკარგა პოპულარობა. წერილი ადამიანების ინტიმური კავშირია, შეძახილია, ახლობლის შეხსენება, რომ ვიღაც ფიქრობს შენზე, ახსოვხარ, უყვარხარ, საქმეს გპირდება, რაღაც ახალი ხდება. წერილს ხშირად ფოტოც მოჰყვება", - წერს გოგი.

მე კი გალერეა "ჩაგელა" სწორედ ასეთ წერილად აღვიქვი: გოგი ჩაგელიშვილს ვახსოვართ, ვუყვარვართ და ჩვენზე ფიქრობს.

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲔᲜᲘ, ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ, ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ... ᲩᲕᲔᲜ

"გადააგდე" - სტიკერის ფორმატით გავრცელდება ნარკომანიის საწინააღმდეგო მოწოდებები - გვამცნობდა ნესტან კვინიკაძის სვეტი ორი კვირის წინათ.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემისგან გათავისუფლების მცდელობა ბევრად უფრო რთულია. იქ, სადაც სამართლიანობის დეფიციტია, ცოცხალი და გააზრებული სარწმუნოების დეფიციტია, სადაც ორმაგი სტანდარტები მუშაობს მხოლოდ, სანამ დაფარული სიყალბე და ორპირობა არ ამოიძირკვება (თუნდაც პრეცედენტების სახით!), პრიორიტეტული არ იქნება ხალასი და სამართლიანი დამოკიდებულება ფაქტების, მოვლენებისა და ადამიანებისადმი, ყოველგვარი პოზიცია მხოლოდ ზედაპირული და, შესაბამისად, მოჩვენებითი იქნება.

ვის აინტერესებს დღეს ახალგაზრდები - ეს პოტენციური ნარკომანები; როდესაც ასე ხშირად აწყდებიან უსამართლობას, როცა უპერსპექტივოდ ესახებათ ის, რასაც ფული ან ნაცნობობა არ ანათებს; როცა არავინ ზრუნავს, რომ არ იდგნენ მთელი დღე ქუჩაში, იყოს დასაქმების საშუალება, ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალება, ხელმისაწვდომი სპორტული დარბაზები, კინოსა და თეატრის თუ სპორტული სანახაობების ბილეთები - დიფერენცირებული სხვადასხვა სოციალური ფენის, მოსწავლეთა თუ სტუდენტთათვის და ასე შემდეგ (აბონემენტებით მოქმედი სპექტაკლებიც გაუქმდა ოპერის სახელმწიფო თეატრში, რაც დაბალი სოციალური შემოსავლის მოქალაქეებს და, უპირველესად, მათ შვილებს კულტურული ცხოვრების საშუალებას აძლევდა!)

თუმცა, არის სასიამოვნო გამონაკლისები, რომელთაგან ერთ-ერთია სიონის ტაძართან არსებული სასულიერო ხელოვნების, ხალხური რეწვისა და უცხო ენების უფასო სკოლა. მაგრამ მხოლოდ გამონაკლისები!

"უამრავ პრობლემას შორის განსაკუთრებული ადგილი ჩვენს საზოგადოებაში დღეს ნარკომანიას უკავია. ნარკომანია მსოფლიო სენია, მაგრამ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და ეს პრობლემა ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ძალიან დიდი საშიშროების წინაშე დგანან ჩვენი შვილები. ბევრ შემთხვევაში ისინი ნიჭიერი და განათლებული ადამიანები არიან და ამ სენის გამო ჩვენ მათ ვკარგავთ." - ასე განისაზღვრა საპატრიარქო რეზიდენციაში პრესკონფერენციაზე კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება - ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა.

კეთილი და პატიოსანი, საქმე გვაქვს სწორი მოქალაქეობრივი პოზიციის სწორადვე დეკლარირებასთან. ხაზგასმული იყო სიტყვები, რომ - "ნარკომანია სამშობლოსა და ოჯახის ღალატია და ეს არის უდიდესი ტკივილი ჩვენი ერისთვის."

ეს მართლაც დიდი ტკივილია სხვა უდიდეს ტკივილთა შორის. ცნობილია საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეაქცია ამ პრობლემაზე, როდესაც გაცხადდა (ჟურნალისტური გამოძიებით!) სასულიერო პირთა, მათ შორის მაღალ იერარქიულ საფეხურებზე მყოფთა მონაწილეობა ნარკობიზნესში და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა ლობირება ("კავშირი ნარკომაფიასთან და ნარკოტიკებით ვაჭრობა." გაზეთი "კატიმერინი").

როგორი იყო რეაქცია? (ისევე როგორც სხვა სკანდალურ პრობლემებზე) - მიმდინარეობს სერიოზული გამოძიება პარლამენტისა და სინოდის უშუალო მონაწილეობით; ქვეყნდება იგივეთა განცხადებები, რომ დაუსჯელი არავინ დარჩება, სინოდი მოუწოდებს ჟურნალისტებს და სთხოვს მოსახლეობას - მიაწოდონ ინფორმაციები მღვდელმსახურთა შესახებ.

ჩვენ კი გვახსოვს ანტიკორუფციული ღონისძიებები (როცა ჯერ კიდევ ახლანდელი ხელისუფლება უმცირესობაში იყო) კორუფციით საქვეყნოდ სახელგანთქმულ ორგანიზაციებში. ამგვარი დამოკიდებულება ბევრგან ინერციითვე გრძელდება.

თვალში ნაცრის შეყრა - ასე ჰქვია ამას ქართულად. ჩვენ იმდენჯერ შეგვაყარეს ნაცარი თვალებში და ისე შევეჩვიეთ ამას, რომ ხშირად მზად ვართ, თავადვე ვიყაროთ და ასე გავლიოთ წუთისოფელი. დავიღალეთ? დავიქანცეთ? გასაგებია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა საშველი არ არის, გზა შინისკენ ეკლიანია და ძნელად სავალი.

ნესტან კვინიკაძე თავის სვეტში გვამცნობს - 12 მარტს შინაგან საქმეთა სამმართველოში იგივე თემაზე გამართული შეხვედრისგან იმავე დღეს საპატრიარქოში შემდგარი - განწყობით დიდად განსხვავდებოდაო. მშვენიერი რამაა განწყობა! მაგრამ როდესაც რეალობა ასეთი მკაცრია, ეიფორიული და შეუსაბამო განწყობა სინამდვილის არაადეკვატურად ხედვას ნიშნავს, ეს კი წინაპირობაა არაადეკვატური მოქმედებისა; ასეთ შემთხვევაში ქართული ანდაზა ამბობს: "ბალზე ზის და ტყემალს ჭამსო."

როდესაც ირგვლივ რეალობის შესაბამისი აზროვნების დეფიციტია - რატომ უნდა ასწავლიდნენ ადამიანებს მაღალი ამბიონიდან, რომ ადამიანი როგორიც არის შინაგანად, ისე ფიქრობს სხვაზეც. თუ კეთილია და წმიდა, - მას ყველა წმიდანი ჰგონია. თუ ცოდვილია და ბოროტი - თავის თავს ვერ ხედავს და ხედავს მხოლოდ სხვის ნაკლს.

რად უნდა შეშინდეს ადამიანი, რად უნდა შეექმნას ისეთი განწყობა, რომ როდესაც ხედავს ცუდს, რაც აღსაკვეთია ან სამკურნალო, მასზე რეაქცია მის რეპუტაციას ანდა სულიერებას (არაფერს ვამბობთ კეთილდღეობაზე!) მიაყენებს დიდ ზიანს; ზემოთ მოყვანილ სიტყვებს მოჰყვება შემდეგი - სწორედ შეფასების უნარი გვქონდესო; მაგრამ ის, რაც ითქვა, უკვე დათესილია, მით უმეტეს, როცა შექმნილია განწყობა ნათქვამის უპირობოდ მიღებისა.

არ უნდა მოხდეს ცნებების აღრევა, რადგანაც დამოკიდებულებები, რომლებიც გარკვეული სივრცისთვისაა მისაღები, სხვა ნებისმიერ რეალობაში არათუ შეუსაბამოდ, არამედ სრულ ნონსენსადაც აღიქმება;

ამგვარივეა ის შეხედულებაც, რომ დროებითი მტანჯველი შიშის მდგომარეობაც აგრეთვე აუცილებელი ყოფილა ჩვენი ცხონებისთვის, შესაბამისად, ამქვეყნიური ცხოვრებისა და ყოფისთვის - გაზეთი "საპატრიარქოს უწყებანი."

არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავად სარწმუნოება არ ჩაენაცვლოს ნარკოტიკს; ეკლესია არ უნდა აღიქმებოდეს ძირითადად რეალაქსაციის საშუალებად: ადგილად, სადაც დაისვენებ, დაწყნარდები; უფრო მსუბუქი შეხებისას - სანთლების ლიცლიცზე რომანტიკულ გუნებაზე დადგები, უფრო მძიმე შემთხვევაში - საკუთარ აზრებსა და ნებას დაუტევებ, რათა უპირობო, არაჯანსაღი მორჩილებისა და მოთმინების სელექციას შეუდგე. არაა გამოსავალი ამგვარ ჩანაცვლებაში, ეს ხომ იმაზე მეტად სახიფათოა, ვიდრე იცოდე, რომ უკეთურება კონკრეტულ ნივთიერებაშია.

როგორც "ბოროტი ენები" ამბობენ, ნარკოტიკების გავრცელება თავად სახელმწიფოების ინტერესის სფეროს წარმოადგენს - ამბობს ფიქრიანი მესვეტე. ხომ არ გვეფიქრა, ვის ინტერესებს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ გაუკონტროლებელი თანხები ტრიალებდეს, დახურული, ტაბუდადებული ორგანიზაციები არსებობდეს, ადამიანები მტანჯველი შიშის, ანდა პირიქით, ფსევდორომანტიკულ-პატრიოტულ განწყობაში იმყოფებოდნენ და ასე შემდეგ.

ისევ მესვეტე - საპატრიარქოში შეხვედრაზე შევთანხმდით, რომ ნარკომანები ავადმყოფები არიან და კიდევ - ისინი არ უნდა გაირიყონ საზოგადოებისგან, ისე როგორც ნებისმიერი სუსტი ადამიანის უგულებელყოფა არის დანაშაული. ნარკოტიკების გამავრცელებლები კი, რომლებიც "სისხლიან პურს ჭამენ", უნდა გამოვაცხადოთ სასტიკ დამნაშავეებადო.

არსებობს უამრავი ჭორ-მართალი იმის შესახებ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშიც მოღვაწეობენ ამ სენით შეპყრობილი ადამიანები; ბევრ ეპარქიაში დადის ხმები ამის შესახებ, ყვებიან, რომ ზოგი თავად მოიხმარს, სხვები კი მრევლის წევრებსაც აძლევენ ამ "საშუალებებს". ისეთებიც ყოფილან, შესამოსელითა და სასულიერო პირისადმი კრძალვით რომ სარგებლობენ და ნარკოტიკების რეალიზებაში იღებენ მონაწილეობას. ადვილი წარმოსადგენია, რამდენნაირი ზიანის მოტანა შეუძლია ასეთ მოძღვარს იმ ადამიანებისთვის, ვინც ეკლესიის ავტორიტეტს უპირობოდ ენდობა;

სახარება გვასწავლის: "ჯერ შენი თვალიდან დირე ამოიღე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო... შენი ძმის თვალიდან (მათე; 7, 5).

ეკლესია ამასვე გვიქადაგებს, რომ უპირველესად საკუთარი წიაღის განკურნებაზე ზრუნვა გვმართებს და მხოლოდ შემდეგ - უფრო დიდი მასშტაბებით; მაგალითისთვის გამოდგება დედაქალაქის მერიის გამოცდილება (უფრო ადრე კი - იუსტიციის სამინისტროსი, სადაც ჩვენი პრეზიდენტი სამართლიანობისთვის მებრძოლის როლში მოღვაწეობდა!), როცა ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდა უკლებლივ ყველა თანამშრომელს და სამწუხარო პრეცედენტებიც ყოველგვარი მაამებლობის გარეშე გაცხადდა.

ალბათ არავინ იდავებს იმაზე, რომ ასეთი სენით შეპყრობილმა ადამიანებმა შესაბამისი შემოწმების შემდეგ დროებით მაინც უნდა დატოვონ მოძღვრის საპასუხისმგებლო მოვალეობა და ეს დრო გამოიყენონ მკურნალობისა და რეაბილიტაციისთვის. შესაძლოა, მართლმადიდებელი საბერძნეთის მსგავსად (სადაც ოფიციოზმა არ აკრძალა და არც ტაბუ დაადო რელიგიურ თემებს), ამისთვის სახელმწიფო ორგანოებს ვთხოვოთ დახმარება, ასევე მოვუწოდოთ ჟურნალისტებსა და ფართო საზოგადოებას - მოგვაწოდონ ფაქტები და მასალები; ამის პრეცედენტი ხომ უკვე არსებობს საბერძნეთის ორთოდოქსული ეკლესიის პოზიციის სახით, რაც რატომღაც საგულდაგულოდ იმალება ქართველი მართლმადიდებელი მრევლისგან; უპრიანი იქნება მივბაძოთ ერთმორწმუნე ბერძნებს და არა მუსლიმების ფანატიკურად განწყობილ ნაწილს.

ერთი შემთხვევა, რომელსაც უშუალოდ შევესწარით - ბოლო პერიოდში ყურადღების ცენტრში (სხვა მიზეზებით) მოქცეულ თბილისის ერთ ტაძარში მღვდელმსახური ნარკომანი იყო. ეს ბევრმა იცოდა მრევლის წევრების გარდა, სანამ ერთ დღესაც ტაძარში დაზარალებული ადამიანები არ აცვივდნენ, რომლებიც იმ ფულს მოითხოვდნენ, თითოეულისგან ცალ-ცალკე რომ ჰქონდა ვალად აღებული ამ მოძღვარს, რომელმაც ისინი "გადააგდო" და იმალებოდა. შეძრწუნებულმა წინამძღვარმა იმ კვირა დღეს წირვა ვერ დააყენა, ყველას სთხოვდა - ერმანეთს გადაეცით, კიდევ არ ასესხონ ფულიო. იგი ყვებოდა, თუ როგორ ითხოვდა თავის დროზე საპატრიარქოში, არ გადმოეყვანათ ეს მღვდელმსახური და ასე შემდეგ. "მოძღვარი" სხვა ტაძარში გადაიყვანეს, შესაბამისი რეაქცია არ ყოფილა, მას კი, უბრალოდ, არ დასცალდა იგივე ან უარესი ემოქმედა, ავადმყოფობისგან გარდაიცვალა (ღმერთმა უშველოს მის სულს).

ასე და ამგვარად, გადააგდეთ სიყალბე, ორგულობა, უსამართლობა, უსინდისობა, მლიქვნელობა და კიდევ ბევრი სხვა მსგავსი რამ და ჩათვალეთ, რომ ნარკომანიის სენის წინააღმდეგ თავად რეალობა დადგება!

ლიზა იაშვილი

დონალდ თრემპი დაქორწინდა

მელორ სტურუა
სან. ქორ. აშშ-დან

22 იანვარს მთელმა პროგრესულმა და რეგრესულმა კაცობრიობამ იზეიმა... არა, ვერ გამოიცანით, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვლადიმირ ლენინის გარდაცვალების მორიგი წლისთავი კი არა, არამედ მსოფლიო კაპიტალიზმის დიდებული ტრუბადურის დონალდ თრემპის მორიგი ქორწინება.

მილიარდერმა დონალდ თრემპმა სლოვენიელი მოდელი მელანი ქნაუსი მოიყვანა ცოლად. ის ექვსი წლის მანძილზე მისი გელფრენდი, გნებავთ, მეგობარი ქალი, გნებავთ, საყვარელი იყო. არც ისე ცუდი გამოსაცდელი ვადაა და მელანიმ ის ბრწყინვალედ გაიარა და არანაკლები ბრწყინვალებით შეიცვალა სტატუსი - მეგობარი ქალიდან ცხოვრების მეგობრად იქცა. ეს მოხდა მე-19 საუკუნის გოთურ ტაძარში ბეთესდაში. ტაძარი ზღვის ნაპირას, სემირამიდას ბაღების მაგვარ სიმწვანეში ჩაძირულა, მისი ვიტრაჟები კი საქვეყნოდაა განთქმული. თრეპისთვის ეს მესამე ქორწინებაა. მანამდე მისი ცოლები იყვნენ ჩეხი მოთხილამურე ივანი და მსახიობი მარლ მეფლი. მელანისთვის კი ეს პირველი ჯვრისწერა გახლდათ.

შემდეგ მოქმედების არენამ გადაინაცვლა თრემპის კუთვნილ სასახლეში მარ-ა-ლაგოში, რომელიც ყველაზე დიდი გახლავთ "მილიონერთა კუნძულად" წოდებულ პალმ-ბიჩზე. მიღება სასახლის სამეჯლისო დარბაზში ჩატარდა, რომლის რემონტი სულ ახლახან 35 მილიონი დოლარი დაჯდა. დარბაზის კედლები 24-კარატიანი ოქროთია მოპირკეთებული, ჭერში კი ჩვიდმეტი ბროლის ჭაღი კიდია. თითოეულის ღირებულება მეოთხედ მილიონ დოლარს აღწევს. ოთხასი სტუმარი - გართობისა და მასმედიის ინდუსტრიის ვარსკვლავები პლატინით დაფარული ანტიკვარული ვერცხლის ჭურჭლიდან მიირთმევდნენ, შამპანურსა და ნარჩევ ღვინოებს კი "უოთერფორდ ქრისტალის" ბროლის სასმისებით სვამდნენ. საქორწილო ტრაპეზის მენიუ ოქროს ვარაყით და ფოთლებით დამშვენებულ ქაღალდზე იყო დაბეჭდილი. როგორც ქორწილის ცერემონმაისტერმა პრესტონ ბეილიმ აღნიშნა, **"მელანი თავის სურვილებში ძალზე სპეციფიკურია. მას სურდა, რომ მისი ქორწილი ევროპული მგრძნობელობით გაჟღენთილი და ამასთანავე ელეგანტური ყოფილიყო"**. მაგიდის ცენტრი, სადაც ახალდაქორწინებულები ისხდნენ, თეთრი ლილიებითა და კრემისფერი ვარდებით იყო მორთული. სტუმრების სმენას ბილი ჯოელის, ტონი ბენეტისა და ესტრადის სხვა ვარსკვლავთა სიმღერები ატკბობდა. პატარძალს კრისტიან დიორის კაბა ეცვა, მისი შესანიშნავი თეთრი ვუალი კი ქალის თავსაბურავების ვირტუოზი ოსტატის სტეფან ჯონსის მიერ გახლდათ დამზადებული. ევროპულად მგრძნობიარე მელანის თითზე კი მრავალკარატიანი და მილიონიანი ბრილიანტით დამშვენებული საქორწინო ბეჭედი ბრწყინავდა. თავად საქორწინო ცერემონია ხუთი მილიონი დოლარი დაჯდა. როგორც ამბობენ, სიყვარული ბრმაა.

მოგეხსენებათ, პალმ-ბიჩი ფლორიდაა, ფლორიდა კი იახტების გარეშე წარმოუდგენელია. დონალდმაც სტუმრების "მილიონერთა კუნძულზე" გადასაყვანად ადგილობრივი სამი იახტ-კლუბის თითქმის ყველა იახტა იქირავა. თავისთვის, მელანისა და განსაკუთრებული სტუმრებისთვის კი 200-ფუტიანი გრანდ-იახტა შეუკვეთა.

დონალდმა ჯერ კიდევ შარშან, 26 აპრილს შესთავაზა მელანის ცოლობა. ცივსისხლიანი ბიზნესმენი არ მალავდა, რომ, მდიდარი მატრიმონული გამოცდილების მიუხედავად, მისი გული "თრთის". **"დიახ, მე ვნერვიულობ, მაგრამ სამაგიეროდ, ცოლად მომყავს მაგარი ქალი. მელანი ისეთი უბრალოა, ისეთი მიწიერი და ბუნებრივი, რომ ის ყველას უყვარს"**, - ამბობდა დონალდი. მიწიერი მელანიც თრთოდა. **"ის უცოდველ პატარძლად გამოიყურებოდა და ძალზე წაგავდა მშვენიერ პრინცზე შეყვარებულ კონკიას"**, - ამბობდნენ საქორწინო ცერემონიაზე დამსწრენი (კონკია ამჟამად 33 წლისაა: ასაკი უფრო ქრისტესია და არა კონკიასი). პრინციპში, კონკიას ფეერიული ზღაპრის თემაზე აგებული ქორწილიც ცერემონმაისტერ ბეილის თავად მელანიმ შეუკვეთა. ეს სტილი სწორედაც რომ "ევროპული მგრძნობელობის" ფარგლებში ჯდებოდა, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები რესპუბლიკაა და აქ პრინცები არასოდეს ყოფილან. მხოლოდ მილიარდერები - დონალდ თრემპის მსგავსნი.

თავად დონალდი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ ქორწილი "ყველაზე დიდ და პოპულარულ წარმოდგენად ექცია", რადგანაც "მელანის აღმერთებს". დონალდმა ამერიკაში მიღებულ წინასაქორწინო ტრადიციაზეც კი თქვა უარი და მეგობრებთან ერთად "ველური მალჩიშნიკის" გამართვას, თავის ორ ვაჟთან (მოთხილამურე ივანისგან), დონალდ-უმცროსთან და ერიკთან ერთად გოლფის თამაში ამჯობინა. **"მე არ მჭირდება ეს ფანფარები, წყნარი ოჯახური ღამე ვარჩიე"**, - თქვა თრამპმა. სხვათა შორის, მეგობარ ქალებთან ერთად წინასაქორწინო "ფანფარებზე" მელანიმაც უარი თქვა.

მაგრამ, როცა საქმე დონალდ თრამპს ეხება, ფანფარების გარეშე არაფერი გამოვა. ფანფარები მისი ბიზნესის ეშხია. ტყუილად კი არ არქმევს თავის სახელს მის მიერ აშენებულ ყველა შენობას. ამიტომაც, დონალდისა და მელანის ქორწილს იმდენად "ევროპული მგრძნობელობის" ატმოსფეროში არ ჩაუვლია, რამდენადაც ამერიკული საქმოსნობის. იუველირები, მეყვავილეები, შეფ-მზარეულები, მიმწოდებლები, მოკლედ, ყველა თავის ბიზნესს აკეთებდა თრემპთან ერთად და თრემპზე. საიუველირო ფირმა "გრაფმა" მთელ მსოფლიოს მოსდო, რომ სწორედ მან დაამზადა 15-კარატიანი და ერთნახევარმილიონიანი ბრილიანტი მელანის ბეჭდისთვის. თავად თრემპის თქმით: **"ყველას სურს, ჩემი ქორწილით მოგება ნახოს - იუველირებს, ფოტოგრაფებს, მეყვავილეებს, პროდუქტების მომწოდებლებს, იახტების, თვითმფრინავებისა და აეროპორტების მფლობელებს. და ყველა მიმართულებით ერთმანეთს უამრავი ადამიანი და ფირმა უწევს კონკურენციას. თანაც, მათ იმდენად ფული არ აინტერესებთ, რამდენადაც - რეკლამა"**. ცხადია, რეკლამა, რომელიც შემდგომში ფულს მოიტანს.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქორწილი და ვაჭრობა ერთმანეთს არ უკავშირდებოდა. თუმცა, ოდესმე კი იყო ასეთი დრო? ახლა ქორწინების რიტუალი ბრენდის დემონსტრაციად იქცა. გავიხსენოთ თუნდაც ბრიტნი სპირსის არც ისე დიდი ხნის წინანდელი ქორწილი. ეს პოპ-მომღერალი თავის პოპულარობას უფასო ან დიდ დისქაუნთიან შეთავაზებებზე ცვლიდა.

"მე ამას ბარტერად არც მივიჩნევ, ეს უფრო პროდუქციის ხელსაყრელად განთავსებაა", - ცინიკურად აღნიშნავდა "ალპინ კრიეთივ გრუფის" პრეზიდენტი სთივ ფასთერი. მისი ფირმა სპირსის ქორწილის მოსაწვევებით ვაჭრობდა.

კონკურენციამ მოიცვა მასმედიაც. საქორწინო და ელიტური ჟურნალების გამომცემლები და ტელეპროდიუსერები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ თრემპის ქორწილის გაშუქების უფლების მოსაპოვებლად. მათთვის მსგავსი ქორწილები დიდი ხანია გათამაცდა. ... ...

ფეხბურთი

მიწაზე დავეშვათ!

კახა ფაჩუაშვილი

თურქეთთან თამაში ჯერ დაწყებული არ იყო, როცა ერთი ჩემი მეგობარი ამბობდა - ჩვენებს მაინც არაფერი ეშველებათ და სტადიონზე ქართული ფეხბურთის შესანდობარი მაინც დაგვალევინონ, კაიკაცობაში ჩაეთვლებათო - მაშინ რატომღაც ჩვენი დემორალიზებული ნაკრების იმედი კიდევ ცოცხლობდა და ეს უწყინარი კაცი მაგრადაც გაკიცხეს, მაგრამ დამთავრდა თამაში და ცხადი გახდა, რომ ეს გაკიცხული კაცი ყველაზე ჭკვიანი ყოფილა.

მოდი, მიწაზე დავეშვათ (ჩვენი ადგილი აქ არის) და ვაღიაროთ, რომ ბერძნებთანაც და თურქებთანაც თამაში ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. საქართველოს ნაკრებმა ჟირესის ხელმძღვანელობით იმის მაქსიმუმი გააკეთა, რაც შეეძლო. გუნდმა ინერციით ქულა წამოიღო თურქეთიდან და არ დამარცხდა დანიასთან. ეს იყო პიკი ჩვენი ნაკრებისთვის, რომელმაც, სამწუხაროდ, ჩაიარა.

რა თქმა უნდა, ჩვენს ფეხბურთელებს "მკვდარი" თამაში აქამდე არასოდეს შემოუტრიალებიათ და იქნებ ამანაც გვაიძულა ცაში ფრენა, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ეს ინერცია უფრო იყო, ვიდრე საქართველოს ნაკრების მომძლავრების ლოგიკური შედეგი.

ათ წელზე მეტი დრო გავიდა, რაც ეროვნული ნაკრები გვეღირსა და განუწყვეტლივ ვიმეორებთ, რომ რესურსები გვაქვს, მაგრამ მწვრთნელი ვერ მოვნახეთ ამ რესურსების ასამოქმედებლად. ის კი გვავიწყდება, რომ ქვეყანაში ერთი ნორმალური საბაზო სტადიონიც კი არ არსებობს, სადაც სწორედ ეს რესურსი უნდა ჩამოყალიბდეს და ფეხბურთელს ზრდისა და განვითარების სათანადო პირობები შეუქმნას. ივო შუშაკი საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში სწორედ ამას ჩიოდა, რომ პირველ რიგში ნორმალური მოედნების მოწყობაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია ფეხბურთელს სწრაფი, ტაქტიკურად გამართული, თანამედროვე ყაიდის ფეხბურთი ასწავლო.

ნორმალური სავარჯიშო მოედნის გაკეთება (ტრიბუნებს თუ არ გავითვალისწინებთ) დაახლოებით 70 ათასი დოლარი ჯდება. თუ პროფესიულ კლუბს, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშობს, ამის ფინანსური საშუალება არა აქვს, როგორ შეძლებს ის, ეროვნული ნაკრებისთვის კარგი ფეხბურთელი გაზარდოს? ესე იგი, ნაკრების რესურსებზე საუბარი ზედმეტია. ხოლო თუ ასეა, გამოდის, რომ ათ წელზე მეტი ხანია თავს ვიტყუებთ და გულშემატკივარსაც ვატყუებთ.

შეიძლება სწორედ ამ ტყუილის შედეგია, რომ გულშემატკივარი ყოველი თამაშის შემდეგ სტადიონებზე დებოშს აწყობს და შინ გაწბილებული ბრუნდება. მართლები მაშინ ვიქნებით, როცა ვიტყვით, რომ საქართველოში არ არსებობს თანამედროვე ფეხბურთის განვითარების საფუძველი და ყველაფერი ნულიდან - ბავშვთა ფეხბურთის განვითარებით უნდა დავიწყოთ. მაშინ ეს აჟიტირებული ქომაგიც სხვაგვარად შეხედავს საქართველოს ნაკრებს და რეალურად მოსთხოვს იმას, რისი გაკეთებაც ჩვენს გუნდს შეუძლია. ანუ, მაგალითად, მიმდინარე ციკლში მეხუთე ადგილის დაკავება.

თუ პრობლემები არ გადაიჭრა, თბილისში უცხოელი გულშემატკივარი კიდევ დიდხანს გაიხარებს

ბორის ბასაკერაძის ფოტო

ნუ გავოცდებით და მეხუთე ადგილი სწორედ ის არის, რაც საქართველოს ნაკრებს ეკადრება. თუ თურქებთან შეხვედრას კარგად გავიხსენებთ, მივხვდებით, რომ თურქეთი ცდილობდა ფეხბურთი ეთამაშა. საქართველოს ნაკრები კი მას ხელს უშლიდა. თურქი გულშემატკივარი ცდილობდა ექომაგა, ქართველები კი მხოლოდ იგინებოდნენ.

ამ დავიდარაბაში ყველაზე საწყენი ის იყო, რომ ქართველები ქონდრისკაცებს ვგავდით, ვინც გულიავერს შესჭიდებია. ამასთან, იმდენად საცოდავად გამოვიყურებოდით, რომ უნებლიეთ ადამიანს საკუთარი თავის მიმართ სიბრალულის გრძნობა გაგიჩნდებოდა. ამ ამბიდან საბოლოოდ რაც გამოვიდა, თავადაც ვნახეთ - თურქებმა საქმე გააკეთეს და შინ სამი ქულა წაიღეს. ჩვენ კი პირველ რიგში საკუთარ თავს დიდი შეურაცხყოფა მივაყენეთ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ არ არის საჭირო გულშემატკივართა აჟიტირება იმით, თითქოს მძლავრი რესურსები გვაქვს, რომლიდანაც დიდი გუნდის შექმნა შეიძლება - ეს ტყუილია!

დიდი გუნდის შექმნა-ჩამოყალიბებას საფუძველი სჭირდება, რომელიც საქართველოში არ არსებობს. მანამდე კი ჩვენს გუნდს ერთადერთი, რაც შეუძლია, მეტოქისთვის ხელის შეშლაა. ამ ხელის შეშლით ქართველმა ფეხბურთელებმა თურქებთან მატჩის პირველ ტაიმში იმდენი ირბინეს და იმდენი ენერგია დახარჯეს, რომ მეორე ნახევარში ველარ ინძრეოდნენ. ანუ გუნდმა საკუთარი ძალები რაციონალურად ვერ გაანაწილა. ესეც სათამაშო კლასის ერთ-ერთი მახასიათებელია და სწორედ იმ საფუძველს უკავშირდება, რომელზეც ვისაუბრეთ.

მოედანზე გუნდი ისე უნდა გაწლაგდეს, რომ ძალები მთელ 90 წუთზე თანაბრად გაანაწილოს. ასე იქცევიან უმაღლესი კლასის გუნდები და ასე იქცევა, მაგალითად, უკრაინის ნაკრები, რომელიც უკვე შეეჩვია მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოგებას, რასაც სწორი ტაქტიკური აზროვნება და დიდი მობილიზაცია სჭირდება. ხოლო ჩვენ, ვიდრე ამ მობილიზაციას და ორგანიზაციას შევწვდებით, უკეთესია ვიზრუნოთ იმაზე, რომ გვყავდეს კარგი მწვრთნელები, გვქონდეს სათანადო სავარჯიშო ბაზები, გვქონდეს უნარი შევინარჩუნოთ ფეხბურთელები და სხვა.

ნოვაცია არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დიდი გუნდის პირველი მახასიათებელი ყველა ამპლუაში თითო უმაღლესი დონის ფეხბურთელის ყოლაა. ანუ აუცილებელია გყავდეს კარგი მეკარე, კარგი ცენტრალური მცველი, კარგი გამთამაშებელი და კარგი კარში დამრტყმელი. საქართველოს ნაკრებს, სულ ცოტა, კარგი მეკარე, ცენტრალური მცველი და გოლის გამტანი სჭირდება. ვიდრე გუნდში ამ ამპლუის მქონე ევროპული რანგის ფეხბურთელები არ გამოჩნდებიან, მუდმივად პრობლემების წინაშე ვიდგებით. ამ ფეხბურთელთა აღზრდა კი პირდაპირ უკავშირდება ქვეყანაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

დღეს ამ თვალსაზრისით ჩვენში უეფას პროგრამა "გოლი" მოქმედებს, მაგრამ თუ დიდი გუნდის შექმნა გვინდა, საჭიროა, ფეხბურთელი სწორ ტაქტიკურ აზროვნებას ბავშვობიდანვე შეეჩვიოს. ამას კი გამოცდილი და უაღრესად განათლებული მწვრთნელები სჭირდება. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთები არ არიან. ამიტომ მწვრთნელებს, სულ მცირე, შუშაკის დონისას, უცხოეთიდან უნდა მოვუხმოთ და, რაც შეიძლება, სწრაფად ჩავაბათ ბავშვთა ფეხბურთში.

"აიაქსის" ცნობილ საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელი ბავშვებს ტაქტიკურ ამოცანებს საშინაო დავალებად აძლევს და ბავშვიც სწორი თამაშის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს. ჩვენთან კი ტაქტიკურ განათლებას პრაქტიკულად დრო არ ეთმობა და, ბუნებრივია, ზრდასრულ ასაკში ქართველ ფეხბურთელებს თანამედროვე სტანდარტებთან შეგუება უჭირთ. აქედან გამომდინარეობს ის სავალალო შედეგები, რასაც ყოველ შესარჩევ ციკლში ვაწყდებით. ამიტომ, თუ თანამედროვე ყაიდის ფეხბურთელის აღზრდა გვინდა, ჩვენს ქვეყანაში სამწვრთნელო სკოლას უნდა დავუდოთ საფუძველი, სადაც ლექციებს წაიკითხავენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები და ადგილობრივი კადრების შექმნა-განვითარებას შეუწყობენ ხელს (მხოლოდ უცხოელი სპეციალისტების მოწვევა და ბავშვთა ფეხბურთში მათი მასობრივი ჩაბმა შეუწყობს ხელს საქართველოში ფეხბურთის განვითარებას).

ეს, რა თქმა უნდა, დიდ თანხებს უკავშირდება, მაგრამ თუ უეფა საქართველოში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას აფინანსებს, რეალური გეგმის არსებობის შემთხვევაში არც ამ პროექტს განუდგება განზე. არც სახელმწიფო იტყვის უარს, მონაწილეობა მიიღოს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. ის თავის ვალდებულებებს შეასრულებს.

TV-სპორტი

ორშაბათი. 4 აპრილი

NTB+ФУТБОЛ
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "ალბასეტე" - "რეალი"
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. "ვესტ ბრომვიჩი" - "ევერტონი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ჰერტა"
18:00 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტარი" - "კრივბასი"
19:45 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:40 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. "პალერმო" - "მესინა"

NTB+ПЛЮС
10:00, 13:00, 16:00, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 საჭადრაკო მიმოხილვა
11:15 წყალში ხტომა. ჩინეთის დიდი პრიზი. ვაჟები. კოშკური. სინქრონული ხტომები. ვაჟები. ტრამპლინი 3 მ. სინქრონული ხტომები. ქალები. კოშკური. ფინალები
13:35 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამიში. გადამწყვეტი მატჩები
15:05 ფიგურული სრიალი. ანდრეა ბოჩელის შოუ
16:15 ყველაზე ძლიერი ადამიანი. ბაჰამის კუნძულებზე. გადაცემა პირველი
16:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
18:00 "სარკის წინ"
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. უეინ ბრეიტუეიტი - ჟან-მარკ მორმეკი
21:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:00 ბილიარდი. პირამიდა. რუსეთის ჩემპიონატი. პირველი ნაწილი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

EUROSPORT
10:30 მოტოკროსი მსოფლიო ჩემპიონატი ბელგიაში
11:30 ველოსპორტი. ბელგიის ტური
12:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. ფინალი
13:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. ახალი ზელანდია - გერმანია
14:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. რჩეული
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. ფინალი
17:00 ველოსპორტი. ბელგიის ტური
18:00 ველოსპორტი. ბასკთა ქვეყნების ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
21:00 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. დანია - გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში. ქალები. შვედეთი - ყაზახეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:15 სუმო. შეჯიბრება იაპონიაში
01:15 ახალი ამბები
01:30 მოტოსპორტი - აი, მესმის!
02:00 ფეხბურთი - ევროგოლები
03:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში

დინამოს გოლები მოშიებია

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის 26-ე ტური იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ დღეს შედგა კახაბერ ცხადაძის დებიუტი თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ცხადაძის გუნდმა ყოველგვარ მოტივაციას მოკლებულ გორის "დილას" უმასპინძლა, რომელთანაც "დინამოს", წესით, უმწვრთნელოდაც უნდა მოეგო. ამის მიუხედავად, თუნდაც გამოკვეთილ აუტსაიდერთან თამაში მაინც ნათელყოფდა, რამდენად დაატყო გუნდს თავისი ხელი ახალმა დამრიგებელმა. ამ თვალსაზრისით, ცხადაძეს ნამდვილად შეიძლება მივულოცოთ. ასეთი ლაღი, შემტევი და უხვგოლიანი თამაში საქართველოს საუკეთესო კლუბის შესრულებით კარგა ხანია არ მინახავს. მატჩში ცხრა გოლი გავიდა, ცხრავე - სტუმართა კარში.

"დინამო" (თბ) - "დილა" 9:0 (5:0)

დინამო: ზოიძე, ორბელაძე, კაშია, ჭიჭვეიშვილი, ოდიკაძე (ლ. ჭელიძე, 70`), კანდელაკი (გ. ჭელიძე, 61`), ნოზაძე, ბაბუნაშვილი, ჯამარაული, მელქაძე, დვალიშვილი (დვალი, 66`).

დილა: ილურიძე, მგელაძე, დ. ხანიშვილი (თურმანიძე, 73`), ქარქოსაშვილი, სულთანიშვილი, კ. ხანიშვილი, მასურაშვილი (ნადირაძე, 60`), ლაბაძე

გოლები: 1:0 მელქაძე 10`, 2:0 მელქაძე 38`, 3:0 დვალიშვილი 44`, 4:0 მელქაძე 45`, 5:0 ორბელაძე 56`, 6:0 მელქაძე 984`), 7:0 ლ. ჭელიძე 72`, 8:0 მელქაძე 84`, 9:0 დვალი (90`).

გაფრთხილება: მგელაძე

აზრი არც აქვს იმ გოლებისა და საგოლე სიტუაციების აღწერას, რომლებიც 90 წუთის განმავლობაში შექმნეს დინამოელებმა. გორელთა კარის აკლებას მე-10 წუთზე "დინამოს" მთავარმა მეგოლემ მელქაძემ ლამაზი დარტყმით დაუდო სათავე. მან "დილას" ხუთი გოლი გაუტანა! მაღალი შედეგიანობის მიუხედავად, რასაც მელქაძე საერთაშორისო მატჩებში გატანილი გადამწყვეტი გოლებითაც ადასტურებს, სამწუხაროდ, მან ვერა და ვერ დაიმახსოვრა ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება. შესაძლოა, ვინმემ გაამართლოს კიდეც ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა იმ მოტივით, რომ საბერძნეთის და თურქეთის ნაკრები გორის "დილა" არ არის. მაგრამ ეროვნული გუნდის თავდასხმის ხაზში იმ მწვავე დეფიციტის გათვალისწინებით, რაც ნაკრების ხელმძღვანელობას სულ მცირე სათამაშო პრაქტიკის არმქონე თავდამსხმელებზე აკეთებინებს არჩევანს, ვფიქრობ, მელქაძის საწვრთნელ შეკრებაზე მიწვევა და გასინჯვა საქმეს არ ნაახდენდა. მით უფრო, რომ ის უცხოეთიდან არ არის ჩამოსაყვანი (ანუ მისი გამოძახება დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული). თუმცა, გავანებოთ ნაკრებს თავი, მით უმეტეს, რომ ამ ციკლის მატარებელმა უკვე ჩაიარა და ჟირესს, თუ იგი მთავარი მწვრთნელის მოვალეობას შეინარჩუნებს, მომავალ შესარჩევ ციკლზე მოუწევს ფიქრი.

აღსანიშნავია "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა თავდამსხმელის დვალიშვილის გამოჩენა, რომელმაც მწვრთნელის ნდობა გაამართლა და ტაიმის მიწურულს გოლიც გაიტანა.

კახაბერ ცხადაძე: "ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა ყველა დავალება ზუსტად შეასრულეს. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. წინ უფრო სერიოზული მატჩები გველის. დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი."

ამ გამარჯვების წყალობით, ცხადაძემ თავისი ახალი გუნდი პირველივე მატჩში დააბრუნა სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე. ამაში "დინამოს" ხელი შეუწყო ყოფილმა ლიდერმა "თბილისმა", რომელიც "ლოკომოტივთან" დამარცხდა. ამ პრინციპულ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა და ის ლოკომოტიველი კახელაშვილის ანგარიშზეა.

ლევან მელქაძემ გორელებს 5 გოლი გაუტანა

ბორის ბასაკერაძის ფოტო

ლიდერის წაფორხილებით ისარგებლა ქუთაისის "ტორპედომაც". გაბელიას გუნდმა "ვიტ ჯორჯიასთან" საწყის 15 წუთში მოამთავრა საქმე. პირველ წუთზე ქუთაისელთა ბომბარდირმა გია მეგრელაძემ გახსნა ანგარიში, რასაც მე-15 წუთზე გამეზარდაშვილის გოლი მოჰყვა. მართალია, ვეტერინარებმა 22-ე წუთზე მარცვალაძის გოლით მინიმუმამდე შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ მეტი ველარაფერი მოახერხეს და დამარცხდნენ.

მოულოდნელი ანგარიში დაფიქსირდა "ზესტაფონში", სადაც ადგილობრივმა "ზესტაფონმა" აუტსაიდერ "სიონს" უმასპინძლა. ბოლნისელებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ - მერაბ კოჭლაშვილი, რომელმაც პირველივე მატჩში, სტუმრად და, თანაც, საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან, ქულა მოაპოვებინა ახალ გუნდს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თემურ მახარაძის გუნდმა უკვე წარმატებით გადაჭრა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკითხი და ახლა ერთი მიზანი აქვს - მოიპოვოს საქართველოს თასი. "ზესტაფონს" სწორედ ამ კვირაში უნევს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი. მისი მეტოქე იქნება თბილისის "თბილისი". ის 6 აპრილს "თბილისის" მინდორზე გაიმართება.

დინამო (თბ) - დილა	**9:0**
ტორპედო - ვიტ ჯორჯია	**2:1**
ზესტაფონი - სიონი	**0:0**
კოლხეთი - დინამო (ბთ)	**0:1**
ლოკომოტივი - თბილისი	**1:0**

დინამო	26	16	4	6	56-23	52
თბილისი	26	15	5	6	46-27	50
ტორპედო	26	14	8	4	41-21	50
ლოკომოტივი	26	11	11	4	34-20	44
ვიტ ჯორჯია	26	10	8	8	38-20	38
ზესტაფონი	26	11	4	11	25-38	37
დინამო (ბთ)	26	7	10	9	27-22	31
კოლხეთი	26	7	5	14	25-26	26
სიონი	26	6	4	16	21-48	22
დილა	26	2	3	21	16-64	9

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორი ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიკტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ძველი მოდელისა ელექტროსამზარეულოს შესაძენად სწორი პასუხის, ამოჭრილი ბარათების ელექტრონულ ნაწილზე და დაბრუნების მოითხოვ ეარვეისის ოფისში (მისამართი: თბილისი, მოდელი 4, ზ.ი-ბმ-ი ალეა 0105, თბილისი; ტელ: 94 07 19/20) 2005 წლის 12 აპრილს 17:00 საათამდე. სწორი პასუხები გამოცხადდება ფინალური მოგებული დაადგინდებოდა ბრიტიშ ეარვეისის თბილისი-ლონდონ-თბილისის ორი ბილეთის.

ფინალის გამოცხადება შედგება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე სასტუმრო ქრაუნეიაზე მარიეტის შესანიშნავად. გამოცხადებაში მონაწილეობის მისაღებად მოგებული ტელეფონით.

ინფორმაცია ვიქტორინის მონაწილის შესახებ:

სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონი(ები)

სამსახურის ტელეფონი (აუცილებელი არ არის)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

* გაზეთ "24 საათის" და ბრიტიშ ეარვეისის თანამშრომლებისა ან მათ ოჯახის წევრებს ამ ვიქტორინაში მონაწილეობა არ ეკრძალებათ.

1. ქვემოთ ფრაზებს ინგლისურ ენაზე ბრიტიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. ლონდონში ერთი რეისი
2. ლონდონში სამ რეისს
3. ყოველდღიურ რეისებს

2. ქვემოთ ინფორმაციიდან ბრიტიშ ეარვეისის ოფისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. ყოველ სამშაბათს
2. ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და შაბათს
3. ყოველდღე

3. წლის ინფორმაციიდან ფრენადროებია ბრიტიშ ეარვეისის ოფისი თბილისსა და ლონდონს შორის?
1. დილით
2. საღამოს
3. შუადღისას

4. ბრიტანეთის ინფორმაციიდან ბრიტიშ ეარვეისი თბილისიდან?
1. ლონდონ-გატვიკი
2. ლონდონ-ჰითროუ
3. ლონდონ-ლუტონი

5. ინფორმაციიდან ბრიტიშ ეარვეისი ხელოვნურად თბილისი-ლონდონი - თბილისის ოფისი?
1. ავრობუსი 320
2. ბოინგ 747
3. კონკორდი

6. ქვემოთ ფრაზებიდან ბრიტიშ ეარვეისის ოფისი თბილისის ოფისი?
1. ხუთი
2. ექვსი
3. შვიდი

7. საიდან ბრიტიშ ეარვეისის ოფისი?
1. სასტუმრო შერატონ-ბეკეხიანელში
2. ლენინგრადის 44-ში
3. სასტუმრო ბოლოდარ-ბარიერის მიმდებარე ფიოლეთი ალეაში

8. დაასახელეთ ოფისის ხანგრძლივობა თბილისსა და ლონდონს ეფექტურ ამოქმედებას შორის.
1. ხუთი საათი
2. ექვსი საათი
3. თორმეტი საათი

9. რამდენი სამგზავრო კლასია ავიერეისს 320-ის სალონში თბილისი-ლონდონი- თბილისი ოფისებზე?
1. ერთი: ეკონომ-კლასი
2. ერთი: ბიზნეს-კლასი
3. ორი: ეკონომ-კლასი (World Traveller) და ბიზნეს-კლასი (Club World)

10. დაასახელეთ ბრიტიშ ეარვეისის პარტნიორი ავიაკომპანია, ოფიციალურ ეროვნულ ახლოოფლებს თბილისი ლონდონი-თბილისის ოფისებს.
1. BMED (ოფისებიც იყოს ეწოდებოდა ბრიტიშ მედიტერანეან ეარვეისი)
2. GB ეარვეისი
3. კომეტი

ფორმულა 1

"რენომ" "ფერარი" შეცვალა. დელა როსამ-მონტოია

გიგა გურასაშვილი

შარშან მიხაელ შუმახერი გახდა "ბაჰრეინის დიდი პრიზის" სადებიუტო ასპარეზობის გამარჯვებული და "საჰირის" ავტოდრომის რეკორდითაც გამოიჩინა თავი. წლეულს, როდესაც "საჰირის" ტრასაზე ხელმეორედ შეიკრიბა სამეფო რბოლების საჯინიბოები, ერთნი "ფერარის" გერმანელი მრბოლისგან შარშანდელი შედეგის გამოერებას კვლავაც ელოდნენ. მართალია, წლეულს მიხაელს აშკარად არ უმართლებს, მაგრამ ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპზე გულშემატკივრები ძველი შუმის ხილვას მაინც ელოდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იტალიურმა საჯინიბომ "საჰირის" ტრასაზე ახალი პირმშო - F2005 შეაგორა, მეორე იმიტომ, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა კვალიფიკაციაზე მეორე საფეხურზე დგომის პატივი დაიმსახურა. თუ რას ნიშნავს გერმანელის წინა რიგებში დგომა სამეფო რბოლების გულშემატკივრების ამის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს, მაგრამ...

ალონსოს მდევარმა მიხაელ შუმახერმა მე-12 წრეზე რბოლა შეწყვიტა.

ეტყობა, ეტყობა კი არა ფაქტია, წლეულს "ფერარის" ადგილს ფრანგული საჯინიბო - "რენო" იკავებს. მართალია, 2005 წლის სეზონის დასრულებამდე საკმაო დროა, მაგრამ რენოელებს ხელთ უკვე ისეთი უპირატესობა აქვთ, რომ თუ რამ სასწაული არ მოხდა ძნელად რომ აქამდე მოპოვებული ქულები გაანიავონ. ფერნანდო ალონსოსა და ჯანკარლო ფიზიკელას დამსახურებით ფრანგული საჯინიბო მსუყედ გამოიყურება და მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ "რენომ" "ბაჰრეინის დიდ პრიზზეც" დაიმსახურა კვარცხლბეკზე ასვლის პატივი. ამ შემთხვევაში ფიზიკელას არ გაუმართლა და გუნდის ინტერესები საკუთარ თავზე სრულად ალონსომ აიღო და დუბლიც შეასრულა. ანი "მალაიზიის დიდი პრიზის" მსგავსად, "ბაჰრეინის დიდი რპიზის" გამარჯვება ესპანელმა მოიპოვა ამასთან საკმაოდ დამაჯერებლად. მალაიზიური ეტაპის მსგავსი იყო ისიც, რომ მეორე ადგილი აქაც ტოიოტელმა იარნო ტრულიმ დაიკავა. მიხაელ შუმახერს გასული გათამაშებების ტრიუმფატორს აშკარად არ მისდის საქმე.

რბოლის ინტრიგა სულ რაღაც 12 წრეს გაგრძელდა მერე და მერე კი... მიხაელი, რომელმაც მეორე პოზიციიდან აიღო სტარტი "ბაჰრეინის დიდი პრიზის" ერკემალს მოსვენებას არ აძლევდა და მუდმივი წნეხის ქვეს ამყოფებდა შემდგომ უკვე ეტაპის გამარჯვებულ ალონსოს. მაგრამ მოხდა ის, რამაც რბოლას ინტრიგა დაუკარგა. "ფერარის" გერმანელმა ერთ-ერთ მოსახვევთან ტრაექტორია დაკარგა და ტრასიდან გავარდა. შორიდან მომზირალისთვის სკუდერიელის ბოლიდს "ჯანმრთელი და უვნებელი" გამოიყურებოდა და თითქოს ასპარეზობას უნდა დაბრუნებოდა, რომ ბევრისთვის გასაოცრად გეზი ბოქსებისკენ აიღო. ფარეხში შესვლა უკვე იმას ნიშნავდა, რომ მიხაელი რბოლას აღარ დაუბრუნდებოდა. ასეც მოხდა. მიხაელი ნირწამხდარი გამომეტყველებით მალევე მაყურებელთა შორის აღმოჩნდა. ამასობაში გერმანელის წნეხისგან განთავისუფლებულმა ესპანელმა შვებით ამოისუნთქა და ტრასასა ღიღინ-ღიღინით გაუყვა. საშიში მეტოქის რბოლოდან გამოთიშვის შემდეგ ეტყობოდა, რომ ალონსო ბოლიდის ზედმეტ დატვირთვას თავს არიდებდა. რასაც ისიც განაპირობებდა, რომ უახლოესი მდევარი ტოიოტელი ჯანკარლო ფიზიკელა მას საკმაოდ ჩამორჩენოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დანარჩენებზე.

შუმახერის რბოლიდან გამოთიშვით ასპარეზობამ თითქოს ინტრიგა დაკარგა, მაგრამ იმატა საანახაობრიობამ, რაც შუმის თანაგუნდელის ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოსა და "მაკლარენ-მერსედესის" ესპანელი ტესტ-პილოტის პედრო დე ლა როსას დამსახურებაა. პირველმა მთგანმა გუნდის ინტერესები აიღო საკუტარ თავზე. უფრო სწორად, შუმახერისგან ჩაიბარა ესტაფეტა. ბრაზილიელმა, რომელმაც სტარტი მაჩანჩალის პოზიციიდან, მეოცე ადგილიდან აიღო თვალის დახამხამებაში უმალ ხუთი პოზიციით დაწინაურდა. სტარტიდან უკვე მეექვსე წრეზე ბარიკელო მეათე პოზიციაზეც გაიჭრა და კვლავაც ოსტატურად მიიწევდა წინ, მაგრამ ძალა მხოლოდ მეცხრე პოზიციამდე ეყო.

ბარიკელოსგან მოსალოდნელიც იყო წინსვლა, დაწინაურება და მეოცე პოზიციიდან ჩასათვლელ საფეხურებამდე გზის გაკაფვა, მაგრამ ის, რაც მაკლარენელმა ტესტ-პილოტმა გააკეთა, ალბათ, ყველაზე მეტ ქება-დიდებას იმსახურებს. საქმე ისაა, რომ კოლუმბიელმა ხიან პაბლო მონტოიამ ერთი კვისრი წინატ ჩოგბურთის თამაში მოინდომა. ითამასა კიდეც, მაგრამ მოგვიანებით კორტის დაშავებული მუხლით დატოვება მოუწია. საგონებელში ჩავრდნილ "მაკლარენ-მერსედეს" ისღა დარჩენოდა, საბაჰრეინოდ კოკპიტში საჯინიბოს ტესტ-პილოტი პედრო დე ლა როსა მოეკალათებინა. ესპანელმაც თავი არ შეირცხვინა და იმდენი შეძლო, რომ მეხუთე პოზიციამდე გაიკვალა გზა. "მაკლარენის" ტესტ-პილოტის "საჰირზე" გამოჩენამ რბოლას სანახაობრიობა შემატა, უფრო კი ასპარეზობის შუაწელიდან. ესპანელმა სარბოლო ოსტატობასთან ერთად ტაქტიკითაც გამოირჩა. თავდაპირველად შეიძლება ითქვას, პოზიციებისთვის ბრძოლაში ანუ მეტოქეთათვის გვერდის ავლით თავს არ იკლავდა. ფონს იმით გადიოდა, რომ მეტოქეები თავად ეცლებოდნენ ტაქტიკური თუ ტექნიკური პრობლემების გამო. მერე და მერე კი აშკარად დაეტყო, რომ აზარტსი შევიდა და რბოლის დასრულებამდე 25 წრით ადრე ბარელი ჯენსონ ბატონის გზიდან ჩამოშორებაც გაბედა. 20 წრით ადრე ბარიკელოსაც შეუტია და მოსახვევში გაასწრო კიდეც, უფრო სწორად მოსახვევსი სწრაფად შევარდა და მასზე გამოცდილმა ბრაზილიელმაც ესპანელს გზა დაუთმო. დე ლა როსამ კი ტრაექტორია ვერ შეინარჩუნა და ტრასიდან გავარდა, მაგრამ უმალ დაიმორჩილა საჭე და ისევ შევარდა ტრასაზე. ბარიკელოსა და დე ლა როსას შორის დუელი ამით არ დასრულებულა. ესპანელმა 16 წრით ადრე ისევ სეძლო წამოწეოდა ფერარელს და ამ შემთხვევაში ბრაზილიელთან ჭიდილი წარმატებული გამოდგა... ორი წრით ადრე კი მეხუთე პოზიციაზე მყოფ უილიამსელ მარკ ვებერსაც გაუსწრო და შესაბამისი პოზიცია ბოლომდეც შეინარჩუნა. ესეც რომ არა "საჰირის" ტრასას 43-ე წრეზე საუკეთესო დრო დააფიქსირა. ისე, ესპანელის თავგამოდება გასაგებიცაა. მას საკუთარი სიტყვის თქმა სურს ფორმულა 1-ში, ანუ საჯინიბოს მხრიდან ნდობის დამსახურებას ცდილობს. მით უმეტეს, როგორც ექიმები ამბობენ, მონტოია, შესაძლოა, ორი-სამი კვირა კიდევ ვერ დაუბრუნდეს სამეფო რბოლებს. რბოლის დამთავრების შემდეგ "მაკლარენში" ორივე პილოტით კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ. ფინელმა კიმი რაიკონენმა მესამე ადგილი დაიკავა და შესაბამისად გუნდს 7 ქულა შესძინა, ხოლო ესპანელი საჯინიბოს 4 ქულით შეეწია.

"ბაჰრეინის დიდი პრიზი". 57 წრე

პირადი პირველობა

1. ფერნანდო ალონსო	("რენო")
2. იარნო ტრული	("ტოიოტა")
3. კიმი რაიკონენი	("მაკლარენ-მერსედესი")
4. რალფ შუმახერი	("ტოიოტა")
5. პედრო დე ლა როსა	("მაკლარენ-მერსედესი")
6. მარკ ვებერი	("BMW-უილიამსი")
7. ფელიპე მასა	("ზაუბერი")
8. დევიდ კულჰარდი	("რედ ბული")

საერთო ჩათვლა

1. ფერნანდო ალონსო ("რენო")	26
2. იარნო ტრული ("ტოიოტა")	16
3. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო")	10
4. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")	9
5. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული")	9
6. რუბენს ბარიკელო ("ფერარი")	8
7. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენ-მერსედესი")	8
8. კიმი რაიკონენი ("მაკლარენ-მერსედესი")	7
9. მარკ ვებერი ("BMW-უილიამსი")	7
10. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი")	6
11. პედრო დე ლა როსა ("მაკლარენ-მერსედესი")	4
12. კრისტიან კლინი ("რედ ბული")	3
13. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")	2
14 ფელიპე მასა ("ზაუბერი")	2

კონსტრუქტორთა ჩათვლა

1. "რენო"	36
2. "ტოიოტა"	25
3. "მაკლარენ-მერსედესი"	19
4. "BMW-უილიამსი"	13
5. "რედ ბული"	12
6. "ფერარი"	10
7. "ზაუბერი"	2

ბოულინგი

ავერსელთა ბოულინგური გართობა

ჯანმრთელი სიცოცხლის იმედით

მაკო ჯაოშვილი,
სპეციალურად 24 საათისთვის

შესაძლოა, ბოულინგის საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა ჩვენი საზოგადოების მხრიდან ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ დაინტერესება და სურვილი უკვე შეინიშნება. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა ჩვენი თანამემამულეებიც დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვებიან ამ სანახაობრივ და პრესტიჟულ ასპარეზობებში. ვინც თვალყურს ადევნებს TV-სპორტის არხებს, დამეთანხმება, რაოდენ პოპულარულია ბოულინგი მთელ მსოფლიოში.

შეგახსენებთ, რომ სპორტი, ფართო გაგებით, მხოლოდ მედლებისა და ქულებისთვის ბრძოლა, ან მარტოოდენ გამარჯვების მოპოვება და ჩემპიონობა არ არის. მისი მთავარი დანიშნულება ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, სხეულის გაკაჟება-გავარჯიშებაა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სპორტულ სახეობად ჩამოყალიბებულ ცოტათი უცნაურ გასართობს ასეთი საყოველთაო მოწონება ხვდა წილად.

მოგეხსენებათ, დღევანდელ სტრესულ გარემოში რამდენად სასარგებლოა ფიზიკურ-ემოციური განტვირთვა და რა აქტუალურია მორალური გაჯანსაღება. აქედან გამომდინარე, ბოულინგ-ცენტრისთვის დამახასიათებელი სასიამოვნო დროსტარების ატმოსფერო აქტიური დასვენების ჩინებულ საშუალებას იძლევა.

ალბათ ამიტომაც ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა ბოულინგით თავშექცევა გაითავისა და ოჯახურ-მეგობრულ გარემოში შეკრება ცხოვრების სტილად აქცია. ვფიქრობ, სწორედ ამის გამო ბევრი კომპანია კორპორაციული შეხვედრების გამართვას ბოულინგცენტრში გეგმავს. ასე გაჩნდა ჯი ემ სი ჯგუფისა და ჟურნალ "ჯანმრთელი სიცოცხლის" რედაქციის მხრიდან ერთობლივი იდეა კომპანია ავერსი-ფარმას თანამშრომლებისთვის ბოულინგური გართობის მოსაწყობად. სიმბოლური შეჯიბრება რომ უფრო სახალისო და აზარტული ყოფილიყო, ტელეიმედელებიც შეიამხანაგეს. მოკლედ, ავერსელები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. ერთი გუნდი თავად "ჯანმრთელმა სიცოცხლემ" წარმოადგინა, ერთიც "იმედის დილა" გახლდათ.

ტურნირის დევიზი შთამბეჭდავი გამოდგა: "ავერსელთა ბოულინგური გართობა ჯანმრთელი სიცოცხლის იმედით". ცხადია, მონაწილეთა უმეტესობა ბოულინგში დებიუტანტი იყო. ტელეიმედელებს პროფესიონალი ბოულერის - ვაკაჭის იმედი ჰქონდათ და იმედიანად აგორებდნენ ბურთს. უიმედობა არც "ჯანმრთელ სიცოცხლეს" ეტყობოდა, რადგან მათი გუნდის წევრი ირაკლი კარტოზია სთრაიქების ოსტატი აღმოჩნდა. მისი თანაგუნდელი მიშა მახარაძე, რომელიც ამ შეკრების უშუალო ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო, ასევე ღირსეულად ასპარეზობდა. არანაკლებ ივაჟაკაცეს ავერსელთა გუნდ "ძველების" წევრებმა. დაძაბული ფინალური ეტაპიც სწორედ ამ სამ გუნდს შორის გაიმართა.

განსაკუთრებულ აქტივობას გულშემატკივრები იჩენდნენ - ყოველ წარმატებულ შედეგზე ტაშის გრიალი იყო. მათი შეძახილებით გამხნევებული მოთამაშეები მონდომებას არ აკლებდნენ. გამარჯვების ჟინთან ერთად, ეტყობა, გულშემატკივართა გაწბილებას ერიდებოდნენ.

ბუნებრივია, ცალკეულ მოთამაშეთა თავდადება მთელი გუნდის სარეიტინგო მაჩვენებელზე აისახა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პროფესიულ დონეზე ტელეიმედელთა თამაშმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. შეჯიბრებაში გამარჯვებულის ტიტული ტელეიმედის გუნდმა მოიპოვა და ნემიროვის არაყთან ერთად ავერსი-ფარმას მიერ დაწესებული ჯილდოც ერგო წილად.

შეჯიბრების მონაწილეთა გასახალისებლად პრიზები სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით დაწესდა. საუკეთესო ბოულერად ქალბატონთა შორის ია წინილაშვილი დასახელდა, ხოლო მამაკაცთა შორის - დათო შარაშენიძე. მაღაზია "კენარმა" სათვალით დააჯილდოვა გამარჯვებული. არც მინიმალური ქულის მქონე მოთამაშე დარჩენილა უყურადღებოდ: ქეთი ნასარიძეს გუნდისთვის წარმატების მოსაპოვებელი მონდომებისთვის სანდორას პრიზი გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიალი, ტრადიციულად, ფურშეტის თანხლებით გაიმართა. სასიამოვნო დროსტარებისთვის კარგი განწყობის შექმნაზე იზრუნა ღვინომ "ძველმა თბილისმა", ხოლო "სანდორას" წვენები მსოფლიოს საუკეთესო ხილის არომატით აგრილებდა მოასპარეზეებსა თუ მათ გულშემატკივრებს.

როგორც ავერსი-ფარმას გენერალურმა დირექტორმა პაატა კურტანიძემ აღნიშნა, ასეთი შეკრებები ერთობ მნიშვნელოვანია მთელი კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის. მათი დევიზის რეალიზება ანუ ზრუნვა ჯანმრთელობისა და სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ კომპანიაში დასაქმებულთა შორის ჯანსაღი დამოკიდებულების შექმნით გამოიხატება. ხალისიანი განწყობა ხომ ეფექტური მუშაობის ერთ-ერთი საწინდარია.

ჟურნალ "ჯანმრთელი სიცოცხლის" რედაქციასთან ერთად ავერსი-ფარმას ერთიანი გუნდი დუღალავად იღვნის საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. ბოულინგცენტრიც ხომ ამ მიზანს ემსახურება.

ყვავყვავი

ნინო ტიკარაძე

რონალდოს თავს დიდი კითხვის ნიშანი ტრიალებს

მინდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგაწოდოთ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ იგი პირველ აპრილს გავრცელდა, არ ვიცი, რამდენად სანდო შეიძლება იყოს. თავად განსაჯეთ.

ბრაზილიელი მოდელი დანიელა ჩიჩარელი ბავშვს ელოდება. ვინც ვერ აკავშირებს მის სახელს ჩემს სპორტულ ჭორებთან, ვეტყვი, რომ იგი ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ვარსკვლავის რონალდოს საცოლეა.

ზემოხსენებული ინფორმაცია ბრაზილიურმა მასობრივმა საინფორმაციო წყაროებმა გაავრცელეს. თუმცა, თავად ჩიჩარელი ხელაღებით უარყოფს მისი ორსულობის ამბავს და მედიას გავრცელებული ჭორის გამო საყვედურობს (მაგრამ რაღას იტყვის მაშინ, თუ ჟურნალისტების ე.წ "ჭორი" სიმართლე აღმოჩნდება. არ შერცხვება ცილისწამების? თუმცა, რა ჩვენი საქმეა. ისინი ერთმანეთში უჩვენოდაც მორიგდებიან!).

რონალდო და დანიელა 14 თებერვალს დაინიშნენ. მათ ნიშნობაზე ადრეც გესაუბრეთ, მაგრამ, თქვენი ნებართვით, ახლაც ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას. ცერემონიალი პარიზის შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში გაიმართა. ნიშნობის დროს თუ მისი დამთავრებიდან რამდენიმე ხანში (მაპატიეთ, ზუსტად არ ვიცი!) რონალდომ ფეხის თითის ტრავმა მიიღო (მეტი ყურადღებაა საჭირო!), თანაც, იმდენად სერიოზული, რომ ერთხანს მოედანზე გამოსვლა ვერ მოახერხა. შემდეგ მამამისი გაძარცვეს, ბინიდან რონალდოს თითქმის ყველა ნივთი, მათ შორის მაისურების კოლექცია წაიღეს. ჰოდა, ამდენი ცუდი ამბის შემდეგ, ძლივს კარგი გავიგეთ ამ ადამიანზე, თურმე მამა უნდა გახდეს და ამას დაგიმალავდით?

იქაურმა ჟურნალისტებმა დიდი გამოძიება ჩაატარეს და ბავშვის სქესი და მისი ამქვეყნად მოვლინების დროც დაადგინეს: ნოემბერში რონალდოს ვაჟიშვილი ეყოლება.

მაგრამ არსებობს ერთი "მაგრამ", რომელზეც ზემოთ გესაუბრეთ. თავად დანიელა ჩიჩარელი კატეგორიულ უარზეა. ამასვე აცხადებს მოდელის წარმომადგენელიც. მისი თქმით, ამჟამად დანიელა აქტიურად ვარჯიშობს, ფორმას ინარჩუნებს. "როცა ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა მართლაც მოხდება რონალდოსა და ჩიჩარელის ცხოვრებაში, ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებენ", - ამბობს იგი.

ახლა თქვენი გადასაწყვეტია, რომელ მხარეს ენდობით! სიმართლე მაინც არ დაიმალება.

ურჩი ცოლი

ერთი სერ ალექს ფერგიუსონის სახე დაგენახათ, როცა მისმა მეუღლემ 17 ათას გირვანქა სტერლინგად შეიძინა ერიკ კანტონას მაისურა, რომლითაც ფრანგი ფეხბურთელი "მანჩესტერ იუნაიტედში" გამოდიოდა.

ეს ამბავი მოხდა ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში გამართულ საქველმოქმედო საღამოზე, რომელზე დასწრებაც, სხვათა შორის, 300 გირვანქა სტერლინგი ღირდა.

კანტონას შვიდნომრიანი მაისურის საწყისი ფასი 10 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო. რელიკვიის ხელში ჩასაგდებად გამართული ბრძოლის ბოლო ეტაპზე ერთმანეთს შეეჩეხნენ თავად ფრანგი ფეხბურთელი ერიკ კანტონა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცის სერ ალექს ფერგიუსონის მეუღლე, რომელიც ცოცხალი თავით არ აპირებდა დანებებას. როცა ფასი 17 ათას გირვანქა სტერლინგზე შეჩერდა, კანტონამ ხელი ჩაიქნია და "თამაშიდან" გავიდა.

"აუქციონის დამთავრების შემდეგ ფერგიუსონის სახის დანახვამ უკლებლივ ყველა დამსწრეს ღიმილი მოჰგვარა", - განაცხადა ამ მოვლენის ერთ-ერთმა თვითმხილველმა (შეიძლება ითქვას, საკმაოდ რბილი ნათქვამია. ამის გამო საღამოზე ისეთი ხარხარი ატყდებოდა, ფერგიუსონი სულ თავბედს დაიწყევლიდა, იქ რომ მივიდა. თანაც, რა რისხვას დაატეხდა თავს ფიცხი შოტლანდიელი სპეციალისტი თავის მეუღლეს, ეს კიდევ სხვა საკითხია!).

მოკლედ, ასეა თუ ისე, 17 ათასი გირვანქა სტერლინგი არცთუ ისე დიდი თანხაა ფერგიუსონისთვის. მთავარია, ეს ფული მიზანმიმართულად დაიხარჯოს.

ასე არ არის?

ბრძოლა წესების გარეშე

დევიდ ბექჰემის გამო სერიოზული ბრძოლაა გამოცხადებული. ვინ იბრძვის? ჯენიფერ ლოპესი და ბეიონს ნოულზი. არ გეგონოთ, ვიქტორია ბექჰემის ოჯახურ ბედნიერებას ემუქრება საფრთხე (მაინცდამაინც ნუ მენდობით!). ნურას უკაცრავად. ორ უმშვენიერეს ქალბატონს მადრიდის "რეალის" ინგლისელი ვარსკვლავის საკუთარ კლიპში გადაღება, მეტიც, მასთან ერთად დუეტის ჩაწერა უნდა.

დავა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაიწყო. საქმე ის გახლავთ, რომ გასული წლის ბოლოს ბექჰემმა, ლოპესმა და ნოულზმა მონაწილეობა მიიღეს Pepsi-ის მილიონდოლარიან კლიპში.

როგორც ჩანს, ერთობლივი მუშაობის დროს მომღერლები დევიდ ბექჰემით იმდენად მოიხიბლენ, რომ გადაწყვიტეს, საკუთარ ვიდეოკლიპში გადასაღებად მიიწვიონ. გარდა ამისა, მასთან დუეტის ჩაწერაც ხომ მათი ოცნებაა. თუმცა, საქმე ასე მარტივადაც არ გახლავთ. აბა, სად აქვს ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "სამეფო გუნდის" ფეხბურთელს სიმღერისთვის დრო? ამიტომაც დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ თუ დევიდი კლიპში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტს, მას ლოპესსა და ნოულზს შორის მოუწევს არჩევნის გაკეთება. და როგორ მოახერხებს ამას? სავარაუდოდ, კასტინგის გზით.

დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი უკვე იციან კონკურსანტებმაც. წარმომიდგენია, როგორ ღვივდება მათ გულებში სიძულვილის ნაპერწკალი. მერე ნახეთ თქვენ ბრძოლა წესების გარეშე (თუ უკვე დაწყებული არაა!).

აქვე ერთი პრობლემა. ზემოთ უკვე ვთქვი, ბექჰემების ოჯახურ ბედნიერებას საფრთხე არ ემუქრება-მეთქი, მაგრამ აბა, ერთი ვიქტორიას ჰკითხეთ, როგორ ესიამოვნება საყვარელი და სათაყვანებელი მეუღლის დანახვა მომხიბვლელი ქალბატონების გარემოცვაში.

დავიჯერო, მშვიდად მიადევნებს თვალყურს დევიდთან დუეტის ჩაწერის უფლების მოსაპოვებლად გამართულ ბრძოლას?

ვნახოთ და ვისიამოვნოთ!

ერთხელ იყვირა. სამაგიეროდ, მთელი ცხოვრება დადუმდა

დამეთანხმებით, ნამდვილი გულშემატკივარი თავისი საყვარელი გუნდის თამაშს ემოციების გარეშე ვერ უყურებს (ემოციებში მოედანზე ბოთლების, რკინის და თუ სხვა უამრავი გაურკვეველი წარმოშობის საგნის სროლას არ ვგულისხმობ!). ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს, ზოგიც კიდევ ხმის წართმევამდე ყვირის. სწორედ ამ უკანასკნელზე მინდა მოგახსენოთ. მსგავსი რამ შეემთხვა ინგლისის მესამე დივიზიონის კლუბის "სკარბოროს" გულშემატკივარს, 42 წლის სტიუარტ კენვინს, რომელიც ისე ხმამაღლა ყვიროდა თავისი საყვარელი გუნდის ერთ-ერთი მატჩის დროს, რომ, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ხმის იოგები გაუწყდა, ერთი სიტყვით, ხმა დაკარგა. სხვათა შორის, სტიუარტ კენვინი მთელი 35 წლის განმავლობაში გულშემატკივრობს "სკარბოროს", თანაც, ყოველ ჯერზე, სტადიონზე უფრო და უფრო უმაღლებს ხმას. ჰოდა, ერთხელაც მისმა ყვირილმა კულმინაციას მიაღწია და, როგორც უკვე მოგახსენეთ, სავალალო შედეგი გამოიღო.

ექიმებმა ხმაჩაწყვეტილ გულშემატკივარს ოპერაცია გაუკეთეს. მართალია, ხმა დაუბრუნეს (ძველებურად მაინც ვერა!) თუმცა, არათუ ყვირილი, არამედ ხმის ოდნავ აწევაც კი სასტიკად აუკრძალეს.

აი, ასეც ხდება. გულწრფელ გულშემატკივარს საყვარელი გუნდის გასამხნევებლად საკუთარი ხმაც კი არ ენანება.

P.S. ეს ნიუსი მინორულ ნოტზე დავამთავრე. გამგები გაიგებს!

ACT INTERNATIONAL

მომხმარებელი - მეფე

ფაქტია, რომ სხვა პროგრესულ ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სერვისის ინსტიტუტი, ისევე როგორც საბაზრო ეკონომიკის სხვა ელემენტები, ჯერ კიდევ ვითარდება. აპრობირებული მარკეტინგული კვლევები მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. საზოგადოებრივი აზრი სწორედ ის სიმბოლური სარკეა, რომელიც მომხმარებელსა და მენეჯერს ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ მანკიერ მხარეს უჩვენებს. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები კი შესაძლებელს ხდის ქართული სერვისი საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს და ამ სფეროში განმსაზღვრელ პრინციპს - "კლიენტი მეფეა"-ს შეუთავსოს.

დღეს მსოფლიოში ფაქტობრივად არ არსებობს ორგანიზაცია, საწარმო, ან კერძო პირი, რომელიც მარკეტინგულ გამოკვლევას ბიზნეს-სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად არ მოიაზრებდეს. თუმცა, საქართველოში ნებისმიერ სიახლეს სკეპტიკურად უყურებენ, ხოლო კვლევის ღირებულება პოტენციურ კლიენტს აფრთხობს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2005 წლის თებერვალში კომპანია "ეი-სი-თი ინთერნეიშენალ"-მა (ACT-International) თბილისში სხვადასხვა სფეროებში მომსახურების დონის დასადგენად საკუთარი ხარჯით მარკეტინგული კვლევა ჩაატარა. შესწავლილი იყო მომხმარებლის აზრი რესტორნების, აფთიაქების, ბანკებისა და სუპერ-მარკეტების მომსახურების შესახებ (ტარიფები, პროდუქციის ხარისხი, პერსონალის დამოკიდებულება და სხვა).

კვლევის მიზანი "ეი-სი-თი ინთერნეიშენალის" დირექტორმა - თინათინ რუხაძემ - მოკლედ დაახასიათა: "ჩვენი კომპანია მსგავსი კვლევების ჩატარებას ყოველთვიურად აპირებს. ჩვენ მომხამრებლებს რეგულარულად მივაწვდით ინფორმაციას თბილისის მომსახურეობის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების რეიტინგების შესახებ. გარდა ამისა, იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული კვლევები ასეთი ორგანიზაციების მენეჯერებსა და მფლობელებს ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესების სტიმულს მისცემს, რაც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდას, მეორეს მხრივ კი - მათი ბიზნესის წარმატებას".

მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვნებაზე კომენტარს "საქართველოს ბიზნეს-ეთიკის ასოციაციის" თავმჯდომარე - ტარიელ ზივზივაძეც აკეთებს: "ეი-სი-თი ინთერნეშენალის" წამოწყება სხვადასხვა სექტორში მომსახურების ხარისხით კმაყოფილების კვლევა აწარმოოს წაადგება როგორც მთლიანად საზოგადოებას (კერძოდ, მომხმარებლებს), ასევე კონკრეტული ბიზნესების მეპატრონეებს. მიღებული ინფორმაცია დაანახებს დაინტერესებულ პირს თუ რომელ კომპანიაში შეუძლია მას მიიღოს უკეთესი მომსახურება, ამ უკანასკნელთ კი მიახვედრებს, რომ მომსახურება ხშირ შემთხვევაში მათი ბიზნესის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვიდრე თვით საკვები.... ეი-სი-თი ინთერნეიშენალის კვლევის შედეგები დადებითად იმოქმედებს მომსახურების სფეროს კომპანიების საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რადგანაც ბუნებრივი გადარჩევის მომსახურების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების წარმომადგენლები დაფიქრდებიან თუ როგორ გაუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურება. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ამ კვლევის განმხორციელებელი ორგანიზაციაა ეისითი ინტერნეშენალი, რომელსაც მარკეტინგული კვლევების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს საქართველოში. ორგანიზაცია თავის საქმიანობაში ეყრდნობა ქართული ბიზნესის ქცევის კოდექსის პრინციპებს და თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოში უკეთესი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბების საქმეში".

როგორც უკვე აღინიშნა, მომსახურების სხვადასხვა სფეროში წარმოდგენილი კომპანიების რეიტინგები, მომსახურების ხარისხის მონიტორინგის და შესაბამისად მომხმარებლების კმაყოფილების დონის გაზომვის მეტად ეფექტური საშუალებაა. ამ საშუალების გამოყენების იდეა "ეი-სი-თი ინთერნეიშენალ"-ს ეკუთვნის, რომლის მარკეტინგული კვლევის შედეგები პირველად საქართველოში რეგულარულად (ყოველკვირეულად) გამოქვეყნდება რუბრიკაში "მეფე-მომხმარებელი". რუბრიკის გახსნის პატივი კი საქართველოში ყველაზე პოპულარულ და განვითარებულ ინდუსტრიას - საკვებ ობიექტებს (რესტორნები და კაფე-ბარები) ხვდა წილად.

1. არის თუ არა "მომხმარებელი მეფე" ქართულ რესტორანსა და კაფე-ბარში?

დიაგრამა N1.1 - რომელ რესტორანსა და კაფე-ბარს აქვს ყველაზე დაბალი/ ფასები მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N1.2 - რომელ რესტორანსა და კაფე-ბარს აქვს ყველაზე ხარისხიანი/ პროდუქცია მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N1.3 - რომელ რესტორანსა და კაფე-ბარს ყავს ყველაზე კარგი/ პერსონალი მომხმარებლების აზრით?



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, რესტორნების ბაზარზე თებერვლის თვეში "ნიკალა" მომსახურების ყველა შესწავლილი კრიტერიუმის - დაბალი ფასი, ხარისხიანი პროდუქცია, და პერსონალი - მიხედვით ლიდერია.

2. არის თუ არა "მომხმარებელი მეფე" ქართულ სუპერ-/ მინი-მარკეტებში?

დიაგრამა N2.1 - რომელ სუპერ- და მინი- მარკეტს აქვს ყველაზე დაბალი/ ფასები მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N2.2 - რომელ სუპერ- და მინი- მარკეტს აქვს ყველაზე ხარისხიანი/ პროდუქცია მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N2.3 - რომელ სუპერ- და მინი- მარკეტს ყავს ყველაზე კარგი/ პერსონალი მომხმარებლების აზრით?



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, სუპერ- და მინი- მარკეტების ბაზარზე, თებერვლის თვეში "პოპული" მომსახურების ყველა შესწავლილი კრიტერიუმის - დაბალი ფასი, ხარისხიანი პროდუქცია, და პერსონალი - მიხედვით ლიდერია.

3. არის თუ არა "მომხმარებელი მეფე" ქართულ აფთიაქებში?

დიაგრამა N3.1 - რომელ აფთიაქს აქვს ყველაზე დაბალი/ ფასები მომხმარებლების აზრით?



მხმარებლების აზრით?

დიაგრამა N3.2 - რომელ აფთიაქს აქვს ყველაზე ხარისხიანი/ პროდუქცია მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N3.3 - რომელ აფთიაქს ყავს ყველაზე კარგი/ პერსონალი მომხმარებლების აზრით?



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, აფთიაქების ბაზარზე, თებერვლის თვეში "ავერსი" მომსახურების ყველა შესწავლილი კრიტერიუმის - დაბალი ფასი, ხარისხიანი პროდუქცია და პერსონალი - მიხედვით ლიდერია.

4. არის თუ არა "მომხმარებელი მეფე" ქართულ ბანკებში?

დიაგრამა N4.1 - რომელ ბანკს აქვს ყველაზე დაბალი/ ფასები მომხმარებლების აზრით?



დიაგრამა N4.2 - რომელ ბანკს ყავს ყველაზე კარგი პერსონალი მომხმარებლების აზრით?



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს, საბანკო ბაზარზე, თებერვლის თვეში "საქართველოს ბანკი" მომსახურების ყველა შესწავლილი კრიტერიუმის - დაბალი ფასი და კარგი პერსონალი - მიხედვით ლიდერია.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სხვადასხვა სფეროებში გამოკვეთილი ლიდერები მხოლოდ თბილისელების შეხედულებებს, დამოკიდებულებებსა და მოსაზრებებს ასახავს, რომლებიც შესაძლებელია ობიექტურ რეალობას სრულიადაც არ ემთხვეოდეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე იმის თქმას შეიძლება, რომ კლიენტი სწორედ მაშინ და იქ არის მეფე, სადაც ასეთად მიიჩნევს თავს.

საქართველოს ბიზნესგარემო საკმაოდ ცვალებადია. ასევე ცვალებადია მომხმარებლების მოსაზრებები ამა თუ იმ ბიზნესის მიმართ. ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, ლიდერმა რესტორნებმა/ კაფე-ბარებმა, სუპერ- და მინი- მარკეტებმა, აფთიაქებმა და ბანკებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლონ, ხოლო სხვები დაწინაურდნენ. "ეი-სი-თი ინთერნეიშენალი" ამ იერარქიულ ცვლილებებს ყურადღებით სწავლობს და კვლევის მოსახლეობის შეხედულებებში/ მოსაზრებებში მომხდარი ცვლილებების შესახებ მომდევნო წერილებში შემოგთავაზებთ.

"ეი სი თი ინთერნეიშენალი" – მარკეტინგული კვლევისა და კონსულტაციის კომპანია

ACT International – Marketing research and consulting company



Сегодня

06.00 Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал Мелодеевский в программе "72 метра". **11.30** "Кумиры". Ольга Волкова. **12.20** День фарфорника в комедии **"НАБЕРНОЕ, БОГИ СОШЛИ С УМА-2".** **14.10** "Сериал Кроки. В тени черновика". **15.20** Валерий Никоняев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Зомби". 1-2 с. **18.40** Сериал **"КТОН".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Балуев в фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** **22.40** "Клара Лучко. Последнее интервью". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". **00.30** Док. фильм "Клара Лучко. Последнее интервью". **01.00** Рикардо Дарифусс в фильме **"ВСЕГДА".** Летчики Пит Сандин и его заказывный приятель Ал Ким любят свою опасную и интересную работу. Они каждый день вступают в борьбу с лесными пожарами, заливая водой разбушевавшуюся стихию с предельно низкой высоты. Возобновляя Пита Дорнина - радиодиспетчер, руководящий их полетами. Бурлит пилотом экстраординарный Пит верит в свое мастерство и в удачу, которая не может его покинуть. Но однажды случается беда: сигнальная выходит из-под контроля и он не задумываясь отдает свою жизнь, спасая Аля. Но его друзьям нет покоя. Чтобы убедиться, что с другим близким ему людьми все в порядке, Пит соглашается с небес как... **06.50** Анна Шарипова в мелодраме **"С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ".** **04.30** Док. фильм "Возрождение в Шаолине".

Ків

06.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Развлекательное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал **"ОПЕРА. КРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ИЦИ ДЕНЬГИ".** **15.35** Развлекательное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип дополнительности". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** **18.35** Развлекательное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **20.40** Сериал **"СПЕЛОЙ".** **21.50** Развлекательное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** **23.45** Развлекательное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **01.15** Журнал Лили чемпионова. Винжанье! **01.45** Лилли Кэрвэн в триллере **"СТРАСТЬ".** Роберто, после смерти супруги, женится на Марине, бывшей проститутке. Вот уже два года они вместе. У Роберто есть взрослый сын, но он серьезно болен и не говорит ни одного слова уже много лет, хотя врачи не могут понять - в чем причина. А причина проясняется постепенно: Роберто находится в связи с женой, с сестрой бывшей жены, с приятелем... И все это на глазах у покоя... так что он не болен, а просто не желает ни с кем общаться. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** **05.00** Сериал **"ПЮБОВЬ ВДОВЦА-2".** **05.50** Развлекательное происшествие

ОРТ

06.00 Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал Мелодеевский в программе **"72 МЕТРА".** **11.30** "Кумиры". Ольга Волкова. **12.20** День фарфорника в комедии **"НАБЕРНОЕ, БОГИ СОШЛИ С УМА-2".** **14.10** "Сериал Кроки. В тени черновика". **15.20** Валерий Никоняев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Зомби". 1-2 с. **18.40** Сериал **"КТОН".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Балуев в фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** **22.40** "Клара Лучко. Последнее интервью". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". **00.30** Док. фильм "Клара Лучко. Последнее интервью". **01.00** Рикардо Дарифусс в фильме **"ВСЕГДА".** Летчики Пит Сандин и его заказывный приятель Ал Ким любят свою опасную и интересную работу. Они каждый день вступают в борьбу с лесными пожарами, заливая водой разбушевавшуюся стихию с предельно низкой высоты. Возобновляя Пита Дорнина - радиодиспетчер, руководящий их полетами. Бурлит пилотом экстраординарный Пит верит в свое мастерство и в удачу, которая не может его покинуть. Но однажды случается беда: сигнальная выходит из-под контроля и он не задумываясь отдает свою жизнь, спасая Аля. Но его друзьям нет покоя. Чтобы убедиться, что с другим близким ему людьми все в порядке, Пит соглашается с небес как... **06.50** Анна Шарипова в мелодраме **"С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ".** **04.30** Док. фильм "Возрождение в Шаолине".

ТВ 3

06.00 "Доброе утро". **09.00** Сериал "Сериал". **10.00** Новости. **10.20** "Развлекательное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал "ОПЕРА. КРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ИЦИ ДЕНЬГИ". **15.35** Развлекательное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип дополнительности". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** **18.35** Развлекательное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **20.40** Сериал "СПЕЛОЙ". **21.50** Развлекательное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** **23.45** Развлекательное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **01.15** Журнал Лили чемпионова. Винжанье! **01.45** Лилли Кэрвэн в триллере **"СТРАСТЬ".** Роберто, после смерти супруги, женится на Марине, бывшей проститутке. Вот уже два года они вместе. У Роберто есть взрослый сын, но он серьезно болен и не говорит ни одного слова уже много лет, хотя врачи не могут понять - в чем причина. А причина проясняется постепенно: Роберто находится в связи с женой, с сестрой бывшей жены, с приятелем... И все это на глазах у покоя... так что он не болен, а просто не желает ни с кем общаться. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** **05.00** Сериал **"ПЮБОВЬ ВДОВЦА-2".** **05.50** Развлекательное происшествие

ТВ 3

07.00 Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал Мелодеевский в программе **"72 МЕТРА".** **11.30** "Кумиры". Ольга Волкова. **12.20** День фарфорника в комедии **"НАБЕРНОЕ, БОГИ СОШЛИ С УМА-2".** **14.10** "Сериал Кроки. В тени черновика". **15.20** Валерий Никоняев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Зомби". 1-2 с. **18.40** Сериал **"КТОН".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Балуев в фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** **22.40** "Клара Лучко. Последнее интервью". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". **00.30** Док. фильм "Клара Лучко. Последнее интервью". **01.00** Рикардо Дарифусс в фильме **"ВСЕГДА".** Летчики Пит Сандин и его заказывный приятель Ал Ким любят свою опасную и интересную работу. Они каждый день вступают в борьбу с лесными пожарами, заливая водой разбушевавшуюся стихию с предельно низкой высоты. Возобновляя Пита Дорнина - радиодиспетчер, руководящий их полетами. Бурлит пилотом экстраординарный Пит верит в свое мастерство и в удачу, которая не может его покинуть. Но однажды случается беда: сигнальная выходит из-под контроля и он не задумываясь отдает свою жизнь, спасая Аля. Но его друзьям нет покоя. Чтобы убедиться, что с другим близким ему людьми все в порядке, Пит соглашается с небес как... **06.50** Анна Шарипова в мелодраме **"С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ".** **04.30** Док. фильм "Возрождение в Шаолине".

Россия

07.00 Доброе утро. Информационная программа "Доброе утро". **09.00** Новости. **09.20** Сериал Мелодеевский в программе "72 метра". **11.30** "Кумиры". Ольга Волкова. **12.20** День фарфорника в комедии **"НАБЕРНОЕ, БОГИ СОШЛИ С УМА-2".** **14.10** "Сериал Кроки. В тени черновика". **15.20** Валерий Никоняев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ".** **16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Зомби". 1-2 с. **18.40** Сериал **"КТОН".** **19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Александр Балуев в фильме **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ".** **22.40** "Клара Лучко. Последнее интервью". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Космос. Обратный отсчет". **00.30** Док. фильм "Клара Лучко. Последнее интервью". **01.00** Рикардо Дарифусс в фильме **"ВСЕГДА".** Летчики Пит Сандин и его заказывный приятель Ал Ким любят свою опасную и интересную работу. Они каждый день вступают в борьбу с лесными пожарами, заливая водой разбушевавшуюся стихию с предельно низкой высоты. Возобновляя Пита Дорнина - радиодиспетчер, руководящий их полетами. Бурлит пилотом экстраординарный Пит верит в свое мастерство и в удачу, которая не может его покинуть. Но однажды случается беда: сигнальная выходит из-под контроля и он не задумываясь отдает свою жизнь, спасая Аля. Но его друзьям нет покоя. Чтобы убедиться, что с другим близким ему людьми все в порядке, Пит соглашается с небес как... **02.50** Анна Шарипова в мелодраме **"С ТОБОЙ И БЕЗ ТЕБЯ".** **04.30** Док. фильм "Возрождение в Шаолине".

Ретро

08.00 "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Развлекательное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.40** Сериал **"ОПЕРА. КРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: ИЦИ ДЕНЬГИ".** **15.35** Развлекательное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип дополнительности". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ".** **18.35** Развлекательное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **20.40** Сериал "СПЕЛОЙ". **21.50** Развлекательное происшествие. **22.40** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ".** **23.45** Развлекательное происшествие. **00.15** Сериал **"ФАВОРСКИЙ".** **01.15** Журнал Лили чемпионова. Винжанье! **01.45** Лилли Кэрвэн в триллере **"СТРАСТЬ".** Роберто, после смерти супруги, женится на Марине, бывшей проститутке. Вот уже два года они вместе. У Роберто есть взрослый сын, но он серьезно болен и не говорит ни одного слова уже много лет, хотя врачи не могут понять - в чем причина. А причина проясняется постепенно: Роберто находится в связи с женой, с сестрой бывшей жены, с приятелем... И все это на глазах у покоя... так что он не болен, а просто не желает ни с кем общаться. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ".** **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО".** **05.00** Сериал **"ПЮБОВЬ ВДОВЦА-2".** **05.50** Развлекательное происшествие

შენი ფარული ზრახვები ნიუ იორკიდან

თამარ ბაბუაძე

შავი ფერი თბილისს ახალს ვერაფერს ეტყვის. სამაგიეროდ კენეტ კოლი აპირებს ახლის თქმას შავი ფერის დახმარებით.

Black - ასე ჰქვია კოლის სათქმელს, რომელსაც ევრო-ამერიკული ყნოსვა უკვე დიდი ხანია რამდენიმე მეტრში ცნობს. Black - ასე ჰქვია სუნამოს, რომელსაც ათას სხვა სურნელში არჩევენ. მასში კომფორტულად გრძნობენ თავს მამაკაცებიც და ქალებიც, რადგან ეს ფერი ორივე სქესის ფარულ ზრახვებს ოსტატურად ნიღბავს.

შავადმოსილ თბილისში კი კენეტ კოლი მაინც დიდი სიახლეა. სწორედ ამ ლაფსუსის გამოსწორებას ისახავს მიზნად "ისი პარის" მაღაზიათა ქსელი. ოფიციალურ პრეზენტაციაზე რალფ ლორენისა და კელვინ კლაინის მთავარი კონკურენტი საქართველოში პირველად შემოვიდა. წამყვანი ამერიკელი დიზაინერი და პარფიუმერი უკვე თბილისშია და ეცდება, თავისი წვლილი შეიტანოს იმ საქმეში, რასაც ჩვენი დედაქალაქის ურბანისტული კულტურის განვითარება ჰქვია.

კენეტ კოლი სწორედ ასეთი დიზაინერია - ასფალტის სუნის, ვერცხლისფერი "აუდის" და შუშიანი ცათამბჯენების რეალობიდან; ანუ, დაბადებით ნიუ იორკელი, ელეგანტურად და თავისუფლად ჩაცმული, თანამედროვე ფასეულობებით აღჭურვილი. მისი Black რალფ ლორენის და CK-ის სუნამოებთან ერთად შარშან პირველ სამეულში შედიოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კენეტ კოლი ამერიკის ფავორიტია. თუმცა, იმის მიზეზი, რომ კოლს არა თუ თბილისში, შტატებშიც სახეზე ხშირ შემთხვევაში ვერ ცნობენ, თვითონ კოლის სურვილით ხდება. ეს ერთგვარი ინტრიგაა, რომელსაც დიზაინერი საზოგადოებასთან ურთიერთობაში დებს. ის არ ესწრება ელიტარულ წვეულებებს, მაგრამ ელიტარების მოხიბლვას ყოველთვის ახერხებს. ჩრდილში დგას, მაგრამ ცნობისმოყვარე მზერას მუდამ გრძნობს.

მოკლედ, ძალებს იკრებს გაზაფხული და თბილისში პირველად გამოჩენილი ამერიკელი დიზაინერიც ბეჭედს უსვამს შავი ფერის მოდურობას.

როგორც უკვე მოგახსენეთ, არც სქესობრივი შეზღუდვები გვაქვს. Black - ქალებისთვისაც არის და მამაკაცებისთვისაც. ორივე სურნელი თანაბრად ურბანისტულია. ცილინდრის ფორმის ანდა მრგვალ შავ ფლაკონებში მოთავსებული სუნამო უხდება მეტროპოლისის განწყობას, ელეგანტურ პალტოს, ქაშმირის კაშნეს, თვითდაჯერებულობას და თანამედროვე იდეებს. მამაკაცებისთვის ამ განწყობას პიტნა და მანდარინი, ლოტოსის ყვავილი, იის ფოთოლი და მუშკი ქმნის, ქალებისთვის - ია, ციტრუსი, მაგნოლია, ზამბახი და სხვები. ორივე სურნელი ცინცხალი, გრილი და, რაც მთავარია, ძალიან სადაა - სისადავე მათი პრეტენზიაა.

კიდევ ერთი ყურადღებაგასამახვილებელი დეტალი: კენეტ კოლმა მშვენივრად იცის, როგორ მოხიბლოს ქალები ისე, რომ სრული სიშავით განწყობა არ გაუფუჭოს. ის მათ იწვევს ფრაზით:

Whatever your dark desires...

ანუ: შენი ფარული ზრახვები.

კიდევ ანუ: ხუჭავ თვალებს და ხედავ რას? - სიშავეს, რომელიც აღძრავს ოცნებებს და ამძაფრებს წარმოსახვას. სიშავეში ხომ ყოველთვის უკეთ ამჩნევ ნათელს...

მოკლედ, "შავი" მთელი ფილოსოფიაა, ოღონდ იმდენად საადა და სასიამოვნო სურნელში შეფუთული, რომ არ გაღიზიანებს.

ახლა კი დროა, მეტ-ნაკლებად ამომწურავად ვუპასუხოთ კითხვას - ვინ არის ამ ახალი ესთეტიკის ავტორი - კენეტ კოლი.

კოლი ნიუ იორკში დაიბადა. 1980-იან წლებში ფეხსაცმელების შეკერვით მოინდომა მოდის სამყაროში შებიჯება. დახატა მთელი კოლექცია და ევროპულ ქარხანას შეაკერინა, რადგან ასე უფრო იაფი იყო. შემდეგ ფეხსაცმელები ამერიკაში ჩაიტანა და დადგა კითხვის წინაშე - სად და როგორ გაეყიდა კოლექცია. პრობლემა უფულობა იყო - სასტუმრო "ჰილტონში" ბუტიკის აღება ძვირი ჯდებოდა, მანჰეტენზე - მაღაზიის გახსნა - კიდევ უფრო ძვირი. ასე დაიბადა იდეა, შუა ნიუ იორკში ფეხსაცმელი პირდაპირ ტრაილერიდან გაეყიდა. ტრაილერის მანჰეტენზე ჩაყენების უფლება კი მხოლოდ კინოსაწარმოო ფირმას ჰქონდა. კოლმაც ბლეფი ააგორა. დარეგისტრირდა, როგორც "კენეტ კოლ ფროდაქშნ", დაიქირავა ოპერატორები, მოდელები და მოაწყო შოუ - ვითომ მანჰეტენზე იღებდნენ ფილმს "ფეხსაცმლის კომპანიის დაბადება".

ცხადია, ფეხსაცმლის კომპანია რეალურად დაიბადა. საქმიან მანჰეტენზე ყველაზე მოუცლელ გამვლელებსაც კი შეჩერებას აიძულებდა ფერადი საღებავებით მოხატული ტრაილერი, რომლის სიღრმიდანაც გადმოდიოდნენ მშვენიერი მოდელები მშვენიერი ფეხსაცმლით, ოპერატორები კი ამ ყველაფერს კამერებით იღებდნენ... ორდღენახევარში კოლმა 40 ათასი წყვილი ფეხსაცმელი გაყიდა. მერე კი დიდი კომპანიის ჩამოყალიბებას წინ უკვე ვეღარაფერი აღუდგა. ახლა კენეტ კოლი რალფ ლაურენის და კელვინ კლაინის მთავარ კონკურენტად ითვლება და აწარმოებს ურბანისტული კულტურის ძალიან დახვეწილ და გემოვნებიან ნიმუშებს - ფეხსაცმელს, ტანსაცმელს, სუნამოს, სათვალეს, საათს, ჩანთას, საფულეს და სხვა აქსესუარებს.

კენეტ კოლი ბევრ ამერიკელს ივიდე ლაურენსა და კლაინზე უფრო "კაი ტიპადაც" ეჩვენება და ეს იმიტომ, რომ კოლი ჩრდილში დგას და კარგ საქმეს აკეთებს. მუდამ ეხმარება ღატაკებს და შიდსიანებს და ამას ისე ორიგინალურად აკეთებს, რომ გაოცებას ვერავინ მალავს.

მაგალითისთვის: რამდენიმე ხნის წინ, მან მოაწყო ფეხსაცმლის ახალი კოლექციის პრეზენტაცია, დაპატიჟებულ სტუმრებს კი ასეთი წინადადება წაუყენა: ვინც იყიდდა ახალ ფეხსაცმელს, მაგრამ თავისას მაღაზიაში დატოვებდა, იღებდა 20-პროცენტიან ფასდაკლების ბარათს. მერე მაღაზიაში დატოვებული, ელიტარი კლიენტების ფეხსაცმელები, კოლის წყალობით, ნიუ იორკელმა ღატაკებმა მოირგეს...

ასეთი კაცია "შავი ფილოსოფიის" ავტორი კენეტ კოლი, რომელიც ბილ კლინტონის მუდმივი პარტნიორია გოლფში, მაგრამ ასეთი დეტალები ხომ პრესას უფრო აინტერესებს ხოლმე, თვითონ კოლი კი ჩრდილში დგომას ამჯობინებს, კერავს ფეხსაცმელებს, აზავებს სუნამოებს და თავის ნაწარმს სოციალური რეკლამისთვის იყენებს - "დაეხმარე ღატაკებს", "უფრთხილდი შიდსს" - ეს დევიზები ხშირად ახლავს ხოლმე მის კოლექციებს. აი, სიშავეში რა კეთილშობილური იდეები იბადება ხოლმე...

P.S. საზღვარგარეთ უკვე გამოსულია კოლის ახალი კოლექცია სათაურით, "რეაქცია". თბილისში ერთი ნაცნობი ფერით ფეხმოკიდების შემდეგ, იმედია, შტატებიდან ახალ საგაზაფხულო რეაქციას ჩვენც მივიღებთ.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

განცხადება

სამშენებლო მასალების მომწოდებელი უმსხვილესი უცხოური კომპანია იწვევს საქართველოში დასაარსებელ წარმომადგენლობაში დირექტორს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

25-40 წლამდე მამაკაცი; უმაღლესი ტექნიკური განათლება; სასურველია დამატებითი განათლება ეკონომიკის მართვის და მარკეტინგის სფეროში;

წარმატებული ხელმძღვანელის გამოცდილება ტექნიკური პროდუქციის გაყიდვების სფეროში არა ნაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟით; ეკონომიკური საქმიანობისა და ბიუჯეტის დაგეგმვის სტრატეგიული და ოპერატიული მართვა; კომპიუტერის გამართული ცოდნა; რუსულის და ინგლისური ენების საფუძვლიანი ცოდნა; ავტომანქანის ქონა.

რეზუმე გთხოვთ გამოაგზავნოთ
e-mail: region@ruflex.ru
ფაქსი:+7095 424 75 97
(ალექსანდრე კოჩეტოვისთვის)

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროკავშირის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს).
შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

სასწავლო და სამეცნიერო გრანტი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც წარმოადგენს ოფიციალური მოწვევის წერილს ევროკავშირის ქვეყნების ან აშშ-ის რომელიმე უნივერსიტეტიდან, რაც ადასტურებს, რომ კანდიდატს გავლილი აქვს უნივერსიტეტში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის დასაწყებად აუცილებელი ყველა წინასწარი გასაუბრება, კონკურსი, გამოცდა და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდზე:
www.drf.org.ge
www.jobs.ge
შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მოგვმართეთ მისამართზე:

განვითარებისა და რეფორმების ფონდი
ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო
ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)
ირინა სულავა